პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 აპრილი **ორშაბათი** 2010

№095 (13083) ფასი 60 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერი ლიპარტელიანის (მარჯვნივ) ფინალური ბრძოლა შვედ მარკუს ნიმანთან

# როცა ერთნი ვართ, პირველები ვართ

## ჩვენმა ძიუდოისტებმა პუტინი საქართველოს ჰიმნზე დააყენეს...

საქართველოს ნაკრებმა მეოთხედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა გუნდურ პირველობაში, რაც მათთვის მეხუთე გუნდური ჯილდოა. შეგახსენებთ, რომ კონტინენტის პირველობების გარდა, 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონებიც გავხდით.

ვენურ ფინალში ჩვენებმა ფრანგები 3:2 დაჯაბნეს და რუსეთის პრემიერ-მინისტრი **ვლადიმირ პუტინი** საქართველოს ჰიმნზე დააყენეს. შაბათს რუსებმა პირადში სამივე წონაში წააგეს, მაგრამ პუტინმა თავი დაიმშვიდა, მთავარი ბრძოლები ხვალაა და დაე, უძლიერესმა გაიმარჯვოსო...

გაიმარჯვა კიდეც, რაც პუტინს გულს დაუმძიმებდა. უეჭველია, ის წინასწარ იყო დარწმუნებული საკუთარი ნაკრების წარმატებაში, რადგან ძირითადი შემადგენლობა სწორედ ამ ტურნირისთვის შემოინახეს, მაგრამ რუსებს მათივე მწვრთნელის **ეციო გამბას** თანამემამულე იტალიელებმა მოუგეს და ჯგუფშივე ჩატოვეს. აქ ყველაფერი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ წლის საუკეთესო ძიუდოისტად დასახელებული ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის **ივან ნიფონტოვის** (81) მარცხმა (**ანტონიო კიანოსთან**) გადაწყვიტა.

ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე ჩვენებურთა პირველი მსხვერპლი მოლდოვა აღმოჩნდა, ნახევარფინალში კი პოლონელებს მოუგეს. სამწუხაროდ, ორივე შეხვედრა ჩვენთვის ცუდად დაიწყო და 0:2 ჩამოვრჩით, მაგრამ **ლევან ნიკლაურმა** (81) და **ვალერი ლიპარტელიანმა** (90) გაათანაბრეს, მძიმეწონოსანმა **ლაშა გუჯეჯიანმა** კი ორივე შემთხვევაში ლამაზი წერტილი დასვა. საერთოდაც, ჩვენი გუნდიდან კარგი ჭიდაობით ეს სამეული გამოირჩა, იმის მიუხედავად, რომ გუჯეჯიანი ფინალში **ტედი რინერთან** დამარცხდა, მაგრამ ამ დროს მოგება გარანტირებული გვქონდა.

**ამირან ტოტიკაშვილმა** ფინალში ასეთი შემადგენლობა დააყენა: **დავით ასუმბანი** (66), **ზაზა კედელაშვილი** (73), ნიკლაური, ლიპარტელიანი და გუჯეჯიანი. სამწუხაროდ, ასუმბანი ისევ დამარცხდა - 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში გაჩემპიონებულ **სოფიან მილუშთან** იპონზე დავარდა. საბედნიეროდ, ამის შემდეგ ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ წარიმართა. ჯერ კედელაშვილმა ორი ვაზარით დაამარცხა **ლუის კორვალი** და ანგარიში გაათანაბრა, მერე კი ნიკლაურმა პირად პირველობაში მარცხისთვის სწრაფი რევანში აიღო **ანტუან ჟანინთან**, ხოლო ლიპარტელიანმა **რომენ ბუფეს** ულამაზესი იპონი ჩაუტარა და უპრინციპულესი შეხვედრა მოუგო.

ეს ორთაბრძოლა გამორჩეული იყო, რადგან თუ ლიპარტელიანი წააგებდა, ანგარიში გათანაბრდებოდა და ყველაფერს მძიმეწონოსანთა შეხვედრა გადაწყვეტდა, იქ კი რინერი ფავორიტი იყო...

საბედნიეროდ, ლიპარტელიანმა ვითარება არ გაამწვავა და შეხვედრის ბედიც ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა - უკვე 3:1-ს ვიგებდით, რინერს კი არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო. მან მართლაც დაამარცხა გუჯეჯიანი, მაგრამ „მამლები" ჩემპიონობამდე ვერ აამაღლა.

ამ წარმატებით ჩვენმა ნაკრებმა ერთგვარად გამოისყიდა პირად პირველობაში არცთუ კარგი გამოსვლა. შეგახსენებთ, რომ იქ ქართული მონაგარი მხოლოდ ვერცხლია, რომელიც ლიპარტელიანმა მოიპოვა. სიმართლე ითქვას, ჩვენი ნაკრებისგან ცოტა მეტს ველოდით. გუნდურში მოპოვებული ოქრო კარგია, მაგრამ მთავარი მაინც პირადი პირველობაა, რადგან ოლიმპიური შედეგი სწორედ ამით იზომება. ამ ჩემპიონატმა ბევრი კითხვა დატოვა, რაზეც პასუხებს, იმედია, ძიუდოს ფედერაციისგან მივიღებთ...

**შაბათ-კვირის ბრძოლები**

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი >> 11

# ნავსი გატყდა



>> გვერდი 2-4

შაბათს რუსთავში. ვიტ ჯორჯია-დინამო 0:2. აკირემის (№26) პირველი გოლი ვიტელთა კარში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

>> გვერდი 12




# ფაჩულიას საპლეიოფო რეკორდი

# პაცინიმ რომი ააფეთქა

## თავში ისევ ინტერია

## მაგათმა ბაიერნი აანერვიულა...

## ჩელსის მშვიდი შვიდი...



პაცინის დუბლმა ლიდერი შეცვალა

ევროთამაშები >> გვერდი 6-10

24.04. რუსთავი. ფოლადი
300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| დინამო | 2 |

0:1 აკირემი (2), 0:2 აკირემი (72. შ. კაშიას პასით)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ადამაძე, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე (75. ჯანელიძე) - ვასაძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი - კლიმიაშვილი, ლიპარტია (83. ზაქრაძე) - ბერიაშვილი (68. ჩიმაკაძე).

სათადარიგოები: ა. მიქაბერიძე, გურეშიძე, როსტიაშვილი, მაისაშვილი

დინამო: ლორია - თომაშვილი, კაკუბავა, გ. კაშია, ჩიკვილაძე - კოშკაძე, ედნილსონი - შ. კაშია, თექთურმანიძე (80. მამუჩაშვილი), კახელიშვილი (86. რობერტინიო) - აკირემი (84. ვანაძე).

სათადარიგოები: შეყრილაძე, ჩადუნელი, ჯუისი, ზვიადაძე

გაფრთხილება: ჩიკვილაძე (12), ადამაძე (29)

არბიტრი: ლ. სილაგავა

# ნავსი გატყდა

ჩემპიონატის ეგიდით გამართულ შეხვედრებში „დინამო" ზედიზედ რვა მატჩი ვერ ამარცხებდა „ვიტ ჯორჯიას" და აი, ნავსიც გატყდა! თანაც, სამწლიანი პაუზის შემდეგ მოპოვებული ეს გამარჯვება აბსოლუტურად ლოგიკური იყო: „დინამომ" ყველაფერში აჯობა პრინციპულ მეტოქეს და, ფაქტობრივად, გაინაღდა კიდეც ვერცხლის ან ბრინჯაოს მედლები; აი, „ვიტ ჯორჯია" კი ამ მარცხით მოქმედი ჩემპიონის ტიტულსაც დაემშვიდობა და დიდი ალბათობით, სეზონსაც მხოლოდ მეოთხე ადგილზე დაასრულებს...

...ალარ გვინდა იმ პრობლემაზე საუბარი, ჩვენი ჩემპიონატის მატჩების უმრავლესობა, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების წინ რომ მიმდინარეობს. ახლაც, ტურის ამ ცენტრალურ შეხვედრას... 300-მდე გულშემატკივარი თუ ესწრებოდა; არადა, ურიგო თამაში მართლაც არ ყოფილა, ტემპსაც არა უშავდა, ორივე გუნდის ფეხბურთელებს მონდომებაც არ დაენანებოდათ, 90 წუთის განმავლობაში მოედანზე ხისტი ბრძოლა მიდიოდა და ასე შემდეგ. თუმცა, რაც მთავარია, არც ზღვარგადასული უხეშობა გვინახავს და ალარც ფეხბურთელებს შორის ჩხუბი თუ გაწევ-გამოწევა - ბოლო წლებში „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირება ხომ იშვიათად თუ მთავრდებოდა „მშვიდობიანად". სამაგიეროდ, ახლა ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა და ამაში, ალბათ, არბიტრის დამსახურებაც არის: ფიფას არბიტრმა **ლაშა სილაგავამ** საკუთარი კვალიფიკაცია კიდევ ერთხელ დაამტკიცა. რა თქმა უნდა, ორივე გუნდის ქომაგებს მსაჯის ყველა გადაწყვეტილება როდი „მოსწონდათ", მაგრამ მსაჯს რომ არაფერი გაუფუჭებია, ფაქტია. ისე, ცოტა არ იყოს, უცნაურზე მეტი იყო ის ფაქტი, მსაჯობით ხმამაღალ უკმაყოფილებას... „დინამოს" გულშემატკივრები თუ ხელმძღვანელები რომ გამოთქვამდნენ; თანაც, ეს ხდებოდა უშუალოდ მატჩის მსვლელობის დროს, ანუ, იმ დროს, „დინამო" რომ მეტოქეს ჯაბნიდა...

...მატჩის დღეს რუსთავში გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ ორივე გუნდის ფეხბურთელები ამინდს ვერაფერს დააბრალებდნენ: „ფოლადის" ხელოვნურსაფარიანი მოედანი მართლაც იდეალურ მდგომარეობაში იყო. აქვე, საკადრო პრობლემებიც უნდა ვახსენოთ. რითაც ნომინალური მასპინძლები უფრო უარეს მდგომარეობაში იყვნენ: **გელა გომელაურის** გუნდს ერთდროულად ორივე მარჯვენა მცველი (**გიგა ბექვაია, დავით ხურცილავა**) აკლდა, ხოლო ცენტრფორვარდი **ვახტანგ კვარაცხელია** უკვე დიდი ხანია ტრავმირებულია. დანაკლისი ჰქონდა „დინამოსაც" - ახალწვეული **ალექსანდრ კრსტესკი** სულ მოკლე ხანში გუნდის შეუცვლელ ფიგურად იქცა. თუმცა, **კახა კაჭარავამ** ამჯერადაც სწორი გადაწყვეტილება მიიღო და **გურამ კაშიას** დაცვის ცენტრში უნივერსალი **ლევან კაკუბავა** შეუწყვილა. და, მთავარი სიახლეც „დინამოში" - ძირითად შემადგენლობაში დაიწყო თამაში **ალექსანდრე კოშკაძემ**, რომელიც გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო პირველ ეტაპზე, მაგრამ ტრავმის გამო გარკვეული პერიოდი გაუცდა. სხვათა შორის, ნატკენი ხელით ჩაატარა მატჩი **გიორგი ლორიამ**, მაგრამ „დინამოს" მეკარემ, თანაგუნდელების მსგავსად, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ითამაშა.

...მატჩის დასაწყისი მასპინძლებისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა - „დინამოს" პირველივე შეტევა გოლით დასრულდა! **ჯორჯ აკირემიმ** მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან ბოლომდე იბრძოლა და თავის გუნდს ჯარიმაც მოუპოვა. „სტანდარტული" გურამ კაშიამ შეასრულა, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ გრიგოლ ბედიაშვილმა ჯერ ეს დარტყმა მოიგერია, შემდეგ კი ალექსანდრე კოშკაძესაც არ დაანება გოლის გატანა; თუმცა, დამატებაზე ყველას აკირემიმ აჯობა და ახლო მანძილიდან (თანაც, სრულიად მარტოდმყოფმა) ანგარიში გახსნა. სამიოდე წუთში „დინამოს" გოლის გატანის ჩინებული შანსი მიეცა: **გიორგი კახელიშვილის** („ლელოც" ულოცავს გაბედნიერებას) ფლანგურ რეიდს ზუსტი გადაცემა მოჰყვა, მაგრამ საპირისპირო ფლანგიდან შეტევაში ჩართულმა შოთა კაშიამ ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი მიზანს ააცილა. მოკლედ, „დინამოს" უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა და მასპინძლებმა მხოლოდ ტაიმის შუაგულში მოახერხეს თამაშის ოდნავ გამოსწორება. თუმცა, „დინამოს" კართან სახიფათო მომენტები, ფაქტობრივად, არც შეუქმნიათ: ერთხელ **ჯაბა ლიპარტიამ** დაარტყა საჯარიმო, მაგრამ გიორგი ლორია მშვიდად დაეუფლა ბურთს; მეორედ კი, „ვიტ ჯორჯიამ" მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშა და იმავე ლიპარტიამ კარში დარტყმის ნაცვლად სხვა გაგრძელება აირჩია. არც „დინამო" იყო უქმად: აქტიურად მოასპარეზე აკირემის თავური არაზუსტი გამოდგა, შემდეგ კი სტუმრებმა ზედიზედ რამდენიმე კუთხური მოაწოდეს, მაგრამ ბედიაშვილი უშეცდომოდ თამაშობდა. ტაიმის ბოლოსკენ მასპინძლები გააქტიურდნენ: **გიორგი ვასაძისა** და ჯაბა ლიპარტიას დარტყმები არაზუსტი იყო, ერთ ეპიზოდში კი „დინამო" გიორგი კახელიშვილმა გადაარჩინა.

...მეორე ტაიმის დასაწყისიც მასპინძელთა აქტიურობით წარიმართა, თუმცა რეალურ მომენტამდე საქმე არ მიდიოდა. **გიორგი ბერიაშვილის** პასის მერე ჯაბა ლიპარტიას შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ კარში ვერ დაარტყა; შემდეგ, **ირაკლი კლიმიაშვილის** კუთხური და **გურამ ადამაძის** (კაკუბავას მსგავსად, დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე რომ შეუძლია ასპარეზობა) თავური დარტყმაც ვნახეთ, მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, არც ერთ ამ მომენტს რეალური თუ საგოლე ნამდვილად არ ეთქმოდა. ეს ყველაფერი დაახლოებით მესამოცე წუთამდე იყო, ამის შემდეგ კი მოედანზე კვლავაც „დინამო" დომინირებდა და ერთ ეპიზოდში კვლავაც ჯორჯ აკირემი მოექცა ყურადღების ცენტრში, მაგრამ სტუმართა გაბონელმა ფორვარდმა „ვიტ ჯორჯიას" მეკარის შეცდომით ვერ ისარგებლა. თუმცა, აკირემის მართლაც ზეაქტიური თამაში მაინც დაუფასდა, როდესაც შეხვედრაში მეორე გოლი გაიტანა. ამ შემთხვევაშიც დინამოელთა ბრძოლისუნარიანობაა აღსანიშნავი: ახალგაზრდა **გიორგი თექთურმანიძემ**, ისე როგორც პირველი გოლის ეპიზოდისას, მეტოქის ნახევარზე ბოლომდე იბრძოლა და ბურთი აკირემის გადააწოდა, რომლის პასითაც „ვიტ ჯორჯიას" კარს გიორგი კახელიშვილი ემუქრებოდა. მასპინძლები ამ ეპიზოდში გრიგოლ ბედიაშვილმა გადაარჩინა, მაგრამ „დინამოს" შეტევა არ დასრულებულა და შოთა კაშიას უზუსტესი პასით ჯორჯ აკირემიმ ახლო მანძილიდან მეორედ აიღო „ვიტ ჯორჯიას" კარი. აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც პირველი გოლის დროს, მასპინძელთა მცველების პოზიციური შეცდომა ახლაც აშკარა იყო...

მატჩის ბოლომდე 20 წუთამდე იყო დარჩენილი და „ვიტ ჯორჯიას" მთავარმა მწვრთნელმა გელა გომელაურმა სიტუაციის გამოსწრება შეცვლებით სცადა - მოედანზე ორი ახალი ფორვარდი გამოიყვანა, მაგრამ სახიფათო მომენტებს... მხოლოდ „დინამო" ქმნიდა. განსაკუთრებით ეფექტური იყო დინამოელთა დებიუტანტ გიორგი თექთურმანიძის ჩინებული სოლორეიდი, ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ სულ ბოლო მომენტში ახალგაზრდა ნახევარმცველს, ალბათ, უკეთეს პოზიციაში მყოფი პარტნიორი უნდა შეემჩნია. თუმცა, იმდენად ეფექტური დრიბლინგით ჩამოიტოვა თექთურმანიძემ მეტოქის რამდენიმე ფეხბურთელი, ის გოლი რომ გასულიყო, ალბათ, სეზონში ერთ-ერთი საუკეთესოც იქნებოდა.

...შეხვედრის უკანასკნელ წუთებზე „დინამომ" ზედიზედ ორი სახიფათო მომენტი შექმნა მასპინძელთა კართან; ჯერ იყო და, ალექსანდრე კოშკაძის „საფირმო" პასის შემდეგ **მათე ვანაძე** ურტყამდა ახლო კუთხეში, მაგრამ გრიგოლ ბედიაშვილმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. კუთხური კი კოშკაძემ შეასრულა და ბურთიც... კინაღამ „ვიტ ჯორჯიას" კარში აღმოჩნდა. ასეა თუ ისე, „დინამომ" აბსოლუტურად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ბოლო წლების უპრინციპულეს მეტოქესთან. რაც მთავარია, ნავსი გატყდა...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი




დინამომ ჯორჯ აკირემის (ბურთით) დუბლით გაიმარჯვა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი * | 31 | 23 | 6 | 2 | 62-17 | 72 |
| 2. დინამო | 31 | 18 | 7 | 6 | 49-17 | 61 |
| 3. ზესტაფონი | 31 | 17 | 10 | 4 | 49-26 | 61 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 31 | 14 | 11 | 6 | 41-30 | 53 |
| 5. სპარტაკი | 31 | 10 | 9 | 12 | 37-47 | 39 |
| 6. სამტრედია | 31 | 8 | 7 | 16 | 36-58 | 31 |
| 7. სიონი | 31 | 6 | 13 | 12 | 22-39 | 31 |
| 8. ბაია | 31 | 7 | 8 | 16 | 27-39 | 29 |
| 9. ლოკომოტივი | 31 | 4 | 10 | 17 | 16-41 | 22 |
| 10. გაგრა | 31 | 3 | 7 | 21 | 22-53 | 18 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 26 (10პენ.) |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 15 (1პენ.) |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯ.) | 11 (1პენ.) |

*ოლიმპს დაკლებული აქვს 3 ქულა.

ზესტაფონი-ოლიმპის მატჩში ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება 0:3

**მომდევნო ტური**

**30 აპრილი, პარასკევი**

გაგრა-ბაია

**1 მაისი, შაბათი**

დინამო-ზესტაფონი
სპარტაკი-ვიტ ჯორჯია
სამტრედია-ლოკომოტივი
სიონი-ოლიმპი

მატჩის შემდეგ



## გელა გომელაური
# ხალხი მეტ სანახაობას ელის

თბილისური კლუბების შეხვედრებს მხოლოდ ორიოდე გულშემატკივარი, მედია, გუნდების წარმომადგენელთა ნათესავები და მზესუმზირის გამყიდველები რომ ესწრებიან, არავისთვის საიდუმლო არაა. მაყურებელი ლიდერთა მატჩებსაც აღარ ესწრება. მით უფრო არ გაგვკვირვებია, თბილისური კლუბების რუსთავური დერბი, ფაქტობრივად, უმაყურებლოდ რომ ჩატარდა - 300 ადამიანი ასეთი რანგის მატჩისთვის ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

„ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი **გელა გომელაური** მიიჩნევს, რომ „დინამოსთან" წაგებაც და მცირერიცხოვანი მაყურებელიც ლოგიკურია:

„წაგება უხეში შეცდომების შედეგია. თუმცა, მიუხედავად წაგებისა, ურიგოდ არ გვითამაშია, ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი გვქონდა, მაგრამ საგოლე მომენტების რეალიზაციაში ძალზე მოვიკოჭლებდით. კარში ზუსტად თუ ვერ დაარტყი, ვერც მოიგებ. დავინახეთ, რა ნაკლია გამოსასწორებელი. ვფიქრობ, საკმაოდ კარგი შეხვედრა გამოდგა, რადგან ორივე გუნდმა საკმაოდ ბევრი მომენტი შექმნა და ალბათ, მაყურებელიც არ დარჩენილა უკმაყოფილო. თუმცა ლიდერების შეხვედრას მაყურებელი ფაქტობრივად არ ჰყოლია. „დინამოსთან" მატჩამდე წვიმდა და ხალხი ამან დააფრთხო. იყო თამაშები, რუსთავის „ოლიმპთან", მარტვილის „მერანთან", როცა სტადიონი თითქმის შეივსო. ანუ, თამაშები უნდა იყოს საინტერესო, მაყურებლისთვის მიმზიდველი. რუსთავი მშრომელების ქალაქია და ხალხს ვერ დავავალდებულებთ, გინდა თუ არა, სტადიონზე იარეო. თუ ქომაგმა სიამოვნება არ მიიღო და არ განიტვირთა, სტადიონზე არ მოვა. რასაკვირველია, გული მწყდება. დიდი ხანია, მწვრთნელი ვარ, ნაკრებებშიც მიმუშავია, გუნდებიც და კარგად ვიცი, რომ სავსე და განათებულ სტადიონზე თამაში ფეხბურთელებისთვის განსაკუთრებული სტიმულია, რაც ზესტაფონში გამოჩნდა. როცა ტრიბუნას გახედავ და იცი, შენი თამაში ბევრს აინტერესებს, მონდომებითა და სტიმულით თამაშობ, შესაბამისად, პასუხისმგებლობას გრძნობ. მაყურებელი არა მხოლოდ ფეხბურთელებისთვის, მწვრთნელისთვისაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია - მოდუნების საშუალებას არ გაძლევს. ბოლოს და ბოლოს, მოთამაშეს მატჩისა და ვარჯიშის დროს ერთნაირი განწყობა არ უნდა ჰქონდეს. უმაყურებლო თამაში კი ვარჯიშივით არის. ფეხბურთი განწყობის გარეშე წარმოუდგენელია. მაყურებელი ცალკე არ არსებობს, მას ლამაზი ფეხბურთით თუ დავაინტერესებთ. ფეხბურთში განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჯაჭვური რეაქცია. ჩვენთან ყველაფერი ჩავარდნილია - ეს ყველაფერი ბავშვთა ფეხბურთით იწყება. მერე მნიშვნელოვანი ეტაპია დაოსტატების ფაზა, ეროვნული ჩემპიონატის ფინანსური და მატერიალური ხელშეწყობა. არაა თანამედროვე ბაზები, საკლუბო ინფრასტრუქტურა, ხარისხიანი მოედნები და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, საქართველოში ეს ყველაფერი ჩავდებულია და ვერ მივიღებთ იმ პროდუქტს, რომლითაც მაყურებელს დავაინტერესებთ".

**მერაბ მამულაშვილი**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ოლიმპს ოლიმპამდე ნაბიჯი აკლია

25.04. რუსთავი. ფოლადი
1000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 3 |
| გაგრა | 0 |

1:0 იაშვილი (36. რეხვიაშვილის პასით), 2:0 იმედაშვილი (54. ჭედიას პასით), 3:0 იმედაშვილი (77. დათუნაიშვილის პასით)

ოლიმპი: ჭანტურია - ლონლაძე, ფრაგა, რეხვიაშვილი, ხუბუა - ჭედია (63. ხიდეშელი), დობროვოლსკი, იმედაშვილი, კვარაცხელია - აკინო (84. მაჭავარიანი), იაშვილი (75. პ. დათუნაიშვილი).

*სათადარიგოები: მერლანი, გველესიანი, ელოხი*

გაგრა: თევდორაძე - ხარაბაძე, ქორთუა (77. ზ. ჩხეტიანი), ტყეშელაშვილი, თ. შალიკაშვილი - ი. შალიკაშვილი, ნაკონეჩნი, შარიქაძე, ჯიშკარიანი - პავლიაშვილი (46. კობერიძე), ომელიანოვი (46. ოვონიკოკო).

*სათადარიგოები: სტურუა, გაბუნია, ჭაავა, მოსიაშვილი*

გაფრთხილება: შარიქაძე (21), ჯიშკარიანი (67)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)



დუბლის ავტორი დავით იმედაშვილი

გუშინ რუსთავში საპირისპირო პოლუსებზე მყოფი ორი გუნდი, გვარიანი ფორის მქონე ლიდერი „ოლიმპი“ და ფსკერზე მყოფი „გაგრა“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ბუნებრივია, ფავორიტად მასპინძლები იყვნენ მიჩნეული და ეს თამაშის ხასიათშიც სათანადოდ აისახა. **თემურ მახარაძის** გუნდს უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლო და უფრო სოლიდური სხვაობა რომ არ დაფიქსირდა, ეს სტუმართა მეკარე **რევაზ თევდორაძის** დამსახურებაა.

ალსანიშნავია ისიც, რომ სტუმართა გუნდის თავკაცი **ანატოლი პისკოვეცი** და მისი თანაშემწე **ვარლამ კილასონია**, თავის დროზე სწორედ „ოლიმპს“ ხელმძღვანელობდნენ. უკრაინელ პისკოვეცზე სხვას ვერაფერს ვიტყვით. აი, კილასონიას კი სულაც მშობლიური ქალაქის გუნდთან მოუხდა სპორტული დაპირისპირება... რა თქმა უნდა კლასმა, დონემ და გამოცდილებამ თავისი გაიტანა და შეხვედრა ლოგიკური ანგარიშით დასრულდა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ „გაგრას“ შემტევი ნახევარმცველის, **თორნიკე ოქრიაშვილის** არყოფნა გვარიანად დაეტყო. დანაკლისი მასპინძლებსაც ჰქონდათ, მაგრამ მცველ **დავით გიგაურის** არყოფნა რუსთაველებს ამ შეხვედრაში თითქმის არ უგრძნიათ.

ახლა კი უშუალოდ მატჩზე ვთქვათ. მასპინძლებმა შეხვედრის სტარტზევე გამოაჩინეს ბრჭყალები და თავიანთი უპირატესობის წარმოჩენას ანგარიშის გახსნით შეეცადნენ. თუმცა სტუმართა ახალგაზრდულმა გუნდმა, რომელიც უკრაინელი ლეგიონერებითაა გაძლიერებული, რუსთაველთა პირველ იერიშებს გაუძლო. მე-4 წუთზე **აკინოს** მიერ შესრულებულ საჯარიმო დარტყმას მცველები გადაეფარნენ. **გია კვარაცხელიამ** კუთხური მეკარის ბაქანზე სახიფათოდ ჩამოაწოდა, მაგრამ ბურთს **სანდრო იაშვილი** ვერ შესწვდა, მცველებმა შეუშალეს ხელი. მერე სტუმართა ჯერი დადგა, მაგრამ **ილია პავლიაშვილის** თავური დარტყმა **გია ჭანტურიას** კარს მცირედით გადასცდა. მე-16 წუთზე აკინოს გასროლა ასცდა მიზანს. მალევე **გელა ხუბუას** საჯარიმოში ჩაწოდებისას **გიორგი ჭედიამ** სახიფათოდ დაარტყა ახლო მანძილიდან, მაგრამ მეკარე თევდორაძემ მცველების დახმარებით ვითარება განმუხტა. მერე ჭედიას პასი იაშვილმა ვერ გამოიყენა, შემდეგ კი გოლიც ვიხილეთ. 36-ე წუთზე **გიორგი რეხვიაშვილის** მიერ ჩაწოდებული კუთხურისას იაშვილმა თავით ყველას აჯობა და ანგარიშიც ასე გაიხსნა - 1:0. რუსთაველები მინიმალურ სხვაობას არ დასჯერდნენ და ფორის გაზრდაზე იწყეს ზრუნვა, მაგრამ „გაგრას“ კიპერმა თევდორაძემ ორჯერ იხსნა გუნდი გოლისგან. ჯერ იყო და, სტუმართა მეკარემ აკინოს საჯარიმო დარტყმა კუთხურზე მოიგერია, მერე კი ახლო მანძილიდან **თემურ ლონლაძის** დარტყმულს გადაეფარა.

შესვენებაზე პისკოვეცმა **ზვიად ჩხეტიანისა** და **ოვონიკოკოს** მოედანზე შეყვანით შუა და წინა ხაზს, შემტევ პოტენციალს, „ახალი სისხლი“ გადაუსხა. ბუნებრივია, უკრაინელ მწვრთნელს მატჩის სცენარის თავის სასარგებლოდ შეცვლა სურდა, მაგრამ რუსთაველებმა ეს არ დაუშვეს. ერთი სიტყვით, მოედანზე შესვენების შემდეგადაც იგივე სურათი იყო, მასპინძლები უტევდნენ, სტუმრები უმთავრესად თავს იცავდნენ და კონტრიერიშებით ცდილობდნენ მატჩის გადარჩენას, მაგრამ მათი „ჩხვლეტები“ ეპიზოდური ხასიათისა იყო, თანაც არცთუ მწვავე.

„ოლიმპი“ მეორე ტაიმის სტარტზეც სწრაფ გოლს მიეძალა და მასპინძლებმა ეს მოახერხეს კიდეც. მეკარე თევდორაძემ ლონლაძეს კი აუღო, მაგრამ კვარაცხელია-ჭედია-იმედაშვილის კომბინაციისას უძლური აღმოჩნდა. 54-ე წუთზე რუსთაველთა კაპიტანმა **დავით იმედაშვილმა** ძლიერი დარტყმით სხვაობა ორამდე გაზარდა. მიღებულმა გოლმა „გაგრა“ გააცხარა, მაგრამ მასპინძლებმა მალე დააწყნარეს სტუმრები. ერთი ეგ იყო, ოვონიკოკომ სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ბურთი მცირედით ასცდა მიზანს. 59-ე წუთზე აკინო თევდორაძისთვის ბურთის თავზე გადავლებით შეეცადა სხვაობის გაზრდას, მაგრამ „გაგრას“ კიპერმა კიდევ ერთხელ იმარჯვა. 67-ე წუთზე იმედაშვილის ძლიერად დარტყმული მცირედით ასცდა მიზანს, 6 წუთში კვარაცხელიას უძლიერესად დარტყმული თევდორაძემ კუთხურზე მოიგერია. 3 წუთში **პაატა დათუნაიშვილის** გადაცემით **დენის დობროვოლსკის** დარტყმულმა არ მოიტანა შედეგი, მერე კი კიდევ ერთი გოლი ვიხილეთ. დათუნაიშვილის მიერ მოწოდებული კუთხურისას იმედაშვილმა თავურით დუბლი მიითვალა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. დარჩენილ დროში მასპინძლებს კიდევ ორი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ისევ მეკარე თევდორაძემ იმარჯვა.

ერთი სიტყვით, ამ მოგებით „ოლიმპმა“ მორიგი 3 ქულა მიითვალა და ისევ 11-ქულიანი ჰანდიკაპი აქვს. სეზონის დასრულებამდე 5 ტური დარჩა და უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსთაველებმა ოქროს სურნელი შეიგრძნეს. ოფიციალურად გაჩემპიონებამდე მათ ნაბიჯილა აკლიათ.

### მატჩის შემდეგ

**თემურ მახარაძე (ოლიმპი):** „კარგად ვიცოდით, რომ „გაგრას“ ახალგაზრდულ და უკრაინელებით გაძლიერებულ გუნდთან რთული თამაში გველოდა. ბუნებრივია, საამისოდ მოვამზადე გუნდი. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ძალზე მნიშვნელოვანი 3 ქულა ავიღეთ. შედეგითა და ჩემი ფეხბურთელების გარჯით კმაყოფილი ვარ“.

**ვარლამ კილასონია (გაგრა):** „ოლიმპმა“ დღეს ყველაფერში გვაჯობა და დამსახურებულადაც მოიგო. იცით ამ ქალაქისა და გუნდისადმი ჩემი დამოკიდებულება, მაგრამ ჩემი ეს შეფასება რეალურია. ჩვენ დაკომპლექტებული გუნდი დაგვხვდა და ძნელია მოკლე დროში ძირეული ცვლილებების განხორციელება. ყველანაირად შევეცდებით მომდევნო თამაშებში ავიღოთ ქულები“.

**დავით ცაბაძე**
**რუსთავი-თბილისი**

# სპარტაკი გვიან გამოფხიზლდა

25.04. თბილისი. ამერი.
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 2 |
| სპარტაკი | 1 |

1:0 გუშარაშვილი (13), 2:0 მეტრეველი (75. გ. ჭელიძის პასით), 2:1 მედ ნალო (77. ბურდულის პასით)

ლოკომოტივი: ქვილითაია - გ. სოსელია, ხატიაშვილი, გუშარაშვილი, ვეკუა - გ. ნუგ. ჭელიძე, ბ. მახარაძე (76. ჩიკვაიძე), ბოჭორმელი (46. ქებაძე), დიაკვნიშვილი, სარალიძე - დ. ჩაგელიშვილი (63. მეტრეველი)

*სათადარიგოები: გვენცაძე, გ. მახარაძე, გოცირიძე, წულაძე*

სპარტაკი: ბათიაშვილი - თარხნიშვილი, ბოიომო, გ. კვახაძე (72. ბურდული), ნ. მაისურაძე - კლოვისი (56. ჩირიკაშვილი), მგელაძე, შონია, მედ ნალო - დემეტრაძე, დეკანოიძე

*სათადარიგოები: ნონოსი, ბაქრაძე, ჩივაძე, კანდელაკი, ბუზალაძე*

გაფრთხილება: გუშარაშვილი (43), ქებაძე (64), ხატიაშვილი (88)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

„ლოკომოტივს“ უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი ამ ტურამდეც მცირე ჰქონდა და მდგომარეობა „სპარტაკის“ დამარცხების შემდეგაც უცვლელი რჩება, მაგრამ **გელა სანაიას** გუნდი მაინც უნდა შევაქოთ. „ლოკომოტივმა“ გუშინ ბევრი იბრძოლა, მეტოქეს შესამჩნევად აჯობა და სამი ქულა დამსახურებულად მიითვალა.

**გოჩა ჩიქოვანისთვის** ეს მეორე მატჩი იყო „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე და თუკი მან დებიუტი „დინამოს“ ძლევით აღნიშნა, ამჯერად ჩიქოვანის ფეხბურთელები თავიდანვე მდევრის როლში აღმოჩნდნენ და იმის მიუხედავად, რომ ცდა არ დაუკლიათ, თამაშის ბედის სათავისოდ შეტრიალება ვერ შეძლეს.

შეხვედრა კი საკმაოდ სანახაობრივი და საგოლე მომენტებით დახუნძლული გამოდგა. მასპინძლებს სწრაფი გოლი გამოუვიდათ. ჩამოწოდებულ კუთხურს სტუმართა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, ბურთი საბოლოოდ, „ლოკომოტივის“ კაპიტან **ნიკოლოზ გუშარაშვილს** მიუვიდა, რომელსაც ახლო მანძილიდან გატანა არ გასჭირვებია.

» მე-4 გვერდზე

### ინტერვიუ

# დავით კირკიტაძე: ვინ თქვა, ბრაზილიური პროექტი ჩაიშალაო?!



**ქვემო ქართლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით კირკიტაძე გაერთიანებულ საფეხბურთო სკოლა „ოლიმპთან“ თანამშრომლობით კმაყოფილია და ამბობს, რომ ეს პარტნიორობა ბრაზილიელებთან თანამშრომლობის გეგმებში ჯდება:**

- „ოლიმპთან“ თანამშრომლობა დავიწყეთ და ამით კმაყოფილი ვარ. პირველი თამაში ჩაატარეს და ფრედ ითამაშეს 1:1. ძალიან სასიამოვნო იყო მათი ყურება, გამართულ, სწორ ფეხბურთს თამაშობდნენ და მწვრთნელის ხელი ეტყობოდათ. არადა, გუნდს ის ფეხბურთელები აკლდნენ, რომლებიც 19-წლამდელებს პორტუგალიაში ახლდნენ. დარწმუნებული ვარ, ეს ბავშვები ქართულ ფეხბურთში თავის სიტყვას იტყვიან. თანამშრომლობა ძალიან მახარებს, რადგან ფეხბურთის ფედერაციისგან ყველა ნაკრებს მაქსიმალური ხელშეწყობა აქვს, რუსთავის „ოლიმპს“ კი ამ ნიჭიერი თაობის გაზრდაში საკუთარი წვლილის შეტანის საშუალება მიეცემა. ბავშვები ერთად იქნებიან, დაოსტატდებიან და დიდ ფეხბურთში უმტკივნეულოდ გადავლენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენი მიზანია, მათგან არც ერთი არ დავკარგოთ, 19-წლამდელებშიც გამოვიყენოთ, შემდეგ ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებშიც. ჩვენი თანამშრომლობა მხოლოდ რუსთავის „ოლიმპისთვის“ შექმნილი პროექტი არაა. გათვლა ქართული ფეხბურთის მომავლისთვის გავაკეთეთ, ეროვნულ ნაკრებს ძლიერი თაობა რომ გავუზარდოთ.

**- ლიცენზირებისთვის უეფა კლუბებს საფეხბურთო სკოლის აყვანას სთხოვს. უმაღლეს ლიგაში კი სკოლასთან თითქმის არც ერთ კლუბი არ თანამშრომლობს.**

- ეს ძალზე მნიშვნელოვანი დეტალია. ადრე თუ გვიან, უეფა ლიცენზირების ყველა პირობის შესრულებას მოითხოვს. რაც მთავარია, ფეხბურთელების ძებნას აქეთ-იქით კი არ დავიწყებთ, აწყობილი სისტემის იმედად ვიქნებით. დარწმუნებული ვარ, სხვა კლუბებიც იმავეს გააკეთებენ. თუ გახსოვთ, ასე გაიზარდა კობა ჟორჟიკაშვილის 17-წლამდელების თაობაც, მაგრამ შემდეგ ფეხბურთელები გათითოკაცებულად სხვადასხვა კლუბში წავიდნენ და ბევრი მათგანი დაიკარგა. ასეთი მომავლის თავიდან ასაცილებლად, გიორგი დევდარიანის 17-წლამდელების ის ფეხბურთელები მივიწვიეთ, რომლებიც „საბურთალოში“ გამოდიოდნენ. ამ გუნდში დავაბანდებთ თანხებს, შევუქმნით მოსამზადებელ პირობებს, რომ შემდგომში ჰოლანდიასა და გერმანიასთან კი არ წააგონ, არამედ გაიზარდონ და მოუგონ. ჩვენი მხრივ, ამ ბავშვებისთვის არაფერს დავიშურებთ. მადლობა უნდა ვუთხრა „ოლიმპის“ ხელმძღვანელებს, ტარიელ ხეჩიკაშვილსა და მამუკა გუგეშაშვილს იმისთვის, რაც მათ ამ ბავშვებისთვის გააკეთეს. მამუკა რუსთავის „ოლიმპის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მონილეცაა და ჩვენი ერთობლივი პროექტი ლოგიკურიც გახლდათ. დარწმუნებული ვარ, ეს თანამშრომლობა ქართულ ფეხბურთს წაადგება.

**- 17-წლიანების გუნდი გიორგი დევდარიანის გარეშე მოვიდა - მასთან თანამშრომლობა არ გსურდათ?**

- გიორგი ამჟამად 18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია და მან ნაკრები კლუბზე მაღლა დააყენა. მიხარია, ასეთი ქართველი რომ გვყავს, რადგან ნაკრები ქვეყნის საფეხბურთო სახეა. თუმცა ვთხოვეთ და გიორგი მზადაა, არა მხოლოდ „ოლიმპის“ დუბლებთან ჩაატაროს ვარჯიშები, არამედ, ყველა გუნდთან, სადაც საინტერესო ფეხბურთელები ეგულება. დევდარიანი ნაკრებში სელექციას დღემდე აგრძელებს, რადგან ამ ასაკის ბავშვები არასტაბილურები არიან და გუნდის პოტენციურ მოთამაშეებს ეძებს.

**- ბოლო დროს ბევრი ამბობს, რომ „ოლიმპში“ ბრაზილიური პროექტი დასრულდა.**

- ამაზე გულიანად მეცინება, რადგან აკინომ და ფრაგამ გუნდის წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს და ბრაზილიაში ტყუილად არ ვყოფილვარ.

**- აკინო და ფრაგა ჩემპიონატის შემდეგაც დარჩებიან?**

- ბრაზილიური პროექტისადმი თავიდან ბევრი სკეპტიკურად იყო განწყობილი, მაგრამ მან ერთმნიშვნელოვნად გაამართლა. ორივემ მშვენივრად ითამაშა და ეს „ოლიმპის“ სატურნირო მდგომარეობაზეც აისახა. ევროტურნირების დაწყებამდე კი ბევრი სასიამოვნო სიურპრიზის მომსწრენი გახდებით. აკინოს და ფრაგას ევროთასებზე აუცილებლად გამოვიყენებთ.

მალე პროექტის მეორე ნაწილიც დაიწყება და ბრაზილიაში სწორედ ამის დასაზუსტებლად ვიმყოფებოდი - ისინი საფეხბურთო სკოლის აწყობაში დაგვეხმარებიან. „ოლიმპთან“ გაერთიანება კი ამ დიდ გეგმაში ჯდება და „ატლეტიკო პარანენსესთან“ პარტნიორული ურთიერთობა ავტომატურად საფეხბურთო კლუბ „ოლიმპსაც“ ექნება.

**- „ოლიმპი“ ნაწილობრივ სახელმწიფო საკუთრებაშია და თავად გამოხატეთ მისი განკერძოების სურვილი - ამ მხრივ რაიმე სიახლეა?**

- ჩემი შეთავაზება ქვემო ქართლის ადმინისტრაციის საკუთრებაში არსებული წილი კერძო ბიზნეს გადავცეთ, ჯერ კიდევ შეთავაზებად რჩება. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ „რუსთავის ფოლადი“ კლუბის აქციების 60 პროცენტს ფლობს, ამ ფირმამ კრიზისი დაძლია. კომპანია გუნდსაც ყველანაირად ეხმარება, „ოლიმპმა“ ქართულ ფეხბურთში ლიდერობა რომ შეინარჩუნოს და ევროთასებზე ღირსეულად გამოვიდეს. ამ კუთხით პრობლემა ბოლნისის „სიონში“ უფრო არის.

**- რას გულისხმობთ?**

- ამ კლუბს კერძო სექტორი ჯერ ვერ აფინანსებს.

**- ფედერაცია კი კერძო კომპანიებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. რომელიმე ცნობილმა კომპანიამ თქვენთან თანამშრომლობა ისურვა?**

- ეს მშვენიერი პროექტია და ძალიან გამიხარდება, თუკი წარმატებული იქნება და ქაღალდზე არ დარჩება.

**- თქვენი აზრით, ქაღალდზე დარჩენის „შანსი“ არსებობს?**

- ჯერ ახალი შეთავაზებაა და მისი განხორციელებისთვის ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ.

**მერაბ მამულაშვილი**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# სპარტაკი გვიან გამოფხიზლდა

« მე-3 გვერდიდან

ამ გოლამდე ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა ხელიდან **გიორგი დემეტრაძემ** გაუშვა, რომელმაც მიზანს ახლო მანძილიდან ააცილა.

თამაში პირველი ტაიმის მიწურულს გამოცოცხლდა, დროის ეს მონაკვეთი სპარტაკელთა აქტიურობით აღინიშნა. **მაქსიმე ქვილითაიამ** მასთან პირისპირ გასული **თემურ შონიას** ურთულესი დარტყმა მოიგერია, ორიოდე წუთში კი დემეტრაძის მიერ შესრულებული ჯარიმა გამოდგა არაზუსტი.

მატჩის მეორე ნახევარი გაცილებით შინაარსიანი გამოდგა. ამასთანავე, თუკი საწყის 45 წუთში მოედანზე მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა იყო გაჩაღებული, შესვენების შემდეგ „ლოკომოტივის" უპირატესობა გამოიკვეთა.

**დავით ჩაგელიშვილს გიორგი ჭელიძის** პასით ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ მეტოქის მეკარეს ვერ აჯობა, რამდენიმე წუთში კი **გიორგი სოსელიამ ბორის მახარაძე** გაიყვანა დასარტყამ პოზიციაზე, მაგრამ ამჯერადაც **ზურაბ ბათიაშვილმა** იმარჯვა; უქმად არც ქვილითაია ყოფილა, რომელმაც **ირაკლი ჩირიკაშვილის** მიერ კუთხურიდან ჩახვეული ბურთი კუთხურზე გადააგდო.

ეს ყველაფერი „ლოკომოტივის" მეორე გოლამდე იყო. **გელა სანაიას** გუნდის უპირატესობა შეცვლაზე რამდენიმე წუთის შესულმა **ზვიად მეტრეველმა** განამტკიცა, რომელმაც ჭელიძის პასის შემდეგ ბათიაშვილს ახლო კუთხეში გაუტანა. „სპარტაკმა" ერთბურთიანი ჩამორჩენა უცებ აღადგინა. **პატრიკ მედ ნალომ** მახვილი კუთხიდან დაარტყა და ქვილითაიას უხეში შეცდომის შედეგად ბურთი მის კარში აღმოჩნდა.

კარგად ჩაერთო თამაშში **ლადო ბურდული**. მედ ნალომ სწორედ მისი გადაცემით გაიტანა. საგოლე შანსი თავად ბურდულსაც ჰქონდა, როცა მის მიერ მძლავრად დარტყმული ჯარიმა „ლოკომოტივის" კარის ძელს მოხვდა. თუმცა იღბალი მხოლოდ რკინიგზელთა მხარეს არ ყოფილა. ძელმა აისხლიტა **დიაკვნიშვილის** მიერ ეფექტურად მოჭრილი ბურთი, დამატებაზე მდგომი მეტრეველი კი უკვე თამაშგარე მდგომარეობაში იყო...

მატჩის მიწურულს ჭელიძემ კონტრშეტევის დაგვირგვინება ვერ შეძლო და თამაშიც იქვე დასრულდა. „სპარტაკს" არაფრისმომცემი მატჩის წაგებისგან თავის დასაღწევად ცდა არ დაუკლია, მაგრამ „ლოკომოტივი" მაინც უკეთ გამოიყურებოდა და უსამართლო იქნებოდა, გუშინ მხოლოდ ფრეს რომ დასჯერებოდა. სხვა საქმეა, რომ ეს გამარჯვება რკინიგზელებს უძლიერესთა შორის დარჩენის დიდ იმედს ვერ მისცემს. ბუნებრივია, აქ უმაღლესი ლიგის გაფართოებას არ ვგულისხმობთ...

**ლევან ჯანეზაშვილი**




# ზესტაფონში კვლავ ფეხბურთით ცხოვრობენ!

25.04. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
3 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 1 |
| სიონი | 0 |

1:0 წინამძღვრიშვილი (80. აფციაურის პასით)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - ბენაშვილი, გ. ხიდეშელი, გ. ონიანი, ელიავა (64. მაკარიანი) - აფციაური, დაუშვილი, გორგიაშვილი, ძარია (73. წინამძღვრიშვილი) - გელაშვილი, დვალი (77. მიქაბერიძე).

*სათადარიგოები:* მამალაძე, გამეზარდაშვილი, კობახიძე, კორღალიძე

სიონი: ბობლიაშვილი - ლ. ჩხეტიანი, ლ. ჭელიძე, ქემოკლიძე (86. მაისურაძე), რაქვიაშვილი - უგრეხელიძე (66. კვანტალიანი), დეკანოსიძე (79. ჯ. უგულავა), მერებაშვილი, გ. მელქაძე, შენგელია - ლ. მელქაძე.

*სათადარიგოები:* ზუხბაია, ჯიშკარიანი, ჯოხაძე, ლ. უგულავა

გაფრთხილება: ლ. მელქაძე (44), ლ. ჩხეტიანი (48), უგრეხელიძე (62), მაისურაძე (87)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი



მოედანზე შემოდის რატი წინამძღვრიშვილი, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა
ფოტო: www.fczestafoni.ge

**სამწუხარო** იქნებოდა, მავანთა გამო „ზესტაფონს" საკუთარ მოედანზე არ ჩაეტარებინა ეს შეხვედრა. იმერეთის ამ პატარა ქალაქში ფეხბურთი ძალიან უყვართ, ბევრი გულშემატკივარი, უბრალოდ, ფეხბურთით ცხოვრობს და მათთვის ამ სანახაობის მოშლა დიდი დანაშაული იქნებოდა. ზესტაფონელებისთვის ყველა მატჩი საინტერესო და პრინციპულია. როცა მათ წინ საყვარელი გუნდი თამაშობს, აქ სატურნირო მნიშვნელობა თუ სხვა დამატებითი მოტივაცია მეორეხარისხოვანია. ფეროელები საკუთარი გუნდისგან ყოველთვის მაქსიმუმს ითხოვენ და ქომაგობაც მაქსიმალური იციან...

ასე იყო გუშინაც. ზესტაფონის კოხტა არენაზე 3 ათასზე მეტი ქომაგი შეიკრიბა და ტრიბუნებზე ნამდვილი „ცეცხლი დაინთო". მასპინძლები „დინამოს" მეორე ადგილს ეცილებიან. რაკი წინა დღით თბილისელებმა რუსთავეში ასევე თბილისური „ვიტ ჯორჯია" დაამარცხეს, სატურნირო ცხრილში სტატუს-კვოს აღსადგენად ფეროელებსაც გამარჯვება მართებდათ.

გულშემატკივრისგან გამხნევებულმა „ზესტაფონმა" თამაში ფრთხილად დაიწყო და „კლანჭები" თანდათან გამოაჩინა. **ბობლიაშვილის** მზადყოფნა პირველად **დვალმა** შეამოწმა, რომელიც მცველებს დაუსხლტა და საჯარიმოს გარედან დაარტყა, თუმცა ბოლნისელთა მეკარე აუღელვებლად დაუხვდა ბურთს. ამის შემდეგ ზესტაფონელებმა არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს და რომ არა იმავე ბობლიაშვილის ბრწყინვალე თამაში, იმერლებს პირველ ტაიმშივე სამი გოლის გატანა მაინც მართებდათ. მე-12 წუთზე **ბენაშვილის** კუთხურს **ხიდეშელის** უძლიერესი თავური დარტყმა მოჰყვა და ბოლნისელები მეკარემ იხსნა. გამოვარდნილ ბურთზე დვალი ამატებდა და მეკარემ კვლავ იყოჩაღა.

23-ე წუთზე დვალის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ **გელაშვილი** მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მის დარტყმულს კვლავ ბობლიაშვილი გადაელობა. 34-ე წუთზე ქვემოქართლელთა კიპერმა კვლავ გელაშვილს აუღო. დამატებაზე **ძარია** კარში ორიოდე მეტრიდან ურტყამდა, მაგრამ წაქცეულმა მეკარემ შესაშური რეაქცია გამოავლინა და კვლავ სასწაულებრივად იხსნა საკუთარი გუნდი...

არ იფიქროთ, რომ ბოლნისელები ამ ხნის განმავლობაში უქმად იყვნენ. ქასრაშვილის შეგირდები ცდილობდნენ სწრაფი კონტრშეტევები განეხორციელებინათ და შორეულ დარტყმებსაც ხშირად მიმართავდნენ. 42-ე წუთზე მათ გოლის გატანაც მართებდათ, შეტევაში გართულ მასპინძლებს ბოლნისელთა კონტრშეტევა გამოეპარათ, თუმცა **დეკანოსიძის** სახიფათო დარტყმა **კვასხვაძემ** მოიგერია.

მეორე ნახევარში თამაშის სცენარი არ შეცვლილა. **გია გეგუჩაძის** ბიჭები კვლავ სახიფათოდ უტევდნენ, მაგრამ ან მიზანს ვერ ასწორებდნენ, ანდაც მეკარე ბობლიაშვილი იყო მონოდების სიმაღლეზე. გელაშვილის ორი უზუსტო დარტყმის შემდეგ სტუმრების დამწუხრება ძარიამ სცადა, მაგრამ სამიოდე მეტრიდან დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია. ცოტა ხანში ბოლნისელთა კიპერმა დვალის მზაკვრული დარტყმაც გააუვნებელყო.

ამის შემდეგ გელაშვილს მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ბენაშვილის ფლანგური გადაცემა ვერ შეიშნოვა და თავით უხეიროდ დაარტყა. ბოლნისელებმა მასპინძლებს ჩხეტიანისა და შენგელიას უწყინარი დარტყმებით უპასუხეს. მე-80 წუთზე კი მატჩის ერთადერთი გოლიც გავიდა. აფციაურმა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაკიდა ბურთი, სადაც ყველას **წინამძღვრიშვილმა** დაასწრო და ძლიერი თავური დარტყმით ბოლნისელები უშანსოდ დატოვა - 1:0. მორიგი შეტევისას მას დუბლის გაკეთებაც შეეძლო - გელაშვილის გადაცემის შემდეგ ცარიელი კარის წინ აღმოჩნდა, საიდანაც აცილება უფრო ძნელი იყო, მაგრამ...

ბოლოს, ქვემოქართლელებმა ცოტათი კიდევ გაიბრძოლეს, თუმცა კვასხვაძის კართან ღირებული ვერაფერი შექმნეს. „ზესტაფონმა" მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე და „დინამოსთან" პრინციპული მატჩის წინ კარგი განწყობა შეიქმნა.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

25.04. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე
1000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 2 |
| სამტრედია | 0 |

1:0 სახოკია (15), 2:0 ბაკარანძე (45)

ბაია: სომხიშვილი, რ. ონიანი, თოდუა, კვესიეშვილი, აკობია, სახოკია (61. გ. ქირია), ყველაშვილი, ბაკარანძე (86. ჭკადუა), ვართაგავა, ეხვაია (76. სამადაშვილი), ლუნგუ.

სამტრედია: შენგელია, კირთაძე, გოგია, კუპრეიშვილი, სამსეიშვილი, ჩომახიძე, ბაკურაძე, ეცადეიშვილი (46. გოგიშვილი), ფირცხალავა (65. ჩხაიძე), ბარამიძე, ნინუა (46. დვალიშვილი).

გაფრთხილება: ფირცხალავა (58)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

გადაწყვეტილი ამბავი

# შოთა ქაისერს მაისში ჩაიბარებს

**ჰოლანდიურ** ერედივიზიონში მოასპარეზე „ალკმაარს" სეზონის დასრულებისთანავე მთავარი მწრთნელი **დიკ ადვოკაატი** და მისი თანაშემწე **შოთა არველაძე** რომ დატოვებენ, უკვე გარკვეულია და ამაზე ვწერდით კიდეც. გასარკვევი მხოლოდ ის იყო, თუ სად გააგრძელებდა სამწვრთნელო კარიერას არველაძე - თურქეთის ნაკრებში **გუუს ჰიდინკის** ასისტენტად, „ქაისერისფორის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე თუ სხვა სხვა რომელიმე კლუბთან დადება კონტრაქტს.

შოთას გადაბირებისთვის განსაკუთრებით „ქაისერისფორი" აქტიურობდა. ამ კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **სულეიმან ჰური** არველაძეს რამდენჯერმე ესაუბრა და როგორც ჩანს, მხარეები უკვე შეთანხმდნენ კიდეც.

*„ქაისერისფორის" მონდომებას, მწვრთნელად ქართველი შოთა არველაძის გადაბირების საკითხში, ამაოდ არ ჩაუვლია. „ალკმაარის" თავკაც დიკ ადვოკაატის თანაშემწემ თურქული კლუბის ხელმძღვანელობას უკვე თანხმობა უთხრა. ჰოლანდიურ ერედიზივიონში სეზონი 2 მაისს მთავრდება. ამის შემდეგ არველაძე თურქეთში ჩავა და ახალ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს"*, - ეს ცნობა გუშინ fanatik.ekolay.net-მა და სხვა თურქულმა წყაროებმაც გაავრცელეს.

გუშინ შოთასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. ამ და სხვა საინტერესო თემებზე არველაძის ინტერვიუს უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ.



**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის უქმეები

# უსიამოვნო შეხვედრა წარსულთან

## ტატანაშვილმა ისევ გაიტანა

სეზონის მიწურულს ქართული ლეგიონის უმრავლესობის გუნდთა მთავარი საზრუნავი ლიგაში დარჩენაა. სამწუხაროდ, ჩვენებურები ძირითადად უამბიციო გუნდებში თამაშობენ. ბევრი მათგანის კლუბი კი თითქმის განწირულია დაქვეითებისათვის. სწორედ ერთ ასეთ კლუბს დაეხმარა **დიმიტრი ტატანაშვილის** გამარჯვების გოლი და უმაღლესში დარჩენის შანსი გაუჩინა.

ბოლოდროინდელი წარმატებების შემდეგ ინგლისის ჩემპიონშიპში „რედინგის“ მარცხის დროც მოვიდა, **ზურაბ ხიზანიშვილის** გუნდი „უოტფორდს“ ესტუმრა და 0:3 დამარცხდა. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა და თამაშის ბოლო წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. „რედინგს“ 60 ქულა დარჩა და მე-11 ადგილზე დაქვეითდა. საფრანგეთში „ლილთან“ საშინაო მარცხით, ვფიქრობთ, ლიგა 1-ში დარჩენის რეალური შანსი მოისპო **გიორგი მაკ...იძის** „ლე მანმა“. გუნდი 1:2 დამარცხდა, ქართველი გოლკიპერი კვლავ სათადარიგო იყო. „ლე მანი“ 28 ქულით მე-18 ადგილზეა და გადარჩენის ზონამდე 8 ქულა აშორებს. იტალიაში „პალერმომ“ შინ 3:1 მოუგო „მილანს“, რამდენიმე თვით ადრე ამ მატჩს ჩვენში შეეძლო დიდი ინტერესი გამოეწვია, მაგრამ ახლა „პალერმოში“ აღარ არის **ლევან მჭედლიძე**, ხოლო **კახა კალაძე** „მილანში“ ფორმალურადღა ირიცხება. „მილანი“ 64 ქულით მე-3 ადგილზეა.

გავარდნის საფრთხე სულ უფრო რეალური გახდა **ლევან კობიაშვილის** „ჰერტასთვის“, მას შემდეგ, რაც ბერლინური გუნდი შინ 0:1 დამარცხდა „შალკესთან“. ქართველმა იმ გუნდის წინააღმდეგ ითამაშა, სადაც ბოლო 6 სეზონი გაატარა. „შპორტალმა“ დაბალი შეფასება დაუწერა ჩვენებურს - 4,5. *„შალკეს“ ყოფილი წევრი დაცვის კვარტეტის ყველაზე სუსტი წერტილი იყო. ფარფანმა გატანჯა ფლანგზე, პერუელთან ორთაბრძოლაში მიიღო სეზონის მე-5 ყვითელი ბარათი და ლევანი შემდეგ თამაშს გამოტოვებს. სწორედ მისი პასით გავიდა გამარჯვების გოლი „ჰერტას“ კარში“*, - წერს „შპორტალი“. „ჰერტა“ 23 ქულით ბოლო ადგილზეა და ბუნდესლიგაში დარჩენის მხოლოდ თეორიულ შანსს ინარჩუნებს. **დავით თარგამაძის** „ფრაიბურგმა“ (რომელიც ამ გუნდში მხოლოდ ირიცხება, მაგრამ განაცხადში ვერ ხვდება) 1:0 მოუგო „ვოლფსბურგს“ და ბუნდესლიგაში დარჩენის პერსპექტივა გაიჩინა - „ფრაიბურგი“ 31 ქულით მე-14 ადგილზეა.

**მათე ღვინიანიძის** „მიუნხენმა“ 2:2 ითამაშა „ობერჰაუზენთან“, მათემ 90 წუთი გაატარა მოედანზე. „ლომები“ 45 ქულით მე-8 ადგილზე არიან. „შპორტალმა“ მათეს თამაში 4 ბალით შეაფასა.

**ილია კანდელაკს** არ უთამაშია ავსტრიული ბუნდესლიგის მორიგ მატჩში, რომელშიც ქართველის „შტურმი“ შინ 0:1 დამარცხდა ლასკ-თან. „შტურმი“ 52 ქულით მეოთხე ადგილზეა და წინსვლის შანსი არა აქვს. რუმინეთში **აკაკი ხუბუტიას** „გაზ მეთანი“ შინ ბისტრიცის „გლორიას“ დაუზავდა - 1:1. აკაკის ამჯერად პოზიცია შეუცვალეს და დაცვის მარცხენა ფლანგზე გადაიყვანეს. პირველი ტაიმის შემდეგ ქართველი მცველი სულაც შეცვალეს. „გაზ მეთანი“ 33 ქულით მე-12 ადგილზეა, მაგრამ მშვიდად ყოფნა ჯერ არ შეუძლია, ფინიშამდე ხუთი ტურით ადრე ქართველი ლეგიონერის გუნდი მხოლოდ 4 ქულით უსწრებს გავარდნის ზონას.

უნგრეთში მე-3 ადგილისთვის ბრძოლას იგებს ქართული „ეტო“. დიორელთა გუნდმა შინ 2:1 მოუგო „სპარტაკუსს“. მატჩში 81-ე წუთამდე ითამაშა **რატი ალექსიძემ** (შეფასება 5), ხოლო 55-ე წუთზე გამოჩნდა **გიორგი განუგრავა** (შეფასება - 5), განუგრავა გააფრთხილეს. „ეტო“ 43 ქულით მესამეა და 3 ქულით უსწრებს „ზალაეგერსეგის“.

ჩეხურ გამბრინუსლიგაში დიმიტრი ტატანაშვილის ერთადერთი გოლის წყალობით „კლადნომ“ „სლოვაჩკო“ 1:0 დაამარცხა. ქართველმა ეულ ფორვარდად ითამაშა, მან 42-ე წუთზე თავური


ლევან კობიაშვილი (მარჯვნივ)


დიმიტრი ტატანაშვილი


ჯანო ანანიძე




დარტყმით გაიტანა. აუტსაიდერთა ჯახს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ახლა „კლადნო“ 24 ქულით მე-14 ადგილზეა და ქულით უსწრებს გასავარდნ ზონაში მყოფ „სლოვაჩკოს“.

სერბეთში ნოვი სადის „ვოივოდინამ“ 4:1 გაანადგურა „იაგოდინა“. სამწუხაროდ, **გიორგი მერებაშვილი** სასტარტო შემადგენლობაში იშვიათად ხვდება, ამჯერადაც ის მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე. „ვოივოდინა“ 40 ქულით მე-5 ადგილზეა.

პოლონეთში **კობა შალამბერიძის** „ოდრამ“ შინ „პოლონია“ 2:1 დაამარცხა. ქართველი ფეხბურთელი მოედანზე პირველივე ტაიმში გამოჩნდა. ჩვენებურმა გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ეს გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო გააუქმა. „ოდრამ“ დააღწია გასავარდნ ზონას, თუმცა ქართველის გუნდს იმდენივე ქულა აქვს, რაც მის შემდეგ მყოფ „პოლონიას“ (23). ისრაელში დღეს ლიდერთა ჯახია, ჩემპიონი „მაქაბი“ თელ ავივის „ჰაპოელს“ მასპინძლობს, **ლადო დვალიშვილის** წინააღმდეგ **ზურაბ მენთეშაშვილი** ითამაშებს.

უკრაინულ ვიშალიგაში 27-ე ტურის მატჩები გაიმართა. **უჩა ლობჟანიძის** „დნიპრომ“ 3:1 მოუგო **ვასილ გიგიაძის** „ტავრიას“. ლობჟანიძემ 90 წუთი ითამაშა, ხოლო გიგიაძე 53-ე წუთზე გამოჩნდა. მასპინძელთა მწვრთნელმა **ვლადიმირ ბესონოვმა** ქართველ მცველს პირველ ტაიმში ბევრი ხარვეზი აღმოუჩინა. „დნიპრო“ 49 ქულით მე-4 ადგილზეა, „ტავრია“ 41 ქულით მეექვსეა.

**სანდრო გურულის** „კარპატიმ“ კი ნამდვილი სენსაცია მოახდინა, შინ 1:0 დაამარცხა კიევის „დინამო“. სანდრო მოედანზე 67-ე წუთზე გამოჩნდა. „კარპატი“ 48 ქულით მე-5 ადგილზეა.

რუსულ პრემიერლიგაში ჩვენთვის ყველაზე საინტერესო დაპირისპირება „ლუჟნიკიზე“ გაიმართა ორი „სპარტაკის“ მატჩში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, მიუხედავად იმისა, რომ 24-ე წუთიდან მოსკოველები მეტნი იყვნენ და მსაჯმა ფეხბურთელთა რიცხვი მხოლოდ 94-ე წუთზე გაათანაბრა - 0:0. პირველი ტურის შემდეგ პირველად მასპინძელთა სასტარტოში **ჯანო ანანიძე** ვიხილეთ. 73-ე წუთზე ქართველმა 7 მეტრიდან ხარიხას გაარტყა, 84-ე წუთზე ჯანო შეცვალეს. სტუმართა რიგებში გამორჩეული იყო **გოგიტა გოგუა**, რომელიც ყველგან ასწრებდა ყოფნას. მე-40 წუთზე მან **საენკოსთან** უხეშობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო. **დავით სირაძემ** 87-ე წუთამდე ითამაშა, არ შეუცვლიათ **ალექსანდრე ამისულაშვილი**. „ჩემპიონატმა“ გოგუასა და სირაძეს 6-6 ბალი დაუწერა, ანანიძესა და ამისულაშვილს - 5,5-5,5. ნალჩიკის „სპარტაკი“ 15 ქულით პირველია, მოსკოვისა კი 10 ქულით - მერვე.

„რუბინი“ „ანჟის“ დაპირისპირებაც 0:0 მორჩა, მახაჭყალელთა კარში „რუბინის“ ყოფილი მეკარე **ნუკრი რევიშვილი** (შეფასება - 6) იდგა, 85-ე წუთზე სტუმართა რიგებში კიდევ ერთი ქართველი ვიხილეთ, **ზურაბ არზიანი**, ხოლო **რევაზ ბარაბაძე** სათადარიგო დარჩა. **დავით კვირკველიამ** იმიტომ ვერ ითამაშა, რომ ის „რუბინის“ საკუთრებაა, **გოჩა ხოჯავას** უთამაშებლობა კი დისკვალიფიკაციის ბრალია. მასპინძელთა რიგებში **ლაშა სალუქვაძე** სათადარიგო იყო. „რუბინი“ 13 ქულით მესამეა, „ანჟი“ 8 ქულით - მე-11.

გროზნოს „ტერეკი“ სანკტ პეტერბურგში ადგილობრივ „ზენიტს“ 0:0 ეთამაშა. ამ შეხვედრაში ერთი გოლი გავიდა, მაგრამ მსაჯმა **ლევან გვაზავას** გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩათვალა. ჩვენებური პირველივე ტაიმში შემოვიდა, ზემოთ აღწერილი ეპიზოდი კი 67-ე წუთით თარიღდება. „ტერეკი“ 10 ქულით მე-7 ადგილზეა.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ 2:1 მოუგო „ტომს“. **მალხაზ ასათიანი** ერთ-ერთი საუკეთესო იყო (შეფასება - 6). „ლოკომოტივი“ 10 ქულით მეხუთე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| ლე მანი-ლილი | 1:2 |
| ლორიანი-ბორდო | 1:0 |
| ნანსი-მონპელიე | 0:0 |
| ნიცა-გრენობლი | 2:1 |
| სოშო-ბულონი | 0:3 |
| პსჟ-რენი | 1:1 |
| ლანსი-ვალანსი | 1:1 |
| ტულუზა-ოსერი | 0:3 |
| მარსელი-სტ. ეტიენი | 1:0 |

### II დივიზიონი

XXXIV ტური

ლავალი-აიაჩო 2:2; ნიმი-ანჟერსი 0:1; მეცი-არლი 1:2; ისტრი-ბრესტი 1:0; გინგამი-შატორუ 1:1; დიჟონი-კლერმონი 2:3; ნანტი-სედანი 1:3; ბასტია-სტრასბური 1:0; ტური-ვანი 1:1; ჰავრი-კაენი დღეს.

## ჰოლანდიის თასი

### ფინალი. I მატჩი

| | |
|---|---|
| აიაქსი-ფეიენოორდი | 2:0 |

## ბელგია

### I პლეი ოფი

VII ტური

| | |
|---|---|
| კორტრეიკი-ბრიუგე | 2:0 |
| სტ. ტრუიდენი-ვარეგემი | 1:2 |
| ანდერლეხტი-გენტი | 4:2 |

### II პლეი ოფი. A ჯგუფი

VI ტური

| | |
|---|---|
| სერკლი-ლოკერენი | 1:1 |
| მეხელენი-ვესტერლო | 1:3 |

### II პლეი ოფი. B ჯგუფი

VI ტური

| | |
|---|---|
| შარლერუა-სტანდარდი | 1:0 |
| გენკი-ბეერსხოტი | 2:0 |

### II დივიზიონი

XXXVI ტური

ანტვერპენი-ჰევერლე 1:1; ბევერენი-ტურნჰაუტი 3:2; ბრიუსელი-ეუპენი 1:2; ლიეჟი-ბორინაჟი 2:5; ლიერსი-ვაასლანდი 2:0; მონსი-ოსტენდე 4:1; სტანდარდი (ვ)-დენდერი 3:2; ტინენი-ლომელი 0:2; ტურნე-ტუბეკე 0:0.

## პორტუგალია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| რიუ ავე-მარიტიმუ | 0:0 |
| სეტუბალი-პორტუ | 2:5 |
| ბენფიკა-ოლჰანენსე | 5:0 |
| ლეიქსოეში-აკადემიკა | 1:3 |
| ნასიონალი-ფერეირა | 1:1 |
| ნავალი-ბრაგა | 0:4 |
| ლეირია-სპორტინგი | 1:1 |
| გიმარაეში-ბელენენსეში | დღეს |

### II დივიზიონი

XXVIII ტური

ფეირენსე-პორტიმონენსე 2:1; ეშტორილი-ავეში 1:0; ტროფენსე-სანტა კლარა 5:2; ფრეამუნდე-ჟილ ვისენტე 3:2; ბეირა მარი-პენაფიელი 1:2; შავეში-კარეგადო 2:0; ოლივეირენსე-კოვილია 3:0; ვარზიმი-ფატიმა 1:1.

## შოტლანდია

XXXV ტური

| | |
|---|---|
| სტ. ჯონსტონი-აბერდინი | 1:1 |
| ფალკირკი-ჰემილტონი | 0:1 |
| ჰართსი-მოზერველი | 0:2 |
| სტ. მირენი-კილმარნოკი | 1:0 |
| დანდი იუნ-სელტიკი | 0:2 |
| ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 0:1 |

### I დივიზიონი

XXXV ტური

ეირი-ინვერნესი 0:7; დანფერმლაინი-მორტონი 4:1; დანდი-რეითი 2:0; ქუინი-ეირდრი 2:2; როსი-პარტიკი 1:2.

### II დივიზიონი

XXXV ტური

კოუდენბითი-ბრეჩინი 4:0; დამბარტონი-არბროა 0:2; ისტ ფაიფი-სტენჰაუზმური 1:1; პიტერჰედი-ალოა 2:0; სტირლინგი-კლაიდი 1:0.

### III დივიზიონი

XXXV ტური

ბირუიკი-ალბიონი 1:2; ისტ სტირლინგი-ანენი 3:1; მონროუზი-ლივინგსტონი 0:5; ქუინზ პარკი-ელჯინი 0:1; სტრანრარი-ფორფარი 2:0.

## ავსტრია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-რაპიდი | 1:1 |
| კაპფენბერგი-აუსტრია (კ) | 0:0 |
| შტურმი-ლინცი | 0:1 |
| ვინერ-რიდი | 2:0 |
| აუსტრია (ვ)-მატერსბურგი | 5:1 |

### II დივიზიონი

XXVII ტური

ადმირა-ლუშტენაუ 3:4; აუსტრია II-ტიროლი 2:1; აუსტრია (ლ)-გრატკორნი 0:2; დორნბირნი-ზალცბურგი II 0:2; ვენა-ჰარტბერგი 1:2; სტ. პოლტენი-ალტახი 0:2.

## ირლანდია

### II დივიზიონი

VIII ტური

| | |
|---|---|
| მეიუ-სოლტჰილი | 2:2 |
| ეთლონი-ლონგფორდი | 2:0 |

## კვიპროსი

### საჩემპიონო ზონა

IV ტური

| | |
|---|---|
| აპოელ-ანორთოსისი | 1:0 |
| ომონია-აპოლონი | 1:1 |

### ინტერტოტოს ზონა

IV ტური

| | |
|---|---|
| აელ-ეთნიკოსი | 1:0 |
| ენოსისი-აპოპ | 4:0 |

### გასავარდნი ზონა

IV ტური

| | |
|---|---|
| არისი-დოხა | 0:2 |
| ერმისი-აეპ | 1:0 |

## დანია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ოდენსე-სილკებორგი | 1:0 |
| ორჰუსი-ჰერფოლგე | 0:3 |
| კოპენჰაგენი-ოლბორგი | 2:0 |
| ნორდშელანდი-სონდერისკე | 3:1 |
| ესბიერგი-ბრონდბიუ | 1:1 |
| რანდერსი-მიდტიულანდი | დღეს |

### II დივიზიონი

XXII ტური

ფრედერისია-აკადემისკი 0:0; ბრაბრანდი-კოლდინგი 1:1; ვეილე-ვესტსიელანდი 2:2; ფრემი-ტისტედი 0:1; ლუნგბიუ-ნაესტვედი 2:1; ვიბორგი-ჰვიდოვრე 2:2; ჰორსენსი-სკივე 1:0; ფინი-როსკილდე 1:0.

## ფინეთი

II ტური

| | |
|---|---|
| ტამპერე-იუვასკილა | 0:2 |
| მიუპა-ოულუ | 1:1 |
| იარო-ინტერი | 0:1 |
| კუოპიო-ლაჰტი | 1:1 |
| მარიეჰამნი-ვაასა | 0:3 |
| ტურკუ-ჰონკა | დღეს |
| ჰიკ-ჰაკა | დღეს |

### II დივიზიონი

I ტური

იიპო-კპვ 1:1; ოპს-ტპვ ტამპერე 3:0; ჰამეენლინა-პოპა 2:2; კლუბი 04-კემი 0:0; პკ35-ვიიკინგიტი 0:0; როვანიემი-მიკელი 3:0; კოტკპე-ესპოო დღეს.

## საბერძნეთი

### II დივიზიონი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| პანაიტოლიკოსი-ეთნიკოსი (პ) | 2:2 |
| აგროტიკოსი-იონიკოსი | 3:1 |
| დიაგორასი-ტრასივულოსი | 2:1 |
| დოხა-კერკირა | 1:2 |
| ეთნიკოსი (ა)-ილისიაკოსი | 3:0 |
| კალამატა-ოლიმპიაკოსი (ვ) | 0:2 |
| ოფი-ანაგენისი | 0:0 |

## საბერძნეთის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-არისი | 1:0 |

## ნორვეგია

VIII ტური

| | |
|---|---|
| ვიკინგი-სტაბეკი | 2:0 |
| ბრანი-სტრიომსგოდსეტი | 4:0 |
| ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი | 3:0 |
| სანდეფიორდი-ოლესუნდი | 0:1 |
| სტარტი-ჰიონეფოსი | 2:0 |
| ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 6:1 |
| როზენბორგი-ლილესტრიომი | 0:0 |
| მოლდე-ტრომსიო | დღეს |

### II დივიზიონი

IV ტური

ლინი-ფრედრიკსტადი 1:2; ალტა-ბრინი 2:1; ბოდო გლიმტი-სტრიომენი 2:0; მიონდალენი-მოსი 1:3; ნილი-ლოვ ჰამი 1:4; სანდნესი-სოგნდალი 0:0; სარპსბორგი-ფოლლო 0:0; ტრიომსდალენი-რანჰეიმი 1:2.

## შვედეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| აიკ-ჰაკენი | 1:1 |
| ატვიდაბერგი-გიოტებორგი | 2:1 |
| ბრომაპოიკარნა-გეფლე | 2:1 |
| გაის-კალმარი | 2:2 |
| ელფსბორგი-ტრელებორგი | 4:1 |
| ერებრო-ჰალმსტადი | 3:0 |
| მალმიო-იურგორდენი | დღეს |
| მიალბიუ-ჰელსინგბორგი | დღეს |

### II დივიზიონი

III ტური

ანგელჰოლმი-ვასბი 2:2; ლანდსკრონა-სირიანსკა დღეს; ნორჩოპინგი-ბრაგე დღეს; იორგრიტე-ლიუნგსკილე დღეს.

## შვეიცარია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| აარაუ-სტ. გალენი | 2:0 |
| ლუცერნი-ციურიხი | 4:1 |
| ბელინცონა-სიონი | 2:1 |
| გრასჰოპერსი-ბაზელი | 4:0 |
| იანგ ბოიზი-ქსამაქსი | 4:1 |

### ჩელენჯლიგა

XXVII ტური

ვილი-სტად ნიონე 3:3; ივერდონი-კრინსი 0:1; ბილი-შაფჰაუზენი 0:0; თუნი-ვოლენი 1:1; ლოზანა-სერვეტი 1:3; გოსაუ-ლე მონი 1:2; ვადუცი-ლოკარნო 2:1; ლუგანო-ვინტერტური დღეს.

## თურქეთი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-სივასი | 2:2 |
| დენიზლი-ანკარაგიუჯუ | 0:0 |
| გენჩლერი-ანტალია | 0:2 |
| კაისერი-მანისა | 1:2 |
| ანკარა-დიარბაქირი | 0:3 |
| გაზიანთეპი-ბუიუქშეჰირი | 2:3 |
| ქასიმფაშა-ფენერბახჩე | 0:1 |
| გალათასარაი-ბურსა | 0:0 |
| ესქიშეჰირი-ტრაბზონი | დღეს |

### II დივიზიონი

XXXII ტური

ბოლუ-ორდუ 2:4; ალთაი-ერჩიესი 1:0; გირესუნი-დარდანელი 3:1; ჰაჩეთეფე-ქარაბუქი 2:4; ქოჯაელი-ქარსიაქა 1:2; მერსინი-რიზე 0:0; სამსუნი-ქონია 0:0; ადანა-ქართალი დღეს; ბუკა-ბბ გაზიანთეფი დღეს.

## უელსი

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| აბერისთვითი-ტნს | 1:3 |
| ეირბასი-ნითი | 1:1 |
| ბანგორი-ნიუთაუნი | 0:0 |
| კარმართენი-სეუნი | 4:0 |
| კონასი-პორტმადოგი | 3:0 |
| ჰევერფორდვესტი-ქეირსუსი | 3:1 |
| პორტ ტელბოტი-ბალა თაუნი | 0:0 |
| პრესტატინი-ლანელი | 1:5 |
| უელშპული-რილი | 1:2 |

## ბელარუსი

V ტური

| | |
|---|---|
| პარტიზანი-დინამო (მნ) | 0:2 |
| მინსკი-ტორპედო | 2:1 |
| ბელშინა-შახტიორი | 1:0 |
| ნაფტანი-ბატე | 0:2 |
| ვიტებსკი-დნეპრი | 1:1 |
| ნემანი-დინამო (ბრ) | 0:0 |

## ბოსნია

XXV ტური

| | |
|---|---|
| ველეჟი-ლეოტარი | 0:1 |
| რუდარი-სლობოდა | 1:0 |
| ჟელეზნიჩარი-მოდრიჩა | 3:0 |
| სლავია-ვიტეზი | 2:0 |
| ზვიეზდა-სარაევო | 2:1 |
| შიროკი ბრიეგი-ლაკტაში | 3:0 |
| ზრინსკი-ოლიმპიკი | 3:0 |
| ბორაცი-ტრავნიკი | 1:0 |

## ბულგარეთი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| სლავია-ცსკა | 1:3 |
| ბოტევი-ბეროე | 0:3 |
| ლევსკი-პირინი | 2:0 |
| ლოკომოტივი (ს)-ჩერნო მორე | 1:2 |
| სლივენი-სპორტისტი | 1:0 |
| ლიტექსი-ჩერნომორეცი | 2:0 |

## ხორვატია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ზაგრები-მედიმურიე | 2:1 |
| ინკერი-სლავენი | 2:0 |
| ჰაიდუკი-კარლოვაცი | 1:0 |
| შიბენიკი-ისტრა | 1:1 |
| ლოკომოტივა-ოსიეკი | 2:2 |
| რიეკა-ზადარი | 3:2 |
| ვარტექსი-კროაცია | 4:1 |
| სიბალია-დინამო | 2:0 |

## ჩეხეთი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| პლზენი-ბუდეიოვიცე | 0:0 |
| პრშიბრამი-ლიბერეცი | 1:1 |
| სპარტა-ბოჰემიანსი | 1:0 |
| იაბლონეცი-ბრნო | 1:0 |
| კლადნო-სლოვაცკო | 1:0 |
| ბოლესლავი-ტეპლიცე | 0:1 |
| სიგმა-სლავია | 3:1 |
| ბოჰემიანს 1905-ბანიკი | დღეს |

### II დივიზიონი

XXIV ტური

დუკლა-ჩასლავი 2:0; იჰლავა-ვიტკოვიცე 2:0; ჰლუჩინი-უსტი 2:1; მოსტი-ოპავა 0:1; ვლაშიმი-ვიქტორია 1:2; ჟლინი-სოკოლოვი 1:1; ჰრადეცი-ტრშინეცი 2:0; კარვინა-სპარტა II 1:1.

## ესტონეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| კალევი-ტრანს ნარვა | 1:2 |
| ლოოტუსი-კალიუ | 0:5 |
| ფლორა-პაიდე | 2:1 |
| ტამეკა-ლევადია | 0:0 |
| ტულევიკი-კურესაარე | 0:0 |

## უნგრეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| დებრეცენი-კაპოშვარი | 5:1 |
| უიპეშტი-პაკში | 3:2 |
| კეჩკემეტი-ზალაეგერსეგი | 2:2 |
| ლომბარდ პაპა-ჰონვედი | 0:3 |
| ვიდეოტონი-ფერენცვაროში | 0:0 |
| დიორი-ნირეგიჰაზა | 2:1 |
| მტკ-ვაშაში | 2:3 |
| დიოშდიორი-ჰალადაში | 1:3 |

## ლატვია

III ტური

| | |
|---|---|
| იელგავა-იურმალა | 1:2 |
| ტრანზიტსი-ვენტსპილსი | 0:2 |
| ოლიმპსი-სკონტო | 1:3 |
| იაუნიბა-მეტალურგსი | 2:3 |
| ბლაზმა-დაუგავა | 3:1 |

## ლიტვა

VI ტური

| | |
|---|---|
| ატლეტასი-ვეტრა | 0:3 |
| ტაურასი-სუდუვა | 0:1 |
| კრუოჯა-მაჟეიკიაი | 1:0 |
| ჟალგირისი-კლაიპედა | 3:0 |
| ეკრანასი-ბანგა | 0:0 |

## მოლდოვა

XVII ტური

| | |
|---|---|
| დაჩია-ოლიმპია | 2:4 |
| დინამო-ვიიტორული | 1:0 |
| სფინტული-აკადემია | 1:0 |
| ისკრა-ზიმბრუ | 0:0 |
| ნისტრუ-ტირასპოლი | 0:1 |
| შერიფი-ცსკა | 3:1 |

## პოლონეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| არკა-კორონა | 1:2 |
| ლეგია-პიასტი | 3:0 |
| პოლონია (ბ)-კრაკოვია | 1:2 |
| იაგელონია-ზაგლებე | 0:0 |
| ვისლა-ლეხი | 0:0 |
| შლიონსკი-ბელხატოვი | 0:0 |
| ოდრა-პოლონია (ვ) | 2:1 |
| ლეხია-რუხი | 1:1 |

## რუმინეთი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ჩახლაული-ასტრა | 0:0 |
| დინამო-პოლიტეხნიკა | 1:1 |
| პანდური-ბრაშოვი | 1:0 |
| ოცელული-რაპიდი | 0:0 |
| კლუჟი-უნირეა (ა) | 3:2 |
| გაზ მეთანი-გლორია | 1:1 |
| უნივერსიტატეა-უნირეა (უ) | 1:4 |
| სტიაუა-ტიმიშოარა | 3:3 |
| ინტერნაციონალი-ვასლუი | დღეს |

## რუსეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| სიბირი-ცსკა | 1:4 |
| დინამო-სატურნი | 1:0 |
| ლოკომოტივი-ტომი | 2:1 |
| სპარტაკი-ნალჩიკი | 0:0 |
| ზენიტი-ტერეკი | 0:0 |
| რუბინი-ანჟი | 0:0 |
| როსტოვი-ალანია | 0:1 |
| კრილია-ამკარი | დღეს |

## სერბეთი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკი-რადი | 1:0 |
| ბორაცი-მლადი | 1:0 |
| ბორჩა-ნაპრედაკი | 1:1 |
| იავორი-ოფკ | 0:1 |
| ვოივოდინა-იაგოდინა | 4:1 |
| პარტიზანი-მეტალაკი | 3:1 |
| ჰაიდუკი-ცრვენა ზვეზდა | 0:1 |
| ჩუკარიჩკი-სარტიდი | 0:0 |

## სლოვაკეთი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| დუბნიცა-ნიტრა | 1:0 |
| კოშიცე-ინტერი | 2:0 |
| პეტრჟალკა-ჟილინა | 0:4 |
| რუჟომბეროკი-ტრნავა | 2:1 |
| ტატრანი-სლოვანი | 0:1 |
| დ. სტრედა-ბისტრიცა | 1:1 |

## სლოვენია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ინტერბლოკი-დრავა | 0:2 |
| გორიცა-პუბლიკუმი | 3:0 |
| მარიბორი-დომჟალე | 1:1 |
| რუდარი-კოპერი | 0:2 |
| ნაფტა-ოლიმპია | 0:1 |

## უკრაინა

XXVII ტური

| | |
|---|---|
| არსენალი-ილიჩივეცი | 3:1 |
| ზორია-ვორსკლა | 2:1 |
| დნიპრო-ტავრია | 3:1 |
| კარპატი-დინამო | 1:0 |
| მეტალისტი-მეტალურგი (დ) | 2:0 |
| ზაკარპატია-მეტალურგი (ზ) | 0:1 |
| ობოლონი-კრივბასი | 1:2 |
| შახტარი-ჩერნომორეცი | 3:0 |

## არგენტინა

XVI ტური

| | |
|---|---|
| ველესი-ტიგრე | 1:0 |
| გოდოი-ჩაკარიტა | 1:0 |
| ლანუსი-არსენალი | 4:1 |
| ნიუელსი-კოლონი | 5:0 |
| ესტუდიანტესი-რივერ პლეიტი | 1:0 |
| ურაკანი-ინდეპენდიენტე | 0:0 |
| არგ. ხუნიორსი-ხიმნასია (ლ-პ) | 3:1 |
| რასინგი-ბანფილდი | 2:0 |
| ატლეტიკო-როსარიო | გვ. დასრულდა |
| ბოკა-სან ლორენსო | დღეს |

## მექსიკა

XVII ტური

| | |
|---|---|
| ტოლუკა-ატლანტე | 3:2 |
| კრუს ასული-ჩივასი | 1:1 |
| მორელია-მონტერეი | 1:1 |
| ტიგრესი-პაჩუკა | 1:2 |
| ატლასი-ხაგუარესი | 1:1 |
| სან ლუისი-კერეტარო | 3:0 |
| ტოლუკა-პუმასი | 2:1 |
| ინდიოსი-პუებლა | 2:0 |
| ამერიკა-ს. ლაგუნა | გვ. დასრულდა |

## ესპანეთი

ერთიანი ჩემპიონატი

ლა ლიგა. XXXIV ტური



ეს წუთია რაულმა ისტორიული გოლი გაიტანა. მარჯვნივ ალვარო არბელოა

# კაკამ, კინო გრძელდებაო...

## რაულმა დი სტეფანოს გაასწრო

ესპანეთში ბარსა-რეალობა გრძელდება, ჩემპიონობისთვის მებრძოლმა ორივე გრანდმა იმარჯვა და ერთმანეთს კვლავ ქულა აშორებთ. „კამპ ნოუზე" „ბარსელონა" ფიქრით „ინტერთან" მატჩში იყო, რაც ლიდერის თამაშსაც შეეტყო, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა ბოლოადგილოსანი „ხერესის" დასამარცხებლად - 3:1. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სტუმართა გუნდის ანტიფეხბურთი, ათმა ხერესელმა სხვადასხვა ფერის ბარათი დაიმსახურა. ბოლო 7 წუთში კი სტუმრებმა 2 გაძევება და 5 გაფრთხილება „მოინადირეს". ეს, ალბათ, ესპანეთის ახალი რეკორდია. დაძაბულობა და უხეშობა არც „სარაგოსა"-"რეალის" მატჩს აკლდა, „სამეფო გუნდი" ორმა ტრავმამოშუშებულმა - **რაულმა** და **კაკამ** საჩემპიონო დოლში დატოვეს - 1:2.

ვიდრე ამ ორი შეხვედრის დეტალებზე მოგითხრობდეთ, მომავალშიც „გავიხედოთ" - პრიმერას დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა, „ბარსელონა" „რეალს" ქულით უსწრებს, თუმცა თანაბარი ქულების დაგროვებაც კატალონიურ კლუბს აწყობს. ვნახოთ, სად შეიძლება დაუცდეს ფეხი „ბლაუგრანას". **პეპ გვარდიოლას** გუნდი 1 მაისს „ესტადიო ელ მადრიგალზე" „ვილიარეალს" ესტუმრება, შემდეგ 5 მაისს „კამპ ნოუზე" მიიღებს „ტენერიფეს", 9 მაისს ესტუმრება „სევილიას" და ჩემპიონატს 16 მაისს „ვალიადოლიდთან" საშინაო მატჩით დაასრულებს. როგორც ხედავთ, საშინაო მატჩებში „ბარსა" აუტსაიდერებს მასპინძლობს, აი, საგარეოებში კი ორი სერიოზული ტესტი ელის. მოდი, ვნახოთ მდევრის გრაფიკიც: 2 მაისს „რეალი" კამაჩოს „ოსასუნას" მასპინძლობს, 5-ში მოდის გასვლა „ონოესტადიზე" „მალიორკას" წინააღმდეგ, 9 მაისს „სამეფო კლუბი" ბილბაოს „ატლეტიკს" მიიღებს, ხოლო ჩემპიონატს **მანუელ პელეგრინის** გუნდი 16 მაისს „ლა როსალედაზე" დაასრულებს „მალაგას" წინააღმდეგ.

„ინტერთან" თამაშმა ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე შეიტანა კორექტივები. გვარდიოლამ სასტარტოში ისეთ ხალხს უხმო, რომელთაც ძირითადად შეცვლაზე თუ ათამაშებს: ასე მოხვდნენ დაცვის ცენტრში **ჩიგრინსკი** და **მარკესი**, საყრდენად - **ტურე**, ფლანგის შემტევებად - **ჟეფრენი** და **ანრი**. პეპმა სკამზე თვით **ლეო მესი** დასვა, მწვრთნელის ჩანაფიქრი ნათელი იყო - „ნაკლები სისხლით" 3 ქულის მოპოვება. ჟეფრენის გოლამდე, რომელიც მე-14 წუთზე გავიდა, ორი ეპიზოდი დაგვამახსოვრდა, ორივეში ანრი მონაწილეობდა. ჯერ ფრანგმა ძალიან უხეშად მოცელა მეტოქე (მსაჯმა ის რატომღაც დაინდო და არ გააფრთხილა), საჯარიმოს შესრულებას კი **არმენტეროსის** გარღვევა მოჰყვა, რომელსაც დარტყმა **იბრაჰიმოვიჩმა** (!) არ აცალა. შემდეგ კი **ჩავიმ** ჩვეული ბრწყინვალე პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ანრი, მაგრამ მას **რენანმა** აჯობა.

ანგარიში ჩავის მონადინებით გაიხსნა, მისი პასი საჯარიმოს მარჯვენა კუთხეში ჟეფრენმა მიიღო, მართალია ახალგაზრდა ვინგერი ცოტა დაიბნა, წაბორძიკდა, მაგრამ მაინც შეძლო **კასადოს** მოტყუება და რენანს მახვილი კუთხიდან გაუტანა. „ხერესმა" საპასუხო შეტევაში კინაღამ გაიტანა, **ბერმეხოს** დაუმუშავებელი დარტყმა „ბარსას" კარის ხაზიდან ერთ-ერთმა სტუმარმა ფეხბურთელმა (!) გამოიტანა. ეს ეპიზოდი ანრის მორიგ უადგილო უხეშობას მოჰყვა. ფრანგი 24-ე წუთზე „გამოსწორდა", როცა **კეიტამ** კარგი პასით გარღვევაზე იბრაჰიმოვიჩი გაიყვანა, შვედს თავადვე შეეძლო გატანა, მაგრამ უკეთეს პოზიციაში მყოფ ანრის გადააწოდა - 2:0. ნახევარი საათიც არ იყო გასული, „კამპ ნოუ" დამშვიდდა და მატჩი მოგებულად ჩათვალა, ნაადრევად...

ზუსტად ერთ წუთში „ხერესმა" ერთი გოლი გაქვითა, ჩიგრინსკი უხეშად შეცდა, მისი პასი **ორელანამ** ჩაჭრა და მარიო ბერმეხოს გადააწოდა - 2:1.

შესვენების შემდეგ სტუმართა მწვრთნელმა ფორმაცია შეცვალა, ნახევარდაცვაში ერთი ფეხბურთელი დაამატა. დაიწყო ტაიმი და... „ბარსამ" გოლი გაუშვა, რომელიც მსაჯმა სამართლიანად გააუქმა თამაშგარე მდგომარეობის გამო, **ვალდესს** ბურთი გამოჰქონდა, მაგრამ ეს მეტად უხეიროდ გააკეთა, ბურთი ორელანას გაარტყა, რომლის დარტყმული მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ დასწრებაზე მოთამაშე ბერმეხოს დამატებულს ვერაფერი მოუხერხა. ამას ბერმეხოს ერთი სუპერმომენტი მოჰყვა, მაგრამ ამჯერად ვალდესმა იყოჩაღა.

პეპი მიხვდა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და მოედანზე მესი და **პიკე** შეიყვანა. 55-ე წუთზე იბრაჰიმოვიჩმა „ბარსას" სამი ქულა დაუბევა, თუმცა ამ გოლში უფრო დიდი წვლილი იაია ტურეს მიუძღვის, რომელმაც მარცხენა ფრთაზე დიდებული გარღვევა მოაწყო - 3:1. ამის შემდეგ „ბარსა" ბურთის კონტროლს მიეძალა, მესის ულამაზესი გოლი სამართლიანად არ ჩაითვალა თამაშგარე მდგომარეობის გამო, „ხერესის" ფეხბურთელები კი „ჩეხვაზე" გადავიდნენ, რაც მათ ძვირად დაუჯდათ, მსაჯმა **ალუსტისა** და ორელანა გააძევა.

თამაშის შემდეგ „ბარსელონას" ფეხბურთელებმა სპეციალურად დამზადებული შავი მაისურები გადაიცვეს, რომელთა წარწერებიც ხალხს „კამპ ნოუზე" „ინტერთან" მატჩზე ეპატიჟებოდა: *„ოთხშაბათს, რვა საათზე „კამპ ნოუზე" ჩვენ თავს დავდებთ, ერთად გავიდეთ ლიგის ფინალში"*, - ეწერა „ბარსას" მაისურებზე.

# რომი დაეცა, თავში ისევ ინტერია

ტური „ჯუზეპე მეაცაზე" გამართული შეხვედრით გაიხსნა და ჩვენც აქედან დავიწყოთ. როგორც ჩანს, „ბარსელონასთან" თამაშმა „ინტერის" ფეხბურთელებს ქანცი გააძრო და ამად იყო, რომ **ჟოზე მოურინიომ** „ატალანტას" გადახალისებული შემადგენლობა დაახვედრა. ძირითადში ვიხილეთ **მარკო მატერაცი**, რომელსაც როგორც წესი სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. იგივე შეიძლება ითქვას **მაკდონალდ მარიგასა** და **სალი მუნტარიზე**. პრინციპში, პორტუგალიელს თავისუფლად შეუძლია ასეთ როტაციას მიმართოს, რადგან ჩამოთვლილი ფეხბურთელები არც საშემსრულებლო ოსტატობის ნაკლებობას უჩივიან და არც მოტივაციას.

შეხვედრა სტუმართა უპირატესობით დაიწყო, რაც სწრაფ გოლში აისახა. მე-5 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **ტირიბოკიმ** თანაგუნდელისგან შესანიშნავი გადაცემა მიიღო, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კი ბურთი ცხრიანში გაახვია, 0:1. სულ მალე, ტირიბოკის კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლო - მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს პირველი შეეგება და თავური დაარტყა, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით აცდა **ჟულიო სეზარის** კარს. საერთოდ, ტირიბოკიმ ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა მიმდინარე სეზონში, ძალიან აქტიური იყო და ბევრი თავსატეხი გაუჩინა მილანელთა უკანახაზელებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, დროთა განმავლობაში უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ და პრაქტიკულად მთელი გუნდით გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე. ანგარიში 24-ე წუთზე გათანაბრდა, გოლი კი **დიეგო მილიტომ** მიითვალა აქტივში. ტირიბოკის არ იყოს, ისიც პირისპირ შეატოვეს კიპერს და ისლა დარჩენოდა ბურთი კარის ბადეში მოეთავსებინა - არგენტინელმა ეფექტურად ითამაშა, თავზე გადაატარა ბურთი **კოპოლას** და გულშემატკივრები ალტაცებაში მოიყვანა, 1:1.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ინტერი" მთელი გუნდით უტევდა და შესაბამისად, გატანის შანსი არაერთ ფეხბურთელს მიეცა. შორი დისტანციიდან პრაქტიკულად ყველამ მოსინჯა ძალები, **ტიაგო მოტადან** დაწყებული, **კრისტიან კივუთი** დამთავრებული. ამ უკანასკნელს კიდევ მივუბრუნდებით, იქამდე კი მილანელთა მეორე გოლზე ვთქვათ. 35-ე წუთზე, **ვესლი სნეიდერმა** გაიბრწყინა და ცენტრიდან წამოლებული ბურთი, მეტოქის საჯარიმომდე მიიტანა, კარგად გადააწოდა **სამუელ ეტოოს**, რომელმაც თავის მხრივ მარიგა მოძებნა, რომელსაც გატანის გარდა აღარაფერი დარჩენოდა, 2:1. აღსანიშნავია, რომ ფერადკანიანმა შუახაზელმა „ინტერის" მაისურით თავისი პირველი გოლი გაიტანა. აქვე აღვნიშნოთ, რომ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია **მარიო ბალოტელის**, რომელიც, როგორც ჩანს, ჩადენილი საქციელისთვის სასჯელს იხდის.

პირველის არ იყოს, მეორე ნახევარიც სტუმართა უპირატესობით დაიწყო. „ატალანტა" რამდენჯერმე დაემუქრა მეტოქის კარს და ბერგამოელებს ცოტა რომ გამართლებოდათ, ანგარიშს ნამდვილად გაათანაბრებდნენ. ჟულიო სეზარიც უნდა შევაქოთ, რომელმაც რამდენჯერმე იხსნა გუნდი გაშვებული გოლისგან. თუმცა, შემდეგ ყველაფერი დალაგდა და „ინტერმა" დაწყებული საქმე ლოგიკურ ფინიშამდე მიიყვანა. მომენტების აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ და პირდაპირ მილანელთა მესამე გოლზე ვიტყვით - სათქმელი ბევრი არაფერია, კრისტიან კივუმ აიღო და დაახლოებით 25 მეტრიდან ბურთი მეკარისაგან მარჯვენა კუთხეში ჩაჭედა, 3:1. ეს იყო და ეს...

არანაკლებ საინტერესო გამოდგა შაბათს გამართული მეორე შეხვედრა. „რენცო ბარბერაზე" „პალერმომ" მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და უმოტივაციო, კრიზისში მყოფი, მაგრამ მაინც „მილანი" უჩვეულოდ იოლად, 3:1-ზე დაამარცხა. სიცილიელთა შეტევები მართლაც თვალისმომჭრელად სწრაფი და ეფექტური გახლდათ, რომელთა წინააღმდეგ ლომბარდიელებმა ვერაფერი გააწყვეს. მე-20 წუთზე ანგარიში უკვე 2:0 იყო და რაც ყველაზე მთავარია, შეხვედრის მსვლელობიდან გამომდინარე, შედეგი აბსოლუტურად კანონზომიერი გახლდათ.

პირველი გოლი **ჩეზარე ბოვომ** გაიტანა - კუთხურმა მილანელთა საჯარიმოში დიდი ალიაქოთი გამოიწვია, ყველაზე უკეთ ვითარებაში სწორედ სიცილიელთა უკანახაზელი გაერკვა და ბურთი პრაქტიკულად დაუცველ კარში გადაგზავნა, 1:0. მეორე გოლი გააზრებულ კომბინაციას მოჰყვა, **ფაბრიციო მიკოლიმ** ბრწყინვალე გადაცემით **აბელ ერნანდესი** მოძებნა, რომელმაც მეკარისაგან შორეული კუთხე დალაშქრა და მასზე გაცემული ავანსი, რომელშიც სასტარტო შემადგენლობაში დაყენებას ვგულისხმობთ, სრულად გაამართლა, 2:0.

მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ მილანელები და იერიშებისთვისაც მოიცალეს. **კლას-იან ჰუნტელაარს** და **კლარენს ზეედორფს** გატანის ჩინებული შანსი ჰქონდათ, მაგრამ ჯერ სიცილიელთა კიპერმა იმარჯვა, შემდეგ კი ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარის ჩარჩოს. სტუმართაგან ყველაზე უფრო გამორჩეული მაინც **რონალდინიო** გახლდათ, რომელმაც არაერთი გამჭოლი პასით დაგვამახსოვრა თავი. ერთ-ერთ ასეთ გადაცემას მოჰყვა გოლი, რომელმაც შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნა - **სირიგუსთან** პირისპირ დარჩენილმა ზეედორფმა ოსტატურად ითამაშა და ბურთი მეკარისაგან ახლო კუთხეში შეაგორა, 2:1. ინტრიგამ დაახლოებით 15 წუთს იცოცხლა, შემდეგ კი ფაბრიციო მიკოლის ჯერი დადგა, რომელმაც ულამაზესი დარტყმით ბურთი **დიდას** კარის ცხრიანში გაახვია. ასეთი გოლების ხეირიანად აღწერა შეუძლებელია და უმჯობესია, თქვენი თვალით იხილოთ, 3:1. ნამატჩევს, მიკოლიმ კმაყოფილება გამოთქვა როგორც გუნდის, ისე მისი თამაშით და დაიქადნა, მომავალშიც ასე გავაგრძელებო. როდესაც ეროვნულ ნაკრებზე ჩამოუგდეს სიტყვა, შემდეგი განაცხადა: მეეჭვება გამომიძახონ და ამაზე უკვე აღარც ვფიქრობ, ზაფხულში ოჯახთან ერთად ვიქნები და ისე მივადევნებ თვალს მუნდიალსო.

როგორც იქნა, ტურინის „იუვენტუსმაც" გაიმარჯვა და მეექვსედან მეშვიდე ადგილზე აინაცვლა. შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა **ვინჩენცო იაკვინტამ**, რომელმაც ორი გოლი მიითვალა აქტივში და მთლიანობაში, ძალიან პროდუქტიულად გაისარჯა. ვინჩენცოს გოლებს შორის, **ალესანდრო დელ პიერომ** გაიტანა თერთმეტმეტრიანი და მივიღეთ 3:0 „ბიანკონერის" სასარგებლოდ. გეცოდინებათ, მაგრამ მაინც აღვნიშნოთ, რომ „იუვემ" „ბარი" დაამარცხა. ცალკე სალაპარაკო თემაა ის, რაც შესვენებისას ტრიბუნებზე ხდებოდა - „იუვეს" გულშემატკივრებმა სტუმართა ტიფოზებს დასცხეს, შემდეგ რატომღაც ერთმანეთზეც გაიწიეს დაბოლოს, მოედანზე გადასვლაც სცადეს. დაძაბულობა სამართალდამცავებმა განმუხტეს, დანარჩენს კი „ლეგა კალჩოს" სადისციპლინო კომიტეტი იტყვის.

ტურის ცენტრალური შეხვედრა რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა, სადაც „რომამ" „სამპდორიას" უმასპინძლა და ლიდერობა დაკარგა. პირველ ნახევარში თამაშს მასპინძლები აკონტროლებდნენ და შედეგიც შესაბამისი გახლდათ, 1:0. რომაელებს ცოტა უფრო ყურადღებით რომ ეთამაშათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ტაიმს ალბათ სამი-ოთხი ბურთის სხვაობით მოიგებდნენ. მარტო **ვუჩინიჩს** შეეძლო ჰეთთრიკის შესრულება, მაგრამ მისი თითოეული მცდელობა ამაო გამოდგა. გოლი **ფრანჩესკო ტოტიმ** გაიტანა, ჩერნოგორიელის გადაცემა შეირგო და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი **სტორარის** კარში, 1:0.

მეორე ნახევრის სტარტზე „რომამ" თითქოს უკან დაიხია, საკუთარ ნახევარზე განლაგდა და ამისთვის დაისაჯა კიდეც. 52-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **ანტონიო კასანომ** მარცხენა ფლანგზე გაინავარდა, შესანიშნავი გადაცემით **ჯამპაოლო პაცინი** მოძებნა, ვინაც თავური დარტყმით ანგარიში გაქვითა, 1:1. **კლაუდიო რანიერიმ** ყველა ღონე იხმარა, **ლუკა ტონი** და **როდრიგო ტადეი** ჩართო თამაშში, მაგრამ ნახდენილ საქმეს ველარ უშველა. 85-ე წუთზე პაცინიმ სულაც მეორე გოლი მიართვა **ჟულიო სერჟიოს** და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა, 1:2. მაშ ასე, ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ლიდერი „ინტერია".

ბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ XXXV ტური საბედისწერო გამოდგა „ლივორნოსა" და „სიენასთვის" - მომავალ სეზონში მათ სერია B-ში მოუწევთ ასპარეზობა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

## მომდევნო ტური

1 მაისი. მილანი-ფიორენტინა. 2 მაისი. **ბარი-ჯენოა, პარმა-რომა, სამპდორია-ლივორნო, კალიარი-უდინეზე, კატანია-იუვენტუსი, სიენა-პალერმო, კიევო-ნაპოლი, ატალანტა-ბოლონია, ლაციო-ინტერი.**



რომა-სამპდორია. ჯანპაოლო პაცინის გაქვს გამარჯვების გოლი რომას კარში

### ინტერი-ატალანტა 3:1

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი 6 - ხ. ძანეტი 7, კორდობა 6, მატერაცი 5.5, კივუ 7 - სტანკოვიჩი 6 (70. ტიაგო მოტა 6), მარიგა 6.5, მუნტარი 6 - სნეიდერი 6 (46. კამბიასო 6.5) მილიტო 7 (80. არნაუტოვიჩი), ეტო'ო 6.

**ატალანტა (4-4-1-1):** ფ. კოპოლა 6 - კაპელი 5.5, ბიანკო 4.5, თ. მანფრედინი 6, პელუზო 5.5 - პინტუ 5.5 (56. ამორუზო 5), გუარენტე 6.5, პადოინი 6, ვალდესი 5 (56. ჩერავოლო 5.5) - კ. დონი 6 (71. რადოვანოვიჩი) - ტირიბოკი 6.5.

**გოლები:** 0:1 ტირიბოკი (5), 1:1 მილიტო (24), 2:1 მარიგა (35), 3:1 კივუ (77)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 21-12; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 23-11 (9-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 55 000

### პალერმო-მილანი 3:1

**პალერმო (4-3-1-2):** სირიგუ 7 - კასანი 6, კიაერი 6.5, ბოვო 6.5, ბალცარეტი 6.5 - მილიაჩო 6 (65. ბერტოლო 6.5), ლივერანი 6.5 (89. ბლაზი), ნოჩერინო 7 - პასტორე 6.5 - მიკოლი 7.5, ერნანდესი 7.5 (57. კავანი 6).

**მილანი (4-3-2-1):** დიდა 7 - ძამბროტა 5.5 (62. ფ. ინძაგი 5.5), ოდო 5, ტიაგო სილვა 6, ანტონინი 5.5 - პირლო 6.5, გატუზო 5.5, იანკულოვსკი 6 (80. დე ვიტო) - ზეედორფი 6 (87. მანსინი), რონალდინიო 6 - ჰუნტელაარი 5.5.

**გოლები:** 1:0 ბოვო (9), 2:0 ერნანდესი (18), 2:1 ზეედორფი (55), 3:1 მიკოლი (69)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 8-13; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 16-18 (9-4); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 29 000

### ნაპოლი-კალიარი 0:0

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი 6 - კამპანიარო 6, პ. კანავარო 6.5, გრავა 6 - სუნიგა 6.5, პაციენცა 5.5 (77. მაჯო 6), გარგანო 6.5, არონიკა 5.5 (53. დოსენა 5.5) - ლავეცი 6 (25. ბოლიაჩინო 6), ჰამშიკი 6.5 - დენისი 6.5.

**კალიარი (4-3-1-2):** მარკეტი 8 - არიაუდო 7, კანინი 6, ასტორი 6.5, აგოსტინი 6 - დესენა 6, ბიონდინი 6, კონტი 6.5 - ლაძარი 6 (73. კოსუ 4) - მატრი 5 (52. რაგატცუ 5.5), ლარივეი 5 (64. ნენე 5.5).

**გაძევება:** კოსუ (79. კალიარი)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 19-4 (7-0); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 40 000

### იუვენტუსი-ბარი 3:0

**იუვენტუსი (4-3-1-2):** ბუფონი 6.5 - ძებინა 5, ფ. კანავარო 6, კიელინი 6.5, დე ჩელიე 6 - კამორანეზი 5.5 (46. კანდრევა 6.5), პოულსენი 6, მარკიზიო 6.5 (78. სალიჰამიჯიჩი) - დიეგო 6 - ამაური 5 (46. იაკუინტა 7.5), დელ პიერო 6.

**ბარი (4-4-2):** ჟილე 6 - ბელმონტე 5.5, ბონუჩი 5.5, სტელინი 5.5, ს. მაზიელო 6 - ე. ალვარესი 6.5 (71. დოშტონი), ალმირონი 5.5, დონატი 6, კომანი 5.5 (63. ე. რივასი 6) - ბარეტო 5.5, კასტილიო 5 (55. მეჯორინი 5).

**გოლები:** 1:0 იაკუინტა (53), 2:0 დელ პიერო (69-პენ), 3:0 იაკუინტა (87)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 24-7 (8-2); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 24 147

### ფიორენტინა-კიევო 0:2

**ფიორენტინა (4-3-3):** ს. ფრეი 6.5 - დე სილვესტრი 5.5, კროლდრუპი 5, გამბერინი 6 (18. ნატალი 5.5), ფელიპე (10. კომოტო 6/38. ლიაჯიჩი 6) - კ. ძანეტი 5, მონტოლივო 5, მარკიონი 4.5 - ვარგასი 4.5, იოვეტიჩი 5, ჯილარდინო 4.5.

**კიევო (4-4-2):** სორენტინო 8.5 - ნ. ფრეი 6, მორერო 6.5, მანდელი 6.5, ჯოკიჩი 7 - პინცი 6.5, მარკოლინი 6 (63. სარდო 7.5), რიგონი 6.5, მანტოვანი 7 - პელისიერი 7.5, დე პაულა 6.5 (66. არიატი 6).

**გოლები:** 0:1 კიევო (54), 0:2 სარდო (75)

**გაფრთხილება:** 0-4; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 7-21; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 29-8 (7-5); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 29 198

### ჯენოა-ლაციო 1:2

**ჯენოა (3-4-3):** სკარპი 5 - პაპასტატოპულოსი 6, მორეტი 5.5 (26. მესტო 4.5), ბოკეტი 4.5 - ტომოვიჩი 5 (51. ფატიჩი 6), იურიჩი 6, მილანეტო 5.5, კრიშიტო 5.5 - პალადინო 4 (61. სკული 6), აკვაფრესკა 5, პალასიო 6.5.

**ლაციო (3-5-2):** მუსლერა 6.5 - ბიავა 6.5, დიასი 7.5, რადუ 7 - ლიხტშტაინერი 6, ბროკი 6.5, ბარონიო 6.5, მაური 6.5, დელ ნერო 6.5 (90. სივილია) - როკი 6 (65. სარატე 5.5), ფლოკარი 7 (75. კრუსი).

**გოლები:** 1:0 პალასიო (8), 1:1 დიასი (25), 1:2 ფლოკარი (32)

**გაძევება:** ბოკეტი (69. ჯენოა)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 15-8 (5-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 25 982

### ბოლონია-პარმა 2:1

**ბოლონია (4-3-1-2):** ვივიანო 6.5 - რაჯი 6, პორტანოვა 6, მორასი 6 (77. ბრიტოსი), ლანა 5 - ბუშე 7, მუდინგაი 6, კაზარინი 6 (62. გუანა 6) - ადაილტონი 6 (61. პიზანუ 6.5) - დი ვაიო 7.5, სალაიეტა 6.5.

**პარმა (3-5-2):** მირანტე 7 - ძაკარდო 5, დელაფიორე 6, პაჩი 5.5 (43. ლუნარდინი 6) - კასტელინი 6.5, ვალიანი 6, გალოპა 6.5 (85. ლანცაფამე), ლ. ანტონელი 5, ბიაბიანი 7 - ბოჟინოვი 5.5 (43. ჯილი 5), კრესპო 5.5.

**გოლები:** 0:1 ბიაბიანი (24), 1:1 დი ვაიო (38), 2:1 დი ვაიო (50)

**გაძევება:** ძაკარდო (29. პარმა)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 22-8 (7-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 23 970

### უდინეზე-სიენა 4:1

**უდინეზე (4-3-3):** ჰანდანოვიჩი 6.5 - ფერონეტი 6 (82. კუადრადო), დომიცი 6.5, ლუკოვიჩი 6, პასკუალე 6 (72. ბადუ 6) - ისლა 7, ინლერი 6.5, ასამოა 6.5 - პეპე 7.5 (79. ლოდი), დი ნატალე 7, სანჩესი 7.5.

**სიენა (4-3-3):** კურჩი 6 - მალაგო 4.5 კრიბარი 5.5, პრატალი 6, დელ გროსო 5 - ვერგასოლა 6.5, ეკდალი 5 (55. იაროლიმი 5.5), ციოლისი 5.5 (66. ლარიონდო 6.5) - რეჟინალდო 5 (54. იაიალო 5.5), კალაიო 6.5, მაკარონე 7.

**გოლები:** 1:0 პეპე (19), 1:1 კალაიო (40), 2:1 პეპე (42), 3:1 სანჩესი (61), 4:1 დი ნატალე (81-პენ)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 11-20; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 16-11 (9-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 14 000

### ლივორნო-კატანია 3:1

**ლივორნო (4-3-2-1):** დე ლუჩია 6 - გალანტე 6, კნეჟევიჩი 6, ბერნარდინი 6, მორო 6 - რაიმონდი 6.5 (80. მოდიცა), ბერგვოლდი 7, ვიტალე 6 - დი ჯენარო 6 (62. მოცარტი 6), კ. ლუკარელი 7, ბელუჩი 6.5 (66. დანილევიჩუსი 6).

**კატანია (4-1-4-1):** ანდუხარი 6 - პ. ალვარესი 5.5, ტერლიცი 5.5, სილვესტრი 6, კაპუანო 4.5 - ბიაჯანტი 5 - დელვეკიო 5 (64. მორიმოტო 5.5) - იცკო 5 (75. პ. ლედესმა 5.5), რიკოუტი 5.5 (53. პოტენცა 6), მასკარა 6 - მაქსი ლოპესი 6.5.

**გოლები:** 1:0 კ. ლუკარელი (50-პენ), 2:0 ბელუჩი (60), 3:0 ბერგვოლდი (66), 3:1 მაქსი ლოპესი (87)

**გაძევება:** კაპუანო (49. კატანია)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 13-21; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 16-11 (7-5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 3 000

### რომა-სამპდორია 1:2

**რომა (4-2-3-1):** ჟულიო სერჟიო 6 - კასეტი 5.5 (74. ტადეი 5.5), ჟუანი 6, ბურდისო 6.5, რიისე 5 - დე როსი 6, პისარო 6.5 - მენეზი 7, პეროტა 5.5 (67. ტონი 6), ვუჩინიჩი 7 - ტოტი 7.

**სამპდორია (4-4-2):** სტორარი 7.5 - ძაური 5, გასტალდელო 6, ლუკინი 6, ციგლერი 5.5 - სემიოლი 6, პოლი 5.5 (46. ტისონე 6), პალომბო 5.5, გუბერტი 5 (46. მანინი 6.5) - კასანო 6.5 (80. ტესტარდი), პაცინი 7.5.

**გოლები:** 1:0 ტოტი (14), 1:1 პაცინი (52), 1:2 პაცინი (85)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 25-8 (7-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 54 206

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 35 | 21 | 10 | 4 | 68-31 | 73 |
| 2. რომა | 35 | 21 | 8 | 6 | 62-39 | 71 |
| 3. მილანი | 35 | 18 | 10 | 7 | 56-38 | 64 |
| 4. სამპდორია | 35 | 17 | 9 | 9 | 45-40 | 60 |
| 5. პალერმო | 35 | 16 | 10 | 9 | 54-44 | 58 |
| 6. იუვენტუსი | 35 | 16 | 6 | 13 | 52-49 | 54 |
| 7. ნაპოლი | 35 | 13 | 14 | 8 | 46-41 | 53 |
| 8. ჯენოა | 35 | 13 | 9 | 13 | 56-57 | 48 |
| 9. ფიორენტინა | 35 | 13 | 7 | 15 | 47-43 | 46 |
| 10. პარმა | 35 | 12 | 10 | 13 | 38-46 | 46 |
| 11. კიევო | 35 | 12 | 8 | 15 | 33-34 | 44 |
| 12. ბარი | 35 | 11 | 10 | 14 | 41-46 | 43 |
| 13. კალიარი | 35 | 11 | 9 | 15 | 52-53 | 42 |
| 14. უდინეზე | 35 | 11 | 9 | 15 | 48-51 | 42 |
| 15. კატანია | 35 | 9 | 13 | 13 | 41-43 | 40 |
| 16. ლაციო | 35 | 9 | 13 | 13 | 34-39 | 40 |
| 17. ბოლონია | 35 | 10 | 9 | 16 | 39-52 | 39 |
| 18. ატალანტა | 35 | 9 | 7 | 19 | 35-48 | 34 |
| 19. სიენა | 35 | 7 | 9 | 19 | 38-63 | 30 |
| 20. ლივორნო | 35 | 7 | 8 | 20 | 25-53 | 29 |

**ბომბარდირები:** 25 - დი ნატალე (უდინეზე); 20 - მილიტო (ინტერი); 17 - მიკოლი (პალერმო), პაცინი (სამპდორია); 15 - ჯილარდინო (ფიორენტინა); 14 - ბორიელო (მილანი); 13 - მატრი (კალიარი), ვუჩინიჩი (რომა); 12 - პ. ბარეტო (ბარი), ეტო'ო (ინტერი), ჰამშიკი (ნაპოლი), მაკარონე (სიენა), პატუ (მილანი).

## სერია B

### XXXVII ტური

**ჩეზენა-ემპოლი 2:3**

**გოლები:** 1:0 კოლუჩი (2), 1:1 კორალი (42), 2:1 სკელოტო (47), 2:2 მუზაჩი (67), 2:3 დე ჯორჯო (75)

**ალბინოლეფე-ფროზინონე 4:1**

**გოლები:** 1:0 ტორი (28), 2:0 ტორი (38), 3:0 ტორი (48), 3:1 კარიელო (57), 4:1 რუოპოლო (64)

**გაძევება:** სკარლატო (66. ფროზინონე)

**ვიჩენცა-პადოვა 0:0**

**ჩიტადელა-მანტოვა 6:0**

**გოლები:** 1:0 არდემანი (12), 2:0 ბელაცინი (26), 3:0 ბელაცინი (35), 4:0 პეტინარი (37), 5:0 ბელაცინი (53), 6:0 პეტინარი (85)

**კროტონე-ტორინო 1:0**

**გოლი:** 1:0 გაბიონეტა (2)

**გაძევება:** ლეონი (70. ტორინო)

**გროსეტო-ლეჩე 0:3**

**გოლები:** 0:1 ჯაკომაცი (39), 0:2 ანჟელო (45), 0:3 კორვია (71)

**სასუოლო-ანკონა 1:0**

**გოლი:** 1:0 მარტინეტი (21)

**გაძევება:** როსინი (62. სასუოლო)

**გალიპოლი-სალერნიტანა 3:2**

**გოლები:** 0:1 ორლანდო (10), 1:1 სკალია (15), 2:1 სკალია (22-პენ), 2:2 ორლანდო (72), 3:2 ჩენტი (74)

**გაძევება:** ბარიონუევო (90. სალერნიტანა)

**ბრეშა-რეჯინა 0:0**

**ასკოლი-პიაჩენცა 1:1**

**გოლები:** 0:1 მოსკარდელი (37), 1:1 ანტენუჩი (45)

**ტრიესტინა-მოდენა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეჩე | 37 | 18 | 13 | 6 | 61-43 | 67 |
| 2. სასუოლო | 37 | 16 | 13 | 8 | 50-35 | 61 |
| 3. ჩიტადელა | 37 | 16 | 12 | 9 | 55-37 | 60 |
| 4. ბრეშა | 37 | 17 | 9 | 11 | 50-40 | 60 |
| 5. ჩეზენა | 37 | 15 | 14 | 8 | 46-27 | 59 |
| 6. გროსეტო | 37 | 14 | 15 | 8 | 58-54 | 59 |
| 7. ემპოლი | 37 | 15 | 10 | 12 | 59-44 | 55 |
| 8. ტორინო | 37 | 15 | 10 | 12 | 46-34 | 55 |
| 9. კროტონე (-2) | 37 | 15 | 10 | 12 | 45-41 | 53 |
| 10. ანკონა | 37 | 15 | 7 | 15 | 49-45 | 52 |
| 11. ასკოლი | 37 | 13 | 12 | 12 | 50-48 | 51 |
| 12. ალბინოლეფე | 37 | 12 | 13 | 12 | 50-46 | 49 |
| 13. რეჯინა | 37 | 13 | 8 | 16 | 42-48 | 47 |
| 14. პიაჩენცა | 37 | 12 | 11 | 14 | 32-39 | 47 |
| 15. მოდენა | 36 | 12 | 10 | 14 | 30-38 | 46 |
| 16. ვიჩენცა | 37 | 10 | 15 | 12 | 36-38 | 45 |
| 17. ფროზინონე | 37 | 12 | 7 | 18 | 44-62 | 43 |
| 18. ტრიესტინა | 36 | 11 | 9 | 16 | 34-44 | 42 |
| 19. პადოვა | 37 | 9 | 14 | 14 | 36-42 | 41 |
| 20. მანტოვა | 37 | 9 | 14 | 14 | 38-52 | 41 |
| 21. გალიპოლი | 37 | 10 | 10 | 17 | 37-60 | 40 |
| 22. სალერნიტანა | 37 | 5 | 8 | 23 | 36-66 | 23 |

**ბომბარდირები:** 24 - პინილია (გროსეტო); 23 - რ. ბიანკი (ტორინო); 22 - ანტენუჩი (ასკოლი), ედერი (ემპოლი); 19 - კარაჩოლო (ბრეშა), მასტრონუნციო (ანკონა); 18 - არდემანი (ჩიტადელა); 16 - კორალი (ემპოლი).

## ლეგა პრო 1/A

### XXXII ტური

პერუჯა-ბენევენტო 1:2, ნოვარა-კრემონეზე 3:3, პრო პატრია-ფოლინიო 4:2, ვარეზე-მონცა 2:2, ალესანდრია-ლუმეცანე 1:0, ფილინე-არეცო 1:0, პერგოკრემა-პაგანეზე 1:0, კომო-სორენტო 2:1, ვიარეჯო-ლეკო 4:2.

## ლეგა პრო 1/B

### XXXII ტური

პოტენცა-პორტოგრუარო 0:3, ვირტუს ლანჩანო-რიმინი 1:0, ჯულიანოვა-კავეზე 0:2, ფოჯა-პესკარა 1:0, რეალ მარჩანიზე-ტერნანა 4:0, რეჯანა-სპალ 0:1, ვერონა-ტარანტო 1:0, ანდრია-პეშინა 3:0, კოზენცა-რავენა 2:2.



ბორუსია (მ)-ბაიერნი. რიბერის ჰერმანისგან ყბაში მოხვდა

# მაგათმა ბაიერნი აანერვიულა!

## შალკემ ჩემპიონთა ლიგა გაინაღდა და ჩემპიონობაზე ოცნებობს

ტყუილად ფიქრობდნენ მიუნხენელები, რომ მიონხენგლადბახში იოლი გასეირნება ელოდათ - სეირნობით გერმანიის ჩემპიონი ვერ გახდები. „ბაიერნი" „გლადბახთან" 1:1-ს დასჯერდა და ისეთი ფეხბურთი ითამაშა, როგორითაც გერმანიის ჩემპიონობას არ იმსახურებს. მართალია, რეკორდმაისტერი მაინც პირველ ადგილზე დარჩა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: „შალკეს" თავკაცმა **ფელიქს მაგათმა** „ბაიერნი" ისევ აანერვიულა! მიუნხენური გრანდი გელზენკირხენულ კლუბს მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდებით ჯობნის. მაგათმა კი ამ ტურის წინ გადაჭრით თქვა, ზუსტად ვიცი, რომ მიუნხენელები ქულებს კიდევ დაკარგავენო და აჰა, „ბაიერნმა" მიონხენგლადბახში ორი ქულა დატოვა და „დესპოტი ფელიქსი" მიუნხენური კლუბის ნერვებზე თამაშს აგრძელებს. შაბათს, მატჩების დასრულების შემდეგ, „შალკეს" თავკაცმა თქვა, ჩემს გუნდს საუკეთესო შანსი აქვს, გახდეს გერმანიის ჩემპიონიო. არადა, „ბაიერნს" ბურთების შეფარდება იმდენად უკეთესი აქვს, რომ საკმარისია, დარჩენილ ორ ტურში იმარჯვოს, რომ „ვერცხლის სინს" დაისაკუთრებს. მაშ რისი იმედი აქვს მაგათს?

*„ბაიერნის" მწვრთნელმა და პრეზიდენტმა რაც უნდათ ის თქვან, ფაქტი კი ისაა, რომ ჩემპიონთა ლიგა თავიდან არ შორდებათ და ზუსტად ვიცი, რომ ბუნდესლიგაზე მეტად „ლიონთან" მომავალ მატჩზე და ფინალში გასვლის პერსპექტივაზე ფიქრობენ, რაც რეკორდმაისტერს ბუნდესლიგაში კონცენტრაციას აკარგვინებს. ამიტომაც მოხდა სენსაცია და „ბაიერნმა" მიონხენგლადბახში ვერ მოიგო. დიდია იმის შანსი, რომ მიუნხენელებმა ქულები დარჩენილ ორ ტურშიც დაკარგონ. სწორედ ამიტომ, ორივე თამაშის მოგების შემთხვევაში, ჩემპიონობის შესანიშნავი შანსი გვაქვს,"* - აღნიშნა გახარებულმა ფელიქსმა.

დარჩენილ ტურებში „ბაიერნი" ჯერ „ბოხუმს" მასპინძლობს, ბოლოს კი ბერლინში ჩადის. ასე რომ, ეთამაშება კლუბებს, რომლებიც გადარჩენისთვის იბრძვიან. „შალკეს" მომდევნო ტურში „ვერდერთან" საშინაო მატჩი ელის, ბოლო ტურში კი მაინცში უნდა ჩავიდეს. მიუნხენელთა ლიდერი **არიენ რობენი** მიიჩნევს, რომ „ბაიერნის" გაჩემპიონება ძალიან მარტივია, რადგან მიუნხენური კლუბის ბედი მისსავე ხელშია - ბავარიელებს ორივე მატჩის მოგება სჭირდებათ. მენეჯერი **კრისტიან ნერლინგერი** ამბობს, ნერვები ოდნავადაც არ გვაქვს მოშლილიო. პრეზიდენტი **ული ჰიონესი** კი დასძენს: *„ჯერ არაფერი მომხდარა. ასე რომ, მაგათს ზეიმის უფლება არ აქვს."*

რეკორდმაისტერისთვის ცუდი ის არის, რომ შაბათს **მარტინ დემიკელისი** და **დანიელ ვან ბუიტენი** დაშავდნენ. „ლიონთან" მათი თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა. *„ეს ჩვენთვის საშინელებაა. იმედი მაქვს, რომ სამშაბათამდე ერთ-ერთი მათგანი მაინც გამოჯანმრთელდება,"* - ამბობს „ბაიერნის" თავკაცი **ლუის ვან გაალი**. სხვათა შორის, „გლადბახთან" მატჩში ვან გაალმა ბევრი გააოცა, როცა მეორე ტაიმში მოედანზე **მიროსლავ კლოზე** (მანამდე 2 გოლი) შეუშვა, **მარიო გომესი** (10 გოლი) კი სათადარიგოთა სკამზე დატოვა. და როცა კლოზემ ანგარიში გაათანაბრა, ვან გაალმა კამერების წინ რამდენჯერმე მიიდო თითი ცხვირზე. უნდოდა, ყველასათვის ენიშნებინა, ნახეთ, რა მაგარი ყნოსვა მაქვსო. ფაქტია: რომ არა კლოზეს გოლი, „ბაიერნი" ახლა მეორე ადგილზე იქნებოდა.

რაც შეეხება გელზენკირხენულ კლუბს: „შალკემ" ურთულესი მატჩი მოიგო ბერლინში „ჰერტასთან", რომელიც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, გადარჩენისთვის ბრძოლას ამ წაგების შემდეგაც აგრძელებს. ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე" საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად 50 000 ქომაგი მივიდა, გელზენკირხენიდან კი ბერლინში 10 000 ფანი ჩავიდა და სწორედ ასე შეიქმნა დედაქალაქში უდიდესი საფეხბურთო განწყობა. თამამად ვიტყვით: „შალკეს" გაუმართლა, რადგან ბერლინელებმა რამდენიმე ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენეს. გამარჯვების იღბლიანი გოლი კი **ჰაიკო ვესტერმანმა** მატჩის მიწურულს, 87-ე წუთზე გაიტანა, რითაც „შალკეს" ჩემპიონთა ლიგაში თამაში გაუნაღდა - რაც უნდა მოხდეს, გელზენკირხენელები მეორე ადგილს აღარ დათმობენ. „ჰერტას" კი ვერც მეკარე **იაროსლავ დრობნის** ბრწყინვალე თამაშმა უშველა, რომელმაც მატჩის შემდეგ მაგრად გააკრიტიკა ჯერ „ჰერტას" თავდამსხმელები **რამოსი** და **გეკასი**, მერე კი კლუბის ხელმძღვანელობა - **მარკო პანტელიჩი** არ უნდა გაეშვათ, ამ სეზონში რომ გვყოლოდა, ახლა ამ დღეში არ ვიქნებოდითო. „ჰერტამ" ბერლინის „ტასმანიას" ანტირეკორდი (1965/66) გაიმეორა: ბერლინელებმა ზედიზედ მე-15 საშინაო მატჩი ვერ მოიგეს. მაგრამ იმის გამო, რომ კონკურენტებიც დამარცხდნენ, „ჰერტას" ჯერ კიდევ შერჩა მიზერული შანსი იმისა, რომ არ გავარდეს. ოღონდ, ამისთვის ბერლინელებმა ჯერ ლევერკუზენში უნდა მოიგონ, ბოლოს კი „ბაიერნიც" უნდა დაამარცხონ, რაც, დაგვეთანხმებით, უტოპიური პერსპექტივაა.

დაძაბული და დრამატული ბრძოლაა გაჩაღებული ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურისთვის. მესამე ადგილის სიახლოვეს ვითარება ისე დაიძაბა, რომ ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურისთვის ერთბაშად ოთხი გუნდი იბრძვის. ყველაზე მცირე შანსი „შტუტგარტს" აქვს. უფრო სწორად, შვაბურ კლუბს ახლა გაუჩნდა იმის შანსი, რომ ჩემპიონთა ლიგაში გავიდეს. შვაბები მეორე წრეში ბრწყინვალედ ასპარეზობენ, 15-დან 12 მატჩის მოგება შეძლეს და მართალია, მესამე ადგილზე მყოფ „ვერდერს" 4 ქულით ჩამორჩებიან, დარჩენილ ორ ტურში კი მხოლოდ 6 ქულის მოპოვება შეიძლება, მაგრამ პერსპექტივა ნამდვილად აქვთ, რადგან დარჩენილ ტურებში „მაინცს" და „ჰოფენჰაიმს" ხვდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ალბათ ორივე თამაშს მოიგებენ. პარასკევს „შტუტგარტმა" ბოხუმში გაიმარჯვა - 2:0.

ბრემენის „ვერდერმა" კი სამეულში ადგილი ძლივსძლივობით შეინარჩუნა. „მუსიკოსები" უმოტივაციო „კიოლნს" მასპინძლობდნენ, მაგრამ სამი ქულის მოპოვება ისე გაუჭირდათ, როგორც არასდროს. „ვერდერისგან" ერთადერთი, გამარჯვების გოლის გატანა, გუნდის კაპიტანმა **ტორსტენ ფრინგსმა** 91-ე წუთზეღა შეძლო და ისიც პენალტით. მომდევნო ტურში კი **თომას შააფის** სამწყსოს ურთულესი გასვლითი შეხვედრა ელის „შალკესთან" და დიდი შანსია, რომ გელზენკირხენში ვერ მოიგოს. შესაბამისად, „ლევერკუზენი" და დორტმუნდის „ბორუსია" მზად იქნებიან, გადაასწრონ. ამ უქმეებზე ორივე მათგანმა სამ-სამი ქულა მოიპოვა. „ლევერკუზენმა" გადარჩენისთვის მებრძოლი „ჰანოვერი" დაიბრიყვა, ოღონდ არა ისე, როგორც „ბაიერნმა" ერთი კვირის წინ (7:0). „ფარმაცევტებმა" სამი გოლი იკმარეს და აქედან ორი **შტეფან კისლინგმა** გაიტანა (ერთი პენალტით), რითაც ბომბარდირთა დავაში ძალიან მიუახლოვდა ვოლფსბურგელ **ედინ ჯეკოს**. „დორტმუნდმა" კი გადარჩენისთვის მებრძოლი მეორე გუნდი, „ნიურნბერგი" დაამარცხა მისსავე „ფრანკენშტადიონზე", ანგარიშით 3:2. „შავ-ყვითლებიდან" სამივე გოლი **ლუკას ბარიოსის** ანგარიშზეა, რომელმაც გოლთა აქტივი 18-მდე გაზარდა და საუკეთესო ბომბარდირის წოდებისთვის ბრძოლას ისიც აგრძელებს.

საინტერესო ის არის, რომ არგენტინელ თავდამსხმელს მანამდე 373-წუთიანი უგოლო სერია ჰქონდა. ოთხშაბათს კი, „ბორუსიას" მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** ბარიოსს ფსიქოლოგიური თერაპია ჩაუტარა, კაბინეტში დაიბარა და დიდხანს ესაუბრა. ამ გამარჯვების წყალობით, დორტმუნდელებს ევროპის ლიგაში თამაში ფაქტობრივად განაღდებული აქვთ, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებიან, ორივე თამაშის (ვოლფსბურგთან და ფრაიბურგში) მოგებას გეგმავენ და ჩემპიონთა ლიგაში გასვლა უნდათ.

შაბათს კიდევ ერთი საინტერესო მატჩი გაიმართა: „მაინცმა" „აინტრახტს" უმასპინძლა. მართალია, ამ სეზონში ორივე გუნდს აღარაფერი ადარდებს, მაგრამ ამ გუნდების დაპირისპირება სამკვდრო-სასიცოცხლო, რაინ-მაინ-დერბია. ამიტომაც იყო, მაინცელებმა და ფრანკფურტელებმა კინაღამ ერთმანეთი რომ დახოცეს. საბოლოოდ კი, უხვგოლიანი ფრე, 3:3!

გუშინ უმოტივაციო „ჰოფენჰაიმმა" ევროტურნირებისთვის მებრძოლ „ჰამბურგს" მოულოდნელად კუდით ქვა ასროლინა - „სოფლელებმა" 5:1 გაიმარჯვეს. ამით, „ჰოფენჰაიმმა" მოგების გემო გაიხსენა, ხოლო „ჰამბურგის" კრიზისი კიდევ უფრო დაამძიმა. თუ მანამდე არ გააგდეს, **ბრუნო ლაბადიას** უეჭველი „ფულჰემთან" წარუმატებლობის შემთხვევაში მოხსნიან.

აუტსაიდერთაგან „ფრაიბურგი" ერთადერთი გუნდია, რომელმაც ამ ტურში 3 ქულა მოიპოვა. გუშინ ბრაისგაუელებმა გერმანიის ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონი „ვოლფსბურგი" 1:0 დაამარცხეს და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. სეზონის დასრულებამდე 2 ტურით ადრე, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ხუთ კლუბს ემუქრება და მათ შორის „ფრაიბურგი" ყველაზე უკეთეს მდგომარეობაშია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

**1 მაისი. ბორუსია (დ)-ვოლფსბურგი, ლევერკუზენი-ჰერტა, აინტრახტი-ჰოფენჰაიმი, შალკე-ვერდერი, ბაიერნი-ბოხუმი, ჰანოვერი-ბორუსია (მ), კიოლნი-ფრაიბურგი, შტუტგარტი-მაინცი, ჰამბურგი-ნიურნბერგი.**

### ბოხუმი-შტუტგარტი 0:2

**ბოხუმი (4-3-2-1):** ჰეერვაგენი 3.5 - პფერტცელი 4, მალტრიტცი 5, მავრაი 5, ბიონიგი 5 - მარიჩი 4.5, იაია 4, ფუხსი 4 - ეპალე 5.5 (62. აზაუაგი 4), ჰოლტბი 5.5 (84. ფრაიერი) - შესტაკი 5.5 (69. დედიჩი 4.5).

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ლემანი 3.5 - ოსორიო 4 (64. კუყმანოვიჩი 3.5), ტასკი 2.5, დელპიერი 3, მოლინარო 2.5 - ტრეში 3, ხედირა 3.5 - გებჰარდტი 3, ჰილბერტი 3.5 - კაკაუ 2.5, მარიკა 2.5 (79. შიბერი).

**გოლები:** 0:1 კაკაუ (14), 0:2 მარიკა (18)

**გაფრთხილება:** 4-0; **დარტყმა:** 10(2)-14(5); **ჯარიმა:** 23-24; **კუთხური:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 25 431

### მაინცი-აინტრახტი 3:3

**მაინცი (4-2-3-1):** ჰ. მიულერი 4 - ზაბავნიკი 4, სვენსონი 5, ნოვესკი 5, ფათი 4 - კარჰანი 4, პოლანსკი 4 - ფ. ჰელერი 4.5 (46. ივანშიტცი 4.5/82. ტროიანი), შიმაკი 3, შალაი 4 (79. შიურლე) - ბონსე 1.5.

**აინტრახტი (4-2-2-1-1):** ნიკოლოვი 3.5 - იუნგი 3.5, ფრანცი 4, რუსი 4, კიოლერი 3 - კლერკი 3, შვეგლერი 3 - პ. ოხსი 3, ქორქმაზი 2 (82. ლიბეროპულოსი) - ა. მაიერი 2 - ჰალილ ალთინთოფი 5 (61. ფენინი 4).

**გოლები:** 0:1 ა. მაიერი (13), 0:2 ა. მაიერი (20), 1:2 ბონსე (45+1), 2:2 შიმაკი (56), 2:3 ქორქმაზი (62), 3:3 ბონსე (86)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 13(5)-11(4); **ჯარიმა:** 21-25; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 20 300

### ნიურნბერგი-ბორუსია (დ) 2:3

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი 3.5 - დიკმაიერი 4, მარო 5, ნორდტვეიტი 4, პინოლა 4 - ოტლი 2.5, ტავარესი 4.5 (69. რისსე 4) - ფრანტცი 3 (80. აიგლერი), გიუნდოგანი 4, ბუნიაკუ 4.5 - ჩუპო-მოტინგი 4 (69. ბოაკი 4).

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი 3.5 - ოვომოიელა 3.5, სუბოტიჩი 4.5, ჰუმელსი 4, შმელცერი 4 - ს. ბენდერი 4.5 (46. ჰაინალი 4), ნ. შაჰინი 2 - ბლაშჩიკოვსკი 4 (81. ფელიპე სანტანა), ვალდესი 4 (88. ფოილნერი), გროსკროიტცი 3 - ბარიოსი 1.

**გოლები:** 0:1 ბარიოსი (27), 1:1 ფრანტცი (30), 1:2 ბარიოსი (63), 1:3 ბარიოსი (78), 2:3 აიგლერი (84)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 13(4)-12(7); **ჯარიმა:** 12-12; **კუთხური:** 5-5; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 48 548

### ბორუსია (მ)-ბაიერნი 1:1

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ბეილი 3 - ლეველსი 3, ბრუვერსი 4, დანტე 2.5, დემსი 4.5 - მარქსი 4, ბრედლი 4 - ჰერმანი 3.5 (81. კოლაუტი), არანგო 4 - როისი 2.5 (91. მეეუვისი), ბობადილია 3.5 (81. ფრენდი).

**ბაიერნი (4-2-2-1-1):** ბუტი 3.5 - ლამი 2.5, ვან ბუიტენი 4 (64. ტიმოშჩუკი 3.5), დემიკელისი 4.5 (46. კონტენტო 3.5), ბადშტუბერი 4 - შვაინშტაიგერი 3, პრანიჩი 4 - რობენი 3, რიბერი 3.5 - თ. მიულერი 4 (66. კლოზე 2.5) - ოლიჩი 4.5.

**გოლები:** 1:0 როისი (60), 1:1 კლოზე (73)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 10(3)-21(7); **ჯარიმა:** 17-15; **კუთხური:** 4-8; **ბურთის ფლობა:** 28%-72%.

**მაყურებელი:** 54 057

### ჰერტა-შალკე 0:1

**ჰერტა (4-1-2-1-2):** დრობნი 2.5 - პიყჩეკი 4, ა. ფრიდრიხი 3, ფონ ბერგენი 3.5, კობიაშვილი 4.5 - ლუსტენბერგერი 3.5 (77. დარდაი) - კაჩარი 4.5, სისერო 3.5 - რაფაელი 3.5 - რამოსი 3.5 (84. დომოვჩიისკი), გეკასი 4.5.

**შალკე (4-1-2-2-1):** ნოიერი 2 - რაფინია 3, ჰიოვედესი 4, ბორდონი 3, შმიტცი 4 - ვესტერმანი 3.5 - კლუგე 4 (77. მორიტცი), რაკიტიჩი 4 - ფარფანი 2.5 (90. ედუ), ჰაო 4 (80. სანჩესი) - კურანი 4.5.

**გოლი:** 0:1 ვესტერმანი (87)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 12(5)-11(7); **ჯარიმა:** 10-21; **კუთხური:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 61 902

### ლევერკუზენი-ჰანოვერი 3:0

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** გიფერი 3 - ვიდალი 3, მ. ფრიდრიხი 4, ჰიიპია 4, კადლეცი 3.5 - ლ. ბენდერი 3 (62. შარპეი 4), რაინარტცი 3.5 - კაპლანი 2 (79. პეცოსი), კროოსი 2.5 - კისლინგი 2 (89. ჟდებელი), დერდიოკი 5.

**ჰანოვერი (4-2-3-1):** ფრომლოვიტცი 4 - ჩერუნდოლო 3.5 (85. შლაუდრაფი), ეგიმანი 4, ჰაგი 4, კ. შულცი 4.5 - შმიდებახი 4, პინტუ 4.5 (60. რამა 3.5) - ჩაჰედი 5 (66. შტაინერი 4), ბრუგინკი 3.5, ბალიტში 3.5 - ჰანკე 4.

**გოლები:** 1:0 კისლინგი (26), 2:0 კაპლანი (64), 3:0 კისლინგი (88-პენ)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 9(6)-9(3); **ჯარიმა:** 13-16; **კუთხური:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 30 210

### ვერდერი-კიოლნი 1:0

**ვერდერი (4-2-3-1):** ვიზე 3.5 - ფრიტცი 3, მერტეზაკერი 2.5, ნალდო 3, პასანენი 3 - ფრინგსი 2, ბარგფრედე 3 - ძარინი 4 (73. დ. იენსენი), იოზილი 3, ჰანტი 4 (46. უგო ალმეიდა 3.5) - პისარო 2.5.

**კიოლნი (4-1-2-2-1):** კესლერი 1.5 - ბრეჩკო 3.5, ჟერომელი 4, მოჰამადი 2.5, ერეთი 3.5 - პეტიტი 3.5 - მანიშე 4 (84. მაკენა), მატუშიკი 4 - ტოშიჩი 4 (82. ბროზინსკი), პოდოლსკი 4.5 - ნოვაკოვიჩი 3.5 (77. ფრაისი).

**გოლი:** 1:0 ფრინგსი (90-პენ)

**გაძევება:** ჟერომელი (90. კიოლნი)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 23(10)-8(0); **ჯარიმა:** 17-24; **კუთხური:** 9-3; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 37 900

### ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი 5:1

**ჰოფენჰაიმი (4-2-2-2):** ჰაასი - ბეკი (79. რაიტალა), შუმუნიჩი (65. გულდე), კომპერი, აიხნერი - ვაისი, ლუის გუსტავო - კარლოს ედუარდო (46. ვუკჩევიჩი), სალიჰოვიჩი - ობასი, იბიშევიჩი.

**ჰამბურგი (4-2-2-2):** როსტი - რინკონი, ჟ. ბოატენგი, მატიისენი, აოგო (82. ბერტრამი) - იაროლიმი, ტეშე - ტროხოვსკი, პიტროიპა (56. არსლანი) - პეტრიჩი, ბერგი (46. როზენალი).

**გოლები:** 1:0 იბიშევიჩი (2), 2:0 იბიშევიჩი (11), 3:0 ობასი (31), 3:1 ტეშე (65), 4:1 ობასი (73), 5:1 სალიჰოვიჩი (76)

**გაძევება:** არსლანი (89. ჰამბურგი)

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 12(6)-10(5); **ჯარიმა:** 19-23; **კუთხური:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 30 150

### ფრაიბურგი-ვოლფსბურგი 1:0

**ფრაიბურგი (4-1-4-1):** პუპლინი - მუიჯა, ბართი, ბუტშერი, ბასტიანსი - შუსტერი - იეგერი, ფლუმი (83. კალიგიური), მაკიადი (78. ტოპრაკი), იდრისუ - სისე (87. რაიზინგერი.

**ვოლფსბურგი (4-2-2-2):** ბენალიო - პეკარიკი (82. კალენბერგი), მადლუნგი, ბარძალი, მ. შეფერი - ჟოსუე, გენტნერი - რიტერი, დეჟაგა - გრაფიტე, ჯეკო.

**გოლი:** 1:0 მაკიადი (38)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 11(4)-11(2); **ჯარიმა:** 14-23; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 22 700

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 32 | 18 | 10 | 4 | 66-29 | 64 |
| 2. შალკე | 32 | 19 | 7 | 6 | 53-29 | 64 |
| 3. ვერდერი | 32 | 16 | 9 | 7 | 68-39 | 57 |
| 4. ლევერკუზენი | 32 | 15 | 12 | 5 | 63-36 | 57 |
| 5. ბორუსია (დ) | 32 | 16 | 8 | 8 | 52-38 | 56 |
| 6. შტუტგარტი | 32 | 15 | 8 | 9 | 48-38 | 53 |
| 7. ჰამბურგი | 32 | 12 | 12 | 8 | 51-40 | 48 |
| 8. ვოლფსბურგი | 32 | 13 | 7 | 12 | 60-56 | 46 |
| 9. აინტრახტი | 32 | 12 | 10 | 10 | 45-49 | 46 |
| 10. მაინცი | 32 | 12 | 9 | 11 | 34-40 | 45 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 32 | 10 | 8 | 14 | 41-40 | 38 |
| 12. ბორუსია (მ) | 32 | 12 | 8 | 14 | 41-53 | 38 |
| 13. კიოლნი | 32 | 9 | 10 | 13 | 31-39 | 37 |
| 14. ფრაიბურგი | 32 | 8 | 7 | 17 | 30-56 | 31 |
| 15. ნიურნბერგი | 32 | 7 | 7 | 18 | 31-54 | 28 |
| 16. ბოხუმი | 32 | 6 | 10 | 16 | 32-58 | 28 |
| 17. ჰანოვერი | 32 | 7 | 6 | 19 | 34-66 | 27 |
| 18. ჰერტა | 32 | 5 | 8 | 19 | 32-52 | 23 |

**ბომბარდირები:** 21 - კისლინგი (ლევერკუზენი); 20 - ჯეკო (ვოლფსბურგი); 18 - ბარიოსი (ბორუსია დ), კურანი (შალკე); 15 - პისარო (ვერდერი); 14 - რობენი (ბაიერნი); 12 - ბუნიაკუ (ნიურნბერგი), კაკაუ (შტუტგარტი), დერდიოკი (ლევერკუზენი), იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი).

### II ბუნდესლიგა

### XXXII ტური

**კარლსრუე-ალენი 1:0**

**გოლი:** 1:0 ლანგკამპი (41)

**კაიზერსლაუტერნი-ჰანზა 0:1**

**გოლი:** 0:1 ბიულოვი (45)

**ზტ. პაული-კობლენცი 6:1**

**გოლები:** 1:0 ტაკი (42), 2:0 ნაკი (44), 3:0 ტაკი (57), 4:0 ებერსი (59), 5:0 ჰენინგსი (69), 6:0 მ. ლემანი (74-პენ), 6:1 პურიე (75)

**ალემანია-ფიურტი 2:2**

**გოლები:** 1:0 იოზგენი (45+1), 2:0 გეიე (48), 2:1 ალაგუი (54), 2:2 ჰერციგი (55-საკ. კარში)

**დუისბურგი-პადერბორნი 2:3**

**გოლები:** 0:1 ზალიკი (30), 1:1 ექსლაგერი (50), 1:2 ბრენდი (58), 1:3 ზალიკი (83), 2:3 ვიდოშიჩი (87)

**მიუნხენ 1860-ობერჰაუზენი 2:2**

**გოლები:** 1:0 ლაუთი (12-პენ), 2:0 მლაპა (23), 2:1 შმიდტგალი (30), 2:2 კიონიგი (43)

**ფრანკფურტი-აუგსბურგი 1:1**

**გოლები:** 0:1 თურკი (48), 1:1 კიდიმარი (70)

**არმინია-ფორტუნა 1:1**

**გოლები:** 0:1 ჰაიდინგერი (15), 1:1 ფორტი (65)

**კოტბუსი-უნიონი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაიზერსლაუტ. | 32 | 19 | 8 | 5 | 53-25 | 65 |
| 2. ზტ. პაული | 32 | 19 | 4 | 9 | 67-34 | 61 |
| 3. აუგსბურგი | 32 | 16 | 10 | 6 | 58-39 | 58 |
| 4. ფორტუნა | 32 | 15 | 8 | 9 | 44-30 | 53 |
| 5. დუისბურგი | 32 | 14 | 7 | 11 | 50-44 | 49 |
| 6. არმინია | 32 | 15 | 5 | 12 | 46-37 | 46 |
| 7. პადერბორნი | 32 | 12 | 9 | 11 | 45-47 | 45 |
| 8. მიუნხენ 1860 | 32 | 13 | 6 | 13 | 41-44 | 45 |
| 9. ფიურტი | 32 | 12 | 7 | 13 | 49-45 | 43 |
| 10. კარლსრუე | 32 | 12 | 6 | 14 | 41-44 | 42 |
| 11. ალემანია | 32 | 11 | 9 | 12 | 35-38 | 42 |
| 12. უნიონი | 31 | 10 | 11 | 10 | 37-39 | 41 |
| 13. ობერჰაუზენი | 32 | 12 | 5 | 15 | 37-49 | 41 |
| 14. კოტბუსი | 31 | 11 | 7 | 13 | 47-46 | 40 |
| 15. ფრანკფურტი | 32 | 9 | 9 | 14 | 28-49 | 36 |
| 16. ჰანზა | 32 | 10 | 5 | 17 | 32-42 | 35 |
| 17. კობლენცი | 32 | 7 | 8 | 17 | 32-57 | 29 |
| 18. ალენი | 32 | 5 | 6 | 21 | 18-51 | 21 |

**ბომბარდირები:** 23 - თურკი (აუგსბურგი); 18 - ებერსი (ზტ. პაული); 14 - იენდრიშეკი (კაიზერსლაუტერნი), ზალიკი (პადერბორნი); 13 - აუერი (ალემანია), ნიოთე (ფიურტი); 12 - ალაგუი (ფიურტი), ფედერიკო (არმინია), ჰარნიკი (ფორტუნა).

### III ბუნდესლიგა

### XXXVI ტური

**ოფენბახი-ვეენი 3:0, დრეზდენი-რეგენსბურგი 0:2, ბორუსია (დ) II-ოსნაბრიუკი 1:2, კიოლი-ერფურტი 1:2, ბურგჰაუზენი-აუე 0:2, ბრაუნშვაიგი-ბაიერნი II 3:1, ვერდერი II-ზანდჰაუზენი 3:0, უნტერჰახინგი-ვუპერტალი 1:0, კარლ ცაისი-ჰაიდენჰაიმი 1:2, ინგოლშტადტი-შტუტგარტი II 1:1.**

# მშვიდი ჩელსის შვიდი

დაიწყოთ ტურის მთავარი თამაშით: „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ოლდ ტრეფორდზე“ „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ უმასპინძლა და 3:1 მოუგო. მოგეხსენებათ, მანჩესტერელთა შემადგენლობაში ბოლო პერიოდში გამორჩეულად პორტუგალიელი **ნანი** თამაშობს, რომელმაც ამჯერადაც გამოიჩინა თავი: 81-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 1:1 იყო, პორტუგალიელმა გარდამტეხი გოლი გაიტანა, შემდეგ კი პენალტიც მოინადირა, რომელიც **რაიან გიგზმა** (ამ შეხვედრაში მეორე) გაიტანა. სხვა თაშორის, ნანის შემყურე მიმომხილველებს გაახსენდათ **კრისტიანო რონალდო** და ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ ბოლო წლებში „იუნაიტედს“ პორტუგალიელი ვარსკვლავები ამშვენებენ, თუმცა რონალდო, რასაკვირველია, მაინც გამორჩეული ფიგურა იყო, რომლამდეც ნანის ბევრი აკლია... თუმცა, „ტოტენჰემთან“ შეხვედრაში ნანიმ ნამდვილად რონალდოობა გასწია.

ისეთ გოლს, ნანიმ „სფურზის“ ბრაზილიელ მეკარე **გომესს** რომ გაუტანა, რონალდოც სიამოვნებით მოაწერდა ხელს. გარემარბმა ბურთი **მაკედასგან** მარჯვენა მხარეს მიიღო, საჯარიმოში შევარდა და მეკარეს ტექნიკურად გადაუგდო. ცნობისათვის: „ტოტენჰემ ჰოთსფურს“ „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ 1989 წლის შემდეგ არ მოუგია, ხოლო „დიდი ოთხეულის“ გუნდებთან მათ მოედანზე, ნუ გაგიკვირდებათ და, მთელი 66 წელიწადია არ გაუმარჯვია. ასე რომ, შეიძლება ითქვას, მოსახდენი მოხდა - არადა, როგორც იტყვიან, ქაღალდზე თამაში სულ სხვანაირი ჩანდა.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში არ უთამაშია **უეინ რუნის**. მას საზარდული აწუხებს. სერ **ალექს ფერგიუსონმა** მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა: *„ვფიქრობ, მის გამოჯანმრთელებას ორი ან სამი კვირა დასჭირდება. ჩვენ, რასაკვირველია, ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ის რაც შეიძლება მალე დაგვიბრუნდეს და დაგვეხმაროს, თუმცა დაცდის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია.*

*რაც შეეხება „ტოტენჰემთან“ შეხვედრას, ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ და ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ნერვები მოვთოკეთ. ლედლი კინგმა რომ გაგვითანაბრა, სულით არ დავეცით, ეს კი სეზონის ამ მონაკვეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ გახლავთ“.*

რაც შეეხება „ტოტენჰემის“ თავკაც **ჰარი რედნაპს,** მან ასე განაცხადა: *„ჩვენ ვერ ვითამაშეთ ისე კარგად, როგორც გვმართებდა. შეხვედრის დამთავრებამდე 10 წუთით ადრეც კი „ოლდ ტრეფორდის“ სტუმარი გუნდი ქულის წაღებაზე ფიქრობს და იცის, რომ თუ აქედან ფრით გააღწია, დიდი შედეგი იქნება. სამწუხაროდ, მეტოქისთვის ორი პენალტი რომ არ გვეჩუქებინა, შესაძლოა ჩვენც კარგი შედეგისთვის მიგვეღწია“.*

ქაღალდზე ჩამოწერილი თამაშებიდან ამ ტურში თვალსა და ყურს კიდევ „ემირეიტ სთედიუმზე“ „არსენალისა“ და „მანჩესტერ სიტის“ დაპირისპირება ჭრიდა და ხვდებოდა. ეს თამაში უგოლო ფრედ დასრულდა. მისი ანონსირებისას ჟურნალ-გაზეთებისა და ტელეარხების უმეტესობა ერთსა და იმავე თემას ატრიალებდა - **ემანუელ ადებაიორი** თავის ყოფილ გუნდს, თავის ყოფილ სტადიონზე უნდა შეხვედროდა. აქ, აღარ მოგაბეზრებთ თავს იმის შეხსენებით თუ რა მოხდა მეტოქეთა პირველი დაპირისპირებისას „ისტლენდზე“, როდესაც ადებაიორმა გოლი გაიტანა, მთელი მინდორი გადაირბინა და ყოფილი ქომაგების გასაღიზიანებლად, მაინც და მაინც მათ ტრიბუნასთან გასრიალდა მუხლებზე. ამჯერად ძველებური ამბავი აღარ განმეორებულა: „მანჩესტერ სიტის“ თავკაცმა **რობერტო მანჩინიმ** ადებაიორი სათადარიგოთა სკამზე დასვა და მოედანზე გვიანღა შეუშვა, ისიც **პატრიკ ვიეირას** ნაცვლად. ეს კი აი, რას ნიშნავდა: ვიეირაც ყოფილი არსენალელია, ოღონდ ადებაიორისგან განსხვავებით, ხალხის საყვარელი გმირი და კლუბის ყოფილი კაპიტანი (ინგლისში კლუბის კაპიტანი და გუნდის კაპიტანი განსხვავებული ცნებებია). შესაბამისად, ვიეირას მოედნიდან გასვლას თან ოვაცია სდევდა და ამან ადებაიორის შესვლით გამოწვეული რისხვა გაანეიტრალა.



მანჩესტერ იუნაიტედი-ტოტენჰემი. აურელიო გომესმა (მარჯვნივ) დიმიტარ ბერბატოვს დაასწრო

თავად შეხვედრა კი ასე წარიმართა: „არსენალი“ ბურთს უფრო მეტად ფლობდა და შესახედავად უპირატესობაც მისი იყო, მაგრამ, რეალურად **შეი გივენს** მხოლოდ ერთხელ-ორჯერ თუ აუჩქროლა გული. და კიდევ, გივენს რაც შეეხება: ეს მეკარე მეორე ტაიმის ერთ ეპიზოდში დაშავდა და მანჩინიმ ის ფარერელი **გუნარ ნილსენით** შეცვალა.

*„იმედი მაქვს, რომ გივენის ტრავმა სერიოზული არ არის, თუმცა დაბეჯითებით ჯერ მაინც ვერაფერს გეტყვით - თქვა მანჩინიმ - ამწუთას შეი საავადმყოფოშია, თუმცა ძალიან მეეჭვება, რომ დარჩენილ თამაშებში მეკარის თვალსაზრისით პრობლემა გვქონდეს“.*

შაბათის თამაშებიდან მნიშვნელოვანი გახლდათ პრემიერლიგაში დარჩენისთვის მებრძოლი ორი გუნდის, „ვესტ ჰემისა“ და „უიგანის“ დაპირისპირება. ამ შეხვედრაში მასპინძლებმა, „ვესტ ჰემის“ ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს. გადამწყვეტი გოლი **სკოტ პარკერმა** გაიტანა - მანამდე ანგარიში 2:2 გახლდათ. მისმა, დაახლოებით 20 მეტრიდან დარტყმულმა „აპტონ პარკის“ ბინადრები ერთი ნაბიჯით მიუახლოვა პრემიერლიგაში დარჩენას.

*„პარკერმა საკმაოდ რთული დარტყმით დიდებულად დაამთავრა საღამო -* თქვა მატჩის შემდეგ „ვესტ ჰემის“ მწვრთნელმა **ჯანფრანკო ძოლამ** - *დარტყმა რთული იმიტომ იყო, რომ დარტყმისთვის კუთხე არ უწყობდა ხელს, მაგრამ ბურთს ტრაექტორია ისე კარგად შეურჩია, რომ გოლი გავიდა. მაგრამ მე ჯერ არაფერს ვზეიმობ. ჩვენ ჯერ კიდევ ყურადღებით უნდა ვიყოთ და ქულები უნდა შევიმატოთ“.*

„უიგანის“ თავკაცი **რობერტო მარტინესი:** *„სამწუხაროა, ასეთი შეხვედრა რომ წავაგეთ. ვფიქრობ, ამ თამაშში ქულას ვიმსახურებდით. ვინ გავარდება და ვინ დარჩება, ჯერ არ არის გარკვეული. ვფიქრობ, ბრძოლა ბოლო წამამდე გაგრძელდება“.*

მწვრთნელთაგან გულდაწყვეტილი დარჩა „ბოლტონის“ თავკაცი **ოუენ კოილი**, რომელსაც პრემიერლიგაში გარანტირებული დარჩენისთვის გამარჯვება სჭირდებოდა, მაგრამ ნახა, როგორ გაუშვეს „პორტსმუთთან“ შეხვედრაში მისმა ბიჭებმა ხელიდან ორგოლიანი უპირატესობა. „ჰალმა“ პრემიერლიგაში ორი სეზონი გაძლო, ახლა კი ბედნიერების წლები დამთავრდა. სანდერლენდელი **დარენ ბენტის** მიერ მე-7 წუთზე გატანილმა გოლმა ამ გუნდს უძლიერესთა შორის დარჩენის შანსი არ დაუტოვა - ყველაფერს თავი რომ დავანებოთ და დავუშვათ, რომ „ვესტ ჰემი“ ორივე დარჩენილ თამაშს წააგებს, „ჰალი“ კი მოიგებს, ბურთების სხვაობის გამო ზედა ადგილზე მაინც ლონდონელები დარჩებიან. „ბლექბერნი“ ვულვერჰემპტონში იგებდა, მაგრამ **სილვან ებანკს-ბლეიკი** მოედანზე 79-ე წუთზე შევიდა და 81-ზე ანგარიში გაათანაბრა.

...ხოლო ის, რაც კვირა საღამოს „ჩელსიმ“ გააკეთა, სხვა არაფერი იყო, თუ არა „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ რაც შეიძლება მშვიდი, მკაფიო და მკაცრი მესიჯის გაგზავნა - ამ სეზონში „ლურჯები“ ტიტულის დათმობას არ აპირებენ.

ფაქტობრივად, **კარლო ანჩელოტის** გუნდს პასუხი უნდა გაეცა სერ **ალექს ფერგიუსონისთვის** „ტოტენჰემთან“ მოგებულ 3:1-ზე და ინებეთ... რასაკვირველია, ამ მიმოხილვაში შვიდივე გოლის აღწერა არ ღირს და აზრიც არ აქვს. ნუ დაიზარებთ და, თამაშის სტატისტიკაში ბურთის ფლობის პროცენტს ჩახედეთ - მიუხედავად იმისა, რომ ბურთის ხშირად ფლობა ყოველთვის არ არის გამარჯვების გარანტია, ამ შემთხვევაში ციფრები მეტად შთამბეჭდავია და ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს იძლევა.

„ლივერპულმა“ ბარნლიში მასპინძელი 4:0 დააწიოკა. ორი გოლი კაპიტანმა **სტივენ ჯერარდმა** გაიტანა, ერთი (და თავისი პირველი - „წითლების“ შემადგენლობაში) **მაქსი როდრიგესმა**, ბოლო კი **რაიან ბაბელმა.**

## მომდევნო ტური

**1 მაისი. ბირმინგემი-ბარნლი, მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა, პორტსმუთი-ვულვზი, სტოკი-ევერტონი, ტოტენჰემი-ბოლტონი. 2 მაისი. ლივერპული-ჩელსი, ფულჰემი-ვესტ ჰემი, სანდერლენდი-მანჩესტერ იუნაიტედი. 3 მაისი. უიგანი-ჰალი, ბლექბერნი-არსენალი.**

>> მე-10 გვერდზე



## ინგლისი პრემიერლიგა. XXXVI ტური

მე-8 გვერდიდან

### მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი 3:1

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი, რაფაელი (80. მაკედა), ევანსი, ვიდიჩი, ევრა (67. ოში), ვალენსია (60. ქერიკი), ფლეტჩერი, სქოულზი, ნანი, გიგზი, ბერბატოვი.

**ტოტენჰემი:** გომესი, ასუ-ეკოტო, დოუსონი, კინგი, ბეილი, ბენტლი (66. ლენონი), ჰადლსტოუნი, პალასიოსი, მოდრიჩი, პავლიუჩენკო (76. კრაუჩი), დეფო (55. გუდიონსენი).

**გოლები:** 0:1 გიგზი (58-პენ), 1:1 კინგი (70), 2:1 ნანი (81), 3:1 გიგზი (86-პენ)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 19-9 (6-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 75 268

### ვულვზი-ბლექბერნი 1:1

**ვულვზი:** ჰანემანი, ზუბარი, კრედოკი, ბერა, ელოკობო, ფოული (79. ებანკს-ბლეიკი), მენსიენი (66. მილიაში), ედუარდსი (37. იუელომო), ჯონსი, უორდი, დოილი.

**ბლექბერნი:** რობინსონი, სალგადო, ჯონსი, ნილსენი, ჟივე, ბაშთურქი (45. დანი), ნზონზი, პედერსენი, ოლსონი, კალინიჩი (57. ენდრიუსი), რობერტსი (86. დი სანტო).

**გოლები:** 0:1 ნილსენი (28), 1:1 ებანკს-ბლეიკი (81)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 15-13 (3-7); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 28 967

### ვესტ ჰემი-უიგანი 3:2

**ვესტ ჰემი:** გრინი, ფაბერი, და კოსტა, აპსონი, სპექტორი, ბეჰრამი, კოვაჩი, პარკერი, ნობლი (90. დაპრელა), კოული, ილანი (71. ფრანკო).

**უიგანი:** კირკლენდი, მელხიოტი, კოლდუელი, ბრამბლი, ფიგეროა, უოტსონი, მაკარტი, დიამე (90. შარნერი), მორენო (38. მოზესი), ნზოგბია (90. სკოტლენდი), როდალეგა.

**გოლები:** 0:1 სპექტორი (4-საკ. კარში), 1:1 ილანი (31), 2:1 კოვაჩი (45), 2:2 როდალეგა (52), 3:2 პარკერი (77)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11-14 (6-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 33 057

### ჰალი-სანდერლენდი 0:1

**ჰალი:** დიუკი, მენდი, მოუიოკოლო, გარდნერი, დოუსონი, ბარმბი (62. ფეგანი), ბოატენგი (76. კალენი), ბალარდი (45. კეირნი), ჯიოვანი, ელტიდორი, ფოლანი.

**სანდერლენდი:** გორდონი, ჰატონი, ტერნერი (45. ა.ფერდინანდი), კილგელონი, რიჩარდსონი, კემპბელი, ჰენდერსონი, მეილერი, მოლბრანკი (45. ბერდსლი), ბენტი, ჯონსი (61. კანა).

**გოლი:** 0:1 ბენტი (7)

**გაძევება:** ელტიდორი (45. ჰალი), ჰატონი (45. სანდერლენდი)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 14-17; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15-10 (5-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 25 012

### ბოლტონი-პორტსმუთი 2:2

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სტეინსონი, კეჰილი, ნაითი, რობინსონი, უეისი (70. ლი), მუამბა, უილშერი (82. მ. დევისი), ტეილორი, კ. დევისი, კლასნიჩი (76. ელმანდერი).

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ვანდენ ბორე, მოკოენა, როჩა, სოუა, სმიტი, ბრაუნი, იებდა (45. პიქვიონი), პიუზი, უტაკა, დინდანე.

**გოლები:** 1:0 კლასნიჩი (26), 2:0 კ. დევისი (28), 2:1 დინდანე (54), 2:2 დინდანე (68)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16-16 (9-5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 20 526

### არსენალი-მანჩესტერ სიტი 0:0

**არსენალი:** ფაბიანსკი, სანია, კემპბელი, კლიში, სილვესტრი, სონგი, ნასრი, დიაბი, უოლკოტი (69. ბენდტნერი), როსიცკი (69. ებუე), ვან პერსი.

**მანჩესტერ სიტი:** გივენი (76. ნილსენი), საბალეტა, ტურე, კომპანი, ბრიჯი (27. რიჩარდსი), ჯონსონი, დე იონგი, ვიეირა (53. ადებაიორი), ბერი, ბელამი, ტევესი.

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 14-3 (4-1); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 60 086

### ასტონ ვილა-ბირმინგემი 1:0

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, კუელარი, კოლინზი, დანი, უორნოკი, იანგი, მილნერი, პეტროვი, დაუნინგი, აგბონლაორი, კარეუ (70. ჰესკი).

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, ჯონსონი, რიჯუელი, ვინიალი (76. პერნები), ლარსონი (76. ფეჰეი), ფერგიუსონი, ბოიერი, გარდნერი (86. ფილიპსი), მაკფადენი, ჯერომი.

**გოლი:** 1:0 მილნერი (83-პენ)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 14-17; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 12-16 (6-7); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 42 788

### ბარნლი-ლივერპული 0:4

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, კორტი, დაფი, ფოქსი, პეტერსონი (71. იგლზი), ალექსანდერი (64. ბლეიკი), კორკი, ელიოტი, ს. ფლეტჩერი, ნაჯენტი (77. ტომპსონი).

**ლივერპული:** რეინა, ჯონსონი, კარაგერი, აიალა, აგერი (78. ლუკასი), მაქსი როდრიგესი, აკვილანი, მასკერანო, ბაბელი, ჯერარდი (82. პაჩეკო), კუიტი (48. ბენაიუნი).

**გოლები:** 0:1 ჯერარდი (52), 0:2 ჯერარდი (59), 0:3 მაქსი როდრიგესი (74), 0:4 ბაბელი (90)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 14-15 (4-7); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 21 553

### ევერტონი-ფულჰემი 2:1

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, ჯეგიელკა, დისტინი, ბეინესი, პიენაარი, არტეტა, ფ. ნევილი (61. საა), ბელიალეტდინოვი (45. ანიჩებე), კეჰილი, იაკუბუ (87. ბაქსტერი).

**ფულჰემი:** შვარცერი, პენტსილი, ბეირდი, სმოლინგი, შორი, რიისე, დეკგიკოი, გრინინგი, დემპსი, ნიველენდი (79. ელმი), ჩუკა (89. სტური).

**გოლები:** 0:1 ნიველენდი (36), 1:1 სმოლინგი (50-საკ. კარში), 2:1 არტეტა (90-პენ)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 7-15; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 17-8 (7-3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 35 578

### ჩელსი-სტოკ სიტი 7:0

**ჩელსი:** ჩეხი, ფერეირა (73. ჰაჩისონი), ალექსი, ივანოვიჩი, ე. კოული, ლემპარდი, ბალაკი, მალუდა, კალუ (71. ჯ. კოული), ანელკა (79. სტარიჯი), დროგბა.

**სტოკ სიტი:** სიორენსენი (36. ბეგოვიჩი), პუთი, ფაიე (9. შოუკროსი), ჰიგინბოტემი, კოლინზი, უაიტჰედი, დილეპი, უილანე, ეზერინგტონი, ფულერი, კიტსონი (59. თუნჯაი).

**გოლები:** 1:0 კალუ (24), 2:0 კალუ (31), 3:0 ლემპარდი (44-პენ), 4:0 კალუ (68), 5:0 ლემპარდი (81), 6:0 სტარიჯი (87), 7:0 მალუდა (89)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 7-0; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 33-3 (14-0); **ბურთის ფლობა:** 72%-28%.

**მაყურებელი:** 41 013

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 36 | 25 | 5 | 6 | 93-32 | 80 |
| 2. მანჩესტერ იუნ | 36 | 25 | 4 | 7 | 81-28 | 79 |
| 3. არსენალი | 36 | 22 | 6 | 8 | 78-39 | 72 |
| 4. ტოტენჰემი | 35 | 19 | 7 | 9 | 63-37 | 64 |
| 5. ასტონ ვილა | 36 | 17 | 13 | 6 | 51-35 | 64 |
| 6. მანჩესტ. სიტი | 35 | 17 | 12 | 6 | 69-42 | 63 |
| 7. ლივერპული | 36 | 18 | 8 | 10 | 61-33 | 62 |
| 8. ევერტონი | 36 | 15 | 12 | 9 | 59-49 | 57 |
| 9. ბირმინგემი | 36 | 12 | 11 | 13 | 35-44 | 47 |
| 10. სანდერლენდი | 36 | 11 | 11 | 14 | 47-53 | 44 |
| 11. ბლექბერნი | 36 | 11 | 11 | 14 | 38-54 | 44 |
| 12. ფულჰემი | 35 | 11 | 10 | 14 | 36-39 | 43 |
| 13. სტოკი | 35 | 10 | 13 | 12 | 33-44 | 43 |
| 14. ბოლტონი | 36 | 9 | 9 | 18 | 40-65 | 36 |
| 15. ვულვზი | 36 | 8 | 11 | 17 | 29-52 | 35 |
| 16. უიგანი | 36 | 9 | 8 | 19 | 35-69 | 35 |
| 17. ვესტ ჰემი | 36 | 8 | 10 | 18 | 44-62 | 34 |
| 18. ჰალი | 36 | 6 | 10 | 20 | 32-73 | 28 |
| 19. ბარნლი | 36 | 7 | 6 | 23 | 37-78 | 27 |
| 20. პორტსმუთი | 36 | 6 | 7 | 23 | 31-64 | 16* |

**ბომბარდირები:** 26 - რუნი (მანჩესტერ იუნ); 25 - დროგბა (ჩელსი); 24 - ბენტი (სანდერლენდი); 22 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 20 - ლემპარდი (ჩელსი); 18 - ტორესი (ლივერპული), დეფო (ტოტენჰემი); 15 - ფაბრეგასი (არსენალი).

### ჩემპიონშიპი

#### XLV ტური

**ბარნსლი-ქუინზ პარკი 0:1**
გოლი: 0:1 ლეიგერტვუდი (27)

**ბრისტოლ სიტი-დერბი ქაუნთი 2:1**
გოლები: 1:0 მეინარდი (3), 2:0 მეინარდი (79-პენ), 2:1 პირსონი (86)

**კარდიფი-შეფილდ უენ 3:2**
გოლები: 0:1 ჯონსონი (15), 1:1 უიტინგემი (17), 2:1 ბოთროიდი (54), 2:2 თაჯი (78), 3:2 ბოთროიდი (81)

**დონკასტერი-სკანთორპი 4:3**
გოლები: 0:1 ჰუპერი (19), 1:1 ემანუელ-ტომასი (22), 2:1 მატჩი (45), 2:2 ჰეიესი (53), 3:2 ჰეიტერი (58), 3:3 ჰუპერი (84), 4:3 მარტისი (89)

**მიდლსბრო-ქოვენთრი 1:1**
გოლები: 1:0 მაკდონალდი (52), 1:1 გუნარსონი (58)

**ნიუკასლი-იფსვიჩი 2:2**
გოლები: 1:0 კეროლი (26), 1:1 უიქჰემი (42), 2:1 ამეობი (84-პენ), 2:2 უოლტერსი (90)

**ნოტინგემი-პლიმუთი 3:0**
გოლები: 1:0 ერნშოუ (19), 2:0 ნგალა (34-საკ. კარში), 3:0 ანდერსონი (90)

**პიტერბორო-ბლექპული 0:1**
გოლი: 0:1 კემპბელი (11)

**პრესტონი-ლესტერი 0:1**
გოლი: 0:1 კინგი (63)

**შეფილდ იუნ-სუონსი 2:0**
გოლები: 1:0 კრესუელი (62), 2:0 დე ვრისი (90-საკ. კარში)

**უოტფორდი-რედინგი 3:0**
გოლები: 1:0 გრემი (30), 2:0 ჰელგიუსონი (47), 3:0 გრეჰემი (55)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 45 | 29 | 12 | 4 | 89-35 | 99 |
| 2. ვესტ ბრომვ. | 44 | 26 | 11 | 7 | 87-46 | 89 |
| 3. ნოტინგემი | 44 | 22 | 12 | 11 | 63-38 | 78 |
| 4. კარდიფი | 45 | 22 | 10 | 13 | 73-52 | 76 |
| 5. ლესტერი | 45 | 20 | 13 | 12 | 59-45 | 73 |
| 6. ბლექპული | 45 | 19 | 12 | 14 | 73-57 | 69 |
| 7. სუონსი | 45 | 17 | 17 | 11 | 40-37 | 68 |
| 8. მიდლსბრო | 45 | 16 | 14 | 15 | 58-48 | 62 |
| 9. შეფილდ იუნ | 45 | 16 | 14 | 15 | 59-55 | 62 |
| 10. ბრისტოლი | 45 | 15 | 17 | 13 | 55-64 | 62 |
| 11. რედინგი | 45 | 16 | 12 | 17 | 64-62 | 60 |
| 12. დონკასტერი | 45 | 15 | 14 | 16 | 59-58 | 59 |
| 13. ქუინზ პარკი | 45 | 14 | 15 | 16 | 58-64 | 57 |
| 14. იფსვიჩი | 45 | 12 | 20 | 13 | 50-58 | 56 |
| 15. პრესტონი | 45 | 13 | 15 | 17 | 57-69 | 54 |
| 16. ქოვენთრი | 45 | 13 | 15 | 17 | 47-60 | 54 |
| 17. დერბი | 45 | 14 | 11 | 20 | 51-63 | 53 |
| 18. ბარნსლი | 45 | 14 | 11 | 20 | 52-68 | 53 |
| 19. უოტფორდი | 45 | 13 | 12 | 20 | 57-68 | 51 |
| 20. სკანთორპი | 45 | 14 | 9 | 22 | 60-82 | 51 |
| 21. კრ. პალასი | 44 | 14 | 15 | 15 | 47-50 | 47 |
| 22. შეფილდ უენ | 45 | 11 | 13 | 21 | 47-67 | 46 |
| 23. პლიმუთი | 45 | 11 | 8 | 26 | 42-66 | 41 |
| 24. პიტერბორო | 45 | 7 | 10 | 28 | 44-79 | 31 |

**ბომბარდირები:** 20 - უიტინგემი (კარდიფი); 19 - ჰუპერი (სკანთორპი), მეინარდი (ბრისტოლი); 17 - კეროლი (ნიუკასლი), ნოლანი (ნიუკასლი); 16 - ადამი (ბლექპული), ჩოპრა (კარდიფი); 15 - ერნშოუ (ნოტინგემი), შარპი (დონკასტერი), სიგურდსონი (რედინგი).

### პირველი ლიგა

#### XLIV ტური

ბრენტფორდი-იეოვილი 1:1, ბრაიტონი-ბრისტოლი 2:1, კოლჩესტერი-ტრანმერი 1:1, ექსეტერი-ჩარლტონი 1:1, ლიდსი-მილტონი 4:1, მილუოლი-ლეიტონი 2:1, ნორვიჩი-ჯილინგემი 2:0, ოლდჰემი-საუთენდი 2:2, საუთჰემპტონი-კერლისლი 3:2, სტოკპორტი-ჰადერსფილდი 0:6, უოლსოლი-ჰარტლპული 3:1, უაიკომბი-სვინდონი 2:2.

### მეორე ლიგა

#### XLIV ტური

ბერნეტი-როტერჰემი 0:1, ბარტონი-ბურნმუთი 0:2, ჩელტენჰემი-ოლდერშოტი 1:2, ჩესტერფილდი-ბრედფორდი 1:1, ქრუ-ეკრინგტონი 5:1, დარლინგტონი-გრიმსბი 0:2, ჰერეფორდი-როჩდეილი 2:1, ლინკოლნი-ბერი 1:0, მორკეიმბი-დაგენჰემი 1:0, ნორთემპონი-შრუსბერი 2:0, პორტ ვეილი-ნოთს ქაუნთი 2:1, თორგუეი-მაკლსფილდი 1:0.

### კონფერენსი

#### XLIV ტური

ელტრინჩემი-კემბრიჯი 0:2, ისტბერნი-ოქსფორდი 1:0, გეითსჰედი-უიმბლდონი 1:0, გრეისი-ფორესტ გრინი 2:1, ჰეიესი-ვრექსჰემი 0:1, ჰისტონი-ბეროუ 2:2, მენსფილდი-კიდერმინსტერი 3:3, რაშდენი-ლუტონი 1:1, სელისბერი-კეტერინგი 2:0, სტივენიჯი-იორკი 1:0, ტიმუორთი-ებსფლიტი 3:4.

ილია ბაბუნაშვილი

## ესპანეთი

# კაკამ, კინო გრძელდებაო...

მე-6 გვერდიდან

**პეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„თამაშით დიდად არა, მაგრამ შედეგით კმაყოფილი ვარ. ეს ყველა ასპექტით საშიში მატჩი იყო, ბიჭები „ინტერთან“ მატჩზე ფიქრობდნენ, მეტოქეს დასაკარგავი არაფერი ჰქონდა და არც უხეშობა უთაკილია. ფეხბურთელი მეც ვყოფილვარ და ვიცი, რამდენად მტკივნეულია, როცა მეტოქე მიზანმიმართულად გეუხეშება, ეს, უბრალოდ, ფეხბურთის უპატივცემლობაა“.*

**ნესტორ გოროსიტო** (ხერესი): *„ბიჭებს ვეუბნებოდი, რომ უშიშრად ეთამაშათ. ჩემი აზრით, პიკეს და მესის გამოსვლამ წაგვაგებინა, პიკემ მასპინძელთა დაცვას დამაჯერებლობა შემატა, მესის გამოჩენამ კი ბიჭებს თვითრწმენა გაუქრო“.*

არაგონის დედაქალაქში „რეალს“ მასპინძელთა გუნდი თავიდანვე უხეშობით დაუპირისპირდა. როცა **პონსიომ რონალდო** მესამედაც წააქცია უხეშად, რეფერიმ მას ყვითელი ბარათი მისცა, არადა, მატჩის დაწყებიდან 10 წუთიც კი არ იყო ჯერ გასული. მე-14 წუთზე **ვან დერ ვაარტმა** ტრავმა მიიღო და ის **რაულმა** შეცვალა. ჰოლანდიელისთვის სეზონი დასრულებულია. მალე „სარაგოსაც“ დაზარალდა ტრავმის გამო, **სერხიო რამოსთან** ორთაბრძოლაში **სუასომ** მხარი იტკინა და მის ნაცვლად **კოლუნგა** გამოჩნდა.

მე-2 ტაიმში ანგარიში რაულმა გახსნა, **რობერტომ** რონალდოს დარტყმული ფეხით მოიგერია, მაგრამ ბურთს ისევ პორტუგალიელმა მიუსწრო, რომელმაც რაულს გადააწოდა და ამ უკანასკნელმაც ორთვიანი პაუზის შემდეგ გაიტანა. არადა, რაულმა წუთის წინ კოჭი დაიზიანა და შეცვლა თავად ითხოვა, უბრალოდ, გოლამდე ეს ვერ მოესწრო. რაულმა „რეალში“ 228-ე გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით ესპანეთის ჩემპიონატის მესამე გოლეადორი გახდა. ამ გოლით რაულმა **ალფრედო დი სტეფანოს** გაასწრო და ოდენ **ტელმო სარას** (ბილბაო, 252 გოლი) და **უგო სანჩესს** (რეალი, 234) ჩამორჩება. მალევე **იგუაინთან** ორთაბრძოლაში იტალიელმა **მატეო კონტინიმ** წითელი ბარათი მიიღო.

11 წუთში „სარაგოსამ“ გაათანაბრა. **აგილარმა** საკუთარი ნახევრიდან გადააწოდა გრძელი პასი შეცვლაზე შესულ ადრიან კოლუნგას - 1:1. „რეალს“ მხსნელად **კაკა** მოევლინა, რომელიც 44-დღიანი იძულებითი პაუზის შემდეგ თამაშობდა. 82-ე წუთზე მან რონალდოს პასი მიიღო და მეკარის მარჯვენა კუთხეში გამარჯვების გოლი გაიტანა - 1:2.

**მანუელ პელეგრინი** (რეალი): *„ლიგის ბედი ჩვენზე აღარ არის დამოკიდებული. ამიტომ ჩვენი ამოცანა ასეთია - მოვაგროვოთ 98 ქულა და დაველოდოთ „ბარსას“ წაფორხილებას“.*

**ხოსე აურელიო გაი** (სარაგოსა): *„ჯერ არისმენდიმ ვერ შეძლო თამაში, მერე მალევე დაიმტვრა სუასო. როცა „დრიმ თიმს“ ეთამაშები, ეს უკვე დიდი დანაკლისია“.*

„მესტალიაზე“ „ვალენსიამ“ 1:0 სძლია „დეპორტივოს“ და ფაქტობრივად გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის საგზური. **უნაი ემერიმ** ორი ნახევარმცველი ათამაშა დაცვის ფლანგებზე, **პაბლო ერნანდესი** და **ხორდი ალბა**. „დეპორტივო“ დაცვაში „ჩაჯდა“, რის გამოც მასპინძლებს ძალზე უჭირდათ საგოლე მომენტების შექმნა. 33-ე წუთზე ანგარიში მას შემდეგ გაიხსნა, რაც **ვისენტეს** დარტყმული **ზე კასტროს** ხელზე მოხვდა, **დავიდ ვილიამ**, რომელმაც მანამდე ერთი-ორი საგოლე შანსი გაანიავა, პენალტის ნიშნულიდან აჯობა **არანსუბიას**, რომელმაც დარტყმის კუთხე ვერ გამოიცნო - 1:0. „დეპორტივო“ ძალზე უამბიციო გუნდს ჰგავდა, რომელსაც სეზონში არავითარი მიზანი არ ამოძრავებს, მეორე ტაიმში მხოლოდ „ვალენსია“ უტევდა, მაგრამ მეტი გოლი აღარ გასულა.

### მომდევნო ტური

1 მაისი. მალაგა-სპორტინგი, ვალიადოლიდი-ხეტაფე, ტენერიფე-რასინგი, ვილიარეალი-ბარსელონა, ხერესი-ალმერია, ესპანიოლი-ვალენსია, დეპორტივო-სარაგოსა. 2 მაისი. სევილია-ატლეტიკო, რეალი-ოსასუნა, ბილბაო-მალიორკა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## ლა ლიგა. XXXIV ტური

### ბარსელონა-ხერესი 3:1

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - პუიოლი, ჩიგრინსკი, მარკესი (52. პიკე), მაქსველი - ჩავი, ტურე, კეიტა - ჟეფრენი (51. მესი), იბრაჰიმოვიჩი, ანრი (73. კრკიჩი).

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - ფრანსისი, ხიოდა, აიტამი (46. კალვო), კასადო - სანჩესი, კეიტა (63. მორენო) - ორელანა, პრიეტო, არმენტეროსი (78. ალუსტისა) - ბერმეხო.

**გოლები:** 1:0 ჟეფრენი (14), 2:0 ანრი (24), 2:1 ბერმეხო (25), 3:1 იბრაჰიმოვიჩი (55)

**გაძევება:** ალუსტისა (89. ხერესი), ორელანა (93. ხერესი)

**გაფრთხილება:** 1-10; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 18-18; **თამაშგარე:** 4-9; **კარში დარტყმა:** 14-8 (7-4); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 80 000

### სარაგოსა-ვალენსია 1:2

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - პონსიო, იაროშიკი, კონტინი, ობრადოვიჩი - ედმილსონი, გაბი - ანდერი (74. უჩე), აგილარი, ელიზეუ - სუასო (20. კოლუნგა).

**რეალი (4-3-1-2):** კასილიასი - არბელოა, გარაი, ს. რამოსი, მარსელო - გაგო (74. კაკა), ჩაბი ალონსო, გუტი - ვან დერ ვაარტი (14. რაული) - რონალდო, იგუაინი.

**გოლები:** 0:1 რაული (50), 1:1 კოლუნგა (61), 1:2 კაკა (82)

**გაძევება:** კონტინი (51. სარაგოსა)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 1-7; **ჯარიმა:** 21-22; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 7-19 (2-12); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 33 000

### ვალენსია-დეპორტივო 1:0

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - პ. ერნანდესი, მადურო, ალექსისი, ალბა - ალბელდა (60. ბარახა), ბანეგა (73. ფერნანდეში) - ხოაკინი, სილვა, ვისენტე (84. მატა) - ვილია.

**დეპორტივო (4-4-2):** არანსუბია - ლაურე, პისკუ (46. როჩელა), ზე კასტრო, მ. პაბლო - როდრიგესი, სერხიო, ტომასი, ალვარესი (80. მისტა) - ადრიანი, რიკი (67. ლასადი).

**გოლი:** 1:0 ვილია (33-პენ)

**გაძევება:** ბარახა (93. ვალენსია)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 12-2; **ჯარიმა:** 17-10; **თამაშგარე:** 8-5; **კარში დარტყმა:** 12-9 (6-1); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 50 000

### სპორტინგი-ვალიადოლიდი 0:2

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო - ლორა, ბოტია, გრეგორი, კანელია (69. სასტრე) - ლოლა (82. მალდონადო) - მორანი, დე ლას კუევასი, კასტრო (75. კიკე მატეო) - ბარალი.

**ვალიადოლიდი (4-4-2):** ხაკობო - პ. ლოპესი, სერენო, ნივალდო, დელ ორნო - ალემანი (59. კეკო), პელე, ბარახა, ბარაგანი - დ. კოშტა, მანუჩო.

**გოლები:** 0:1 მანუჩო (80), 0:2 ბარახა (93)

**გაძევება:** ლოლა (82. სპორტინგი), დელ ორნო (85. ვალიადოლიდი)

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 23-17; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 8-12 (1-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 18 000

### რასინგი-ვილიარეალი 1:2

**რასინგი (4-2-3-1):** კოლტორტი - კრესპო, ორიოლი, ტორეხონი, კრისტიანი - დიოპი, კოლსა - არანა, კანალესი, სერანო (31. ლ. გარსია) - ტჩიტე (67. ბედია).

**ვილიარეალი (4-3-3):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი, გონსალო, გოდინი, კაპდევილია - იბაგასა (56. კასორლა), ბრუნო, კანი (78. ესკუდერო) - ნილმარი, ხ. ლორენტე (63. ფუსტერი), როსი.

**გოლები:** 1:0 კანალესი (38), 1:1 გოდინი (70), 1:2 ნილმარი (82)

**გაფრთხილება:** 7-4; **კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 19-10; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 10-22 (6-11); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 17 500

### ალმერია-ესპანიოლი 0:1

**ალმერია (4-2-3-1):** დ. ალვეში - მასედო (74. ხუანმა ორტისი), ჩიკო, აკასიეტე, სისმა - ბერნარდელო (63. კორონა), მბამი - კრუსატი (82. ხოსე ორტისი), სორიანო, პიატი - უჩე.

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა (45. რონკალია), პარეხა, რუისი, დიდაცი - ფორლინი, მოისესი - ლ. გარსია, ვედრიუ (74. ალონსო), კალეხონი - ოსვალდო (85. საჰარი).

**გოლი:** 0:1 ლ. გარსია (54)

**გაფრთხილება:** 3-5; **კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 19-11; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 13-16 (2-6); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 16 000

### მალიორკა-მალაგა 1:1

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - მატიონი, რუბენი, აიოსე (80. კეიტა) - ვარელა (59. ალვარესი), მარტი, ბ. ვალერო, კასტრო - ადურისი, ვიქტორი (59. ვებო).

**მალაგა (4-2-3-1):** მუნუა - გამესი, სტეპანოვი, როსარიო (35. გონსალესი), მტილიგა - ხუანიტო, აპონიო - ფერნანდო, ბა (46. ტორიბიო), დუდა - კაისედო (70. ობინა).

**გოლები:** 0:1 ობინა (86), 1:1 ადურისი (91)

**გაძევება:** სტეპანოვი (43. მალაგა)

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 23-14 (6-8); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 13 000

### ატლეტიკო-ტენერიფე 3:1

**ატლეტიკო (4-4-2):** სალვიო - ვალერა, პერეა, დომინგესი, ა. ლოპესი - სალვიო, კამაჩო, ტიაგო, რეიესი (73. ფორლანი) - აგუერო (84. იბრაჰიმა), ხურადო (73. სიმაო).

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ბერტრანი, კულებრასი, სისილია, ექტორი - რომანი, მ. ალონსო - ხუანლუ (55. დინეი), ალფარო (81. ანხელი), აიოსე (61. კომე) - ნინო.

**გოლები:** 1:0 სალვიო (11), 2:0 სალვიო (30), 2:1 რომანი (61), 3:1 აგუერო (77)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 9-7; **ჯარიმა:** 9-14; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 26-14 (11-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 37 000

### ხეტაფე-სევილია 4:3

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - კორტესი, დიასი, რაფა, მანე - სელესტინი (57. კასკერო), ბოატენგი - პ. ლეონი, გონსალესი (77. პარეხო), გავილანი (72. მანუ) - მიკუ.

**სევილია (4-4-2):** პალოპი - სტანკევიჩიუსი (66. ლოლო), კალა, ესკუდე, ნავარო - ხ. ნავასი, ზოკორა, რენატო, ადრიანო (72. რომარიკი) - კანუტე, ლ. ფაბიანო (82. ნეგრედო).

**გოლები:** 1:0 გონსალესი (16), 1:1 ლ. ფაბიანო (33), 1:2 კანუტე (38), 2:2 პ.ლეონი (58), 2:3 ლ.ფაბიანო (61), 3:3 მანუ (75), 4:3 პარეხო (93)

**გაძევება:** კანუტე (84)

**გაფრთხილება:** 5-4; **კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 20-10 (9-6); **ბურთის ფლობა:** 47%-43%.

**მაყურებელი:** 10 000

**ოსასუნა-ბილბაო** დღეს

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 34 | 27 | 6 | 1 | 83-20 | 87 |
| 2. რეალი | 34 | 28 | 2 | 4 | 89-30 | 86 |
| 3. ვალენსია | 34 | 18 | 8 | 8 | 53-37 | 62 |
| 4. მალიორკა | 34 | 16 | 8 | 10 | 53-38 | 56 |
| 5. სევილია | 34 | 16 | 6 | 12 | 52-42 | 54 |
| 6. ვილიარეალი | 34 | 15 | 7 | 12 | 50-46 | 52 |
| 7. ხეტაფე | 34 | 15 | 5 | 14 | 52-46 | 50 |
| 8. ბილბაო | 33 | 14 | 7 | 12 | 45-44 | 49 |
| 9. დეპორტივო | 34 | 12 | 8 | 14 | 33-43 | 44 |
| 10. ატლეტიკო | 34 | 12 | 7 | 15 | 52-53 | 43 |
| 11. ესპანიოლი | 34 | 10 | 11 | 13 | 27-40 | 41 |
| 12. ალმერია | 34 | 9 | 11 | 14 | 34-46 | 38 |
| 13. ოსასუნა | 33 | 10 | 8 | 15 | 30-39 | 38 |
| 14. სპორტინგი | 34 | 9 | 10 | 15 | 33-46 | 37 |
| 15. რასინგი | 34 | 8 | 12 | 14 | 37-50 | 36 |
| 16. სარაგოსა | 34 | 8 | 10 | 16 | 39-58 | 34 |
| 17. მალაგა | 34 | 7 | 13 | 14 | 38-43 | 34 |
| 18. ვალიადოლიდი | 34 | 6 | 14 | 14 | 34-54 | 32 |
| 19. ტენერიფე | 34 | 8 | 8 | 18 | 35-66 | 32 |
| 20. ხერესი | 34 | 6 | 9 | 19 | 31-59 | 27 |

**ბომბარდირები:** 27 - მესი (ბარსელონა); 25 - იგუაინი (რეალი); 21 - ვილია (ვალენსია); 20 - რონალდო (რეალი); 17 - ფორლანი (ატლეტიკო); 16 - იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა); 13 - ფ. ლორენტე (ბილბაო), ნინო (ტენერიფე), ლ. ფაბიანო (სევილია); 12 - სოლდადო (ხეტაფე), აგუერო (ატლეტიკო).

### სეგუნდა დივიზიონი

#### XXXIV ტური

**რაიო ვალეკანო-ხიმნასტიკი 2:3**
გოლები: 1:0 სუსაეტა (19), 1:1 მორანი (21), 1:2 კამპანო (43), 1:3 ხოსე მარი (70), 2:3 მოვილია (76)
გაძევება: პელეგრინი (41. რაიო ვალეკანო), მარტინესი (59. რაიო ვალეკანო)

**ვილიარეალი B-სელტა 1:0**
გოლი: 1:0 მონტერო (88)
გაძევება: კატალა (6. ვილიარეალი)

**უნიონი-მურსია 2:0**
გოლები: 1:0 კუერო (23), 2:0 ბრიტი (90)

**კასტელონი-ლას პალმასი 2:0**
გოლები: 1:0 ულოა (44), 2:0 გუსმანი (81)
გაძევება: პინიოლი (32. ლას პალმასი), ლამასი (38. ლას პალმასი)

**ბეტისი-ელჩე 0:3**
გოლები: 0:1 მოლინა (15-პენ), 0:2 ხული (40), 0:3 მოლინა (55)
გაძევება: ს. გარსია (14. ბეტისი)

**ალბასეტე-უესკა 0:0**

**კარტახენა-სოსიედადი 1:1**
გოლები: 0:1 არანბურუ (5), 1:1 ერერო (18)
გაძევება: არანბურუ (51. სოსიედადი)

**უელვა-ნუმანსია 1:3**
გოლები: 0:1 ბარკერო (9), 1:1 ბარბერი (37), 1:2 ბარკერო (40), 1:3 დელ პინო (75)

**ერკულესი-სალამანკა 4:0**
გოლები: 1:0 ტოტე (33), 2:0 ფარინოსი (69-პენ), 3:0 კუელიარი (78 ს.კ.), 4:0 კიკო (80)
გაძევება: სევილია (68), გოიკოეჩეა (68), როსატო (70)

**კორდობა-ლევანტე 2:1**
გოლები: 1:0 ასენი (42), 2:0 კარპინტერო (79), 2:1 გუერა (85)

**კადისი-ხირონა 2:0**
გოლები: 1:0 ენრიკე (9), 2:0 ტოედტლი (80)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სოსიედადი | 34 | 16 | 12 | 6 | 44-30 | 60 |
| 2. ერკულესი | 34 | 15 | 11 | 8 | 46-29 | 56 |
| 3. კარტახენა | 34 | 15 | 10 | 9 | 49-36 | 55 |
| 4. ლევანტე | 34 | 14 | 13 | 7 | 48-32 | 55 |
| 5. ელჩე | 34 | 15 | 9 | 10 | 52-42 | 54 |
| 6. ბეტისი | 34 | 14 | 11 | 9 | 49-35 | 53 |
| 7. ვილიარეალი B | 34 | 14 | 11 | 9 | 49-41 | 53 |
| 8. ნუმანსია | 34 | 14 | 9 | 11 | 44-38 | 51 |
| 9. კორდობა | 34 | 12 | 12 | 10 | 30-31 | 48 |
| 10. ხიმნასტიკი | 34 | 13 | 8 | 13 | 37-44 | 47 |
| 11. უელვა | 34 | 11 | 12 | 11 | 33-34 | 45 |
| 12. ხირონა | 34 | 11 | 10 | 13 | 39-47 | 43 |
| 13. უესკა | 34 | 9 | 15 | 10 | 27-27 | 42 |
| 14. ვალეკანო | 34 | 10 | 12 | 12 | 53-49 | 42 |
| 15. ლას პალმასი | 34 | 9 | 13 | 12 | 37-41 | 40 |
| 16. სელტა | 34 | 9 | 13 | 12 | 29-33 | 40 |
| 17. სალამანკა | 34 | 9 | 11 | 14 | 33-47 | 38 |
| 18. ალბასეტე | 34 | 8 | 14 | 12 | 44-51 | 38 |
| 19. მურსია | 34 | 8 | 13 | 13 | 37-43 | 37 |
| 20. კადისი | 34 | 8 | 13 | 13 | 36-53 | 37 |
| 21. უნიონი | 34 | 8 | 9 | 17 | 29-43 | 33 |
| 22. კასტელონი | 34 | 7 | 9 | 18 | 32-51 | 30 |

**ბომბარდირები:** 17 - მოლინა (ელჩე); 14 - ვერდიუ (კარტახენა), სტუანი (ალბასეტე), რუბენი (ვილიარეალი); 12 - ს. გარსია (ბეტისი), დიასი (კორდობა). კ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო | ევროპის ჩემპიონატი

# ლიპარტელიანის ვერცხლი ავსტრიიდან



**ვალერი ლიპარტელიანმა** (90) ევროპის ჩემპიონატის ზედიზედ მეორე ფინალი წააგო, ამჯერად დამატებით დროში, და როგორც შარშან თბილისში გამართულ ანალოგიურ ტურნირში, კვლავაც ვერცხლის მედალს დასჯერდა. ვენაში დასრულებულ კონტინენტის პირველობაზე ეს საქართველოს ნაკრების მიერ მოპოვებული ერთადერთი ჯილდო აღმოჩნდა. სამშობლოში ბრინჯაოს მედალოსნად დაბრუნება მძიმეწონოსან **ზვიად ხანჯალიაშვილს** შეეძლო, მაგრამ გერმანელ **ანდრეას ტოლცერთან** დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა. ბოლო დღეს - შაბათს ევროპის ჩემპიონატის მონაწილე მესამე ქართველი **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) მეშვიდეზე გავიდა.

ლიპარტელიანის ამ წაგებამ **შენგელი ფიცხელაურის** შარშანდელი სიტყვები გამახსენა, ყველაზე მეტად მე მესმის მისი, რადგან სამჯერ წავაგე ევროპის ჩემპიონატის ფინალიო. სახელოვანმა ვეტერანმა და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ეს მაშინ თქვა, როცა ლიპარტელიანმა თბილისის სპორტის სასახლეში გადამწყვეტი შეხვედრა ბელარუს **ანდრეი კაზუსიონაკთან** წააგო.

ბელარუსი კაზუსიონაკი ამჯერად შვედმა **მარკუს ნიმანმა** შეცვალა. ის ჯერ მხოლოდ 19 წლისაა, კარიერაში აქამდე ორი სერიოზული წარმატება მოეპოვებოდა - შარშან ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი გახდა, წლეულს კი პრაღის მსოფლიოს თასზე ბრინჯაო მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ ჩეხური ტურნირი ლიპარტელიანმა მოიგო და ამით გაინაღდა ევროპის ჩემპიონატში ჭიდაობა. ჩვენებურს შვედთან დადებითი ბალანსიც ჰქონდა - 2008 წელს ვარშავაში, ისევ ახალგაზრდების ევროპის პირველობის ნახევარფინალში დაამარცხა და მერე ჩემპიონიც გახდა, ნიმანმა კი ვერც ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ივარგა.

სხვისი არ ვიცი, პირადად მე კი ცუდად მენიშნა მაინცდამაინც ამ ფინალის დაწყებისას დარბაზში რუსეთის პრემიერ-მინისტრ **ვლადიმირ პუტინის** შემოსვლა, რომელსაც ტრიბუნებიც ოვაციით შეხვდნენ. მანაც შეიფერა ასეთი დახვედრა, ლამის მარშით გაიარა ტრიბუნების წინ და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **მარიუს ვიზერის** გვერდით მოკალათდა, მერე კი ნებიერი სახით უყურებდა ლიპარტელიანის მარცხს. თუმცა ლიპარტელიანის წაგებაში ვერც მას დავადანაშაულებთ და ვერც - მსაჯებს, მაგრამ რუსეთის პრემიერი უსიამოვნო ასოციაციას იწვევს ყოველ ქართველში.

ვენურ ფინალში ლიპარტელიანი იქნებ სამართლიანად მიიჩნეოდა ფავორიტად, თუმცა ცხოვრება ხშირად არ ემორჩილება ლოგიკას. ჩვენებურის მარცხის მიზეზები მაინც უფრო მასში უნდა ვეძებოთ, ვიდრე - სხვებში. ჩრდილოევროპელები სპორტის ლამის ყველა სახეობაში კარგი ფიზიკური მომზადებით გამოირჩევიან და არც ნიმანია გამონაკლისი, ურიგოდ არც წინასწარი შეხვედრები ჩაუტარებია და კარგი შთაბეჭდილება შარშანაც დატოვა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, მაგრამ ის მაინც არ გვგონია ლიპარტელიანზე ნიჭიერი და ძლიერი. მას არც ამ ფინალში გაუკეთებია რამე გასაოცარი, მაგრამ იჭიდავა ძალზე პრაგმატულად, ფრთხილად, ერთგვარი შიშითაც (ყოველ შემთხვევაში, ვერ ვიტყვი, რომ დაკვირვებით), აშკარად შედეგზე ორიენტაციით და არა სანახაობაზე. არსებითად, მას შეტევა არც უცდია და ამ მხრივ არც არაფერი გაუკეთებია. ერთადერთი, რაც კარგად და ბრწყინვალედ გააკეთა, ლიპარტელიანს არ მისცა კოზირების, ანუ კარგად დამუშავებული ილეთების გამოყენების საშუალება. ამ შეხვედრაში ის მთლიანად ჩაშლაზე იყო დაგეშილი და არა შეტევაზე, რაც კარგადაც გააკეთა. მას აშკარად ეტყობოდა, რა ფრთხილად ეკიდებოდა ჩვენებურის ამოსმულებს და არც ერთხელ მიუცია ამის გაკეთების საშუალება. ამასთან, მისი შეტევების წინააღმდეგ კარგად იყენებდა ჩავლებას, რითაც ლიპარტელიანს ლამის ყველა კოზირი ერთბაშად გამოაცალა.

სამწუხაროდ, ჩანაფიქრის ასრულებაში ხელი ჩვენებურმაც შეუწყო უფერული ჭიდაობით - ის აშკარად დაიღალა და ბოლოსკენ მოდუნდა. ქართულმა ტელევიზიებმა ისევ შეირცხვინეს თავი და რეპორტაჟი არავის უჩვენებია, მაგრამ ვინც ჩემპიონატის მიმდინარეობას ინტერნეტით ადევნა თვალი ძიუდოს ევროპული ფედერაციის საიტზე, უთუოდ ემახსოვრება შეხვედრის ბოლო წუთზე მომხდარი, როცა ჯერ კონტრილეთზე დაჭერილი ქართველი მეტოქემ კინაღამ შებოჭა, მსაჯის სასტვენის შემდეგ კი ლიპარტელიანი მეტოქეს გადააჯდა და ველარ დგებოდა. მანამდეც რამდენჯერმე სცადა ამოსმული, მაგრამ ვერ დაძლია. როცა დამატებითი დრო დაიწყო, ის უკვე ველარ მოძრაობდა და მეტოქეს იუკოზე დასაგდებად დიდი ძალისხმევა არც დასჭირვებია. სამწუხაროა, მაგრამ თუ შარშანდელ ფინალში მსაჯებზე სასაყვედურო რაღაც მაინც გვქონდა, ამჯერად სხვას ვერაფერს დავაბრალებთ.

თუმცა ფიზიკური მომზადება გამოუსწორებელი პრობლემა არ გვგონია. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ შარშან, დეკემბერში ლიპარტელიანმა გლანდების ოპერაცია გაიკეთა, რამაც ფრიად დაასუსტა. მსოფლიოს პირველობამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და, იმედია, ეს ნაკლი გამოსწორდება. ვენაში კი დასაწყისი ოპტიმისტური იყო - ჩვენებურმა ცხადად დაუმტკიცა ყველას, რომ შარშანდელი დროებითი ჩავარდნა დაძლია და მისი კვლავაც უნდა ეშინოდეთ. ჯერ უნგრელი **ლევანტე ლედენი** დაადგო იპონზე, პოლანელ **ლუკაშ კოლესნიკსა** და ბრიტანელ **მეთიუ პურსიეს** კი ორ-ორი ვაზარი ჩაუტარა. დაღლილობაც ამის შემდეგ დაეტყო - ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ევროპის ვერცხლ-ბრინჯაოს პრიზიორსა და ამ ტურნირის მომავალ ბრინჯაოს მედალოსან **ელხან მამადოვთან** ისე ვერ გაილაღა. ფიზიკურად ძლიერი აზერბაიჯანელი ანგარიშგასაწევი და უხერხული სტილის მოჭიდავეა, ლიპარტელიანსაც შედარებით გაუჭირდა, თუმცა გდებას გაფრთხილებაც მიუმატა და ორი იუკოთი ეს ბარიერიც დაძლია. ფინალზე უკვე ვილაპარაკეთ, აქ კი ერთს დავამატებ - ლიპარტელიანი ნიმანს მომავალში აუცილებლად მოუგებს თუ კარგ ფორმაში იქნება. ამ წაგებისგან ტრაგედიის შექმნა სწორი მიდგომა არ იქნება, მაგრამ არც მარცხთან შეგუება მოგვიტანს კარგ შედეგს. მწვრთნელებმაც და სპორტსმენებმაც სწორი დასკვნები უნდა გამოიტანონ ამ წაგებიდან.

ალბათ, ხანჯალიაშვილმაც შესაძლებლობების ზღვარზე იჭიდავა - უცნობ ბოსნიელ **სუბოტიც დრაცენთან** ვაზარიპონით მოგებას პოლონელ ევროპის ორ-ორგზის ვერცხლბრინჯაოს პრიზიორ **იანუშ ვოინაროვიჩთან** ასევე მარცხი მიაყოლა. სანუგეშოში ახალგაზრდა უკრაინელ **სტანისლავ ბონდარენკოს** წმინდად მოუგო, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში გერმანელ ევროპის ჩემპიონ **ანდრეას ტოლცერსაც** დიდხანს ვაზარით უგებდა, მაგრამ ბოლოს მაინც წმინდად დამარცხდა.

ტურნირი კარგად დაიწყო, მაგრამ მეშვიდე ადგილით დაასრულა ჟორჟოლიანმა. ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონ აზერბაიჯანელ **ელმარ გასიმოვთან** და ლიტველ **ეგიდიუს ზილინსკასთან** შეხვედრაში მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და იპონებით მოიგო, თუმცა გასიმოვთან გაუჭირდა - ორივეს ვაზარი ჰქონდა, როცა ლომერმა ბეჭებზე დასცა. სამწუხაროდ, ამას ორი მარცხი მიაყოლა - ჯერ მეოთხედფინალში დათმო მისთვის უხერხულად ქცეულ უზრებელ ებრაელთან, ევროპის ჩემპიონთან, მსოფლიოს ვერცხლისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ **არიელ ზეევთან,** მერე კი სანუგეშოში ბელარუს **იაუჰენ ბიადულინთანაც** წააგო.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები. 90:** მარკუს ნიმანი (შვედეთი); 2. **ვალერი ლიპარტელიანი** (საქართველო); 3. ილიას ილიადისი (საბერძნეთი), ელხან მამადოვი (აზერბაიჯანი).

**100:** 1. ელკო ფან დერ ხესტი (ბელგია); 2. ხენკ ხროლი (ჰოლანდია); 3. ბენჟამინ ბერლა (გერმანია), არიელ ზეევი (ისრაელი).

**+100:** იჰარ მაკარაუ (ბელარუსი); 2. ბარნა ბორი (უნგრეთი); 3. ანდრეას ტოლცერი (გერმანია), იანუშ ვოინაროვიჩი (პოლონეთი).

**ქალები. 78:** 1. აბიგელ იორ (უნგრეთი); 2. მარინდე ვერკერკი (ჰოლანდია); 3. ლუსიე ლუეტი (საფრანგეთი), მარინა პრიშჩეპა (უკრაინა).

**+78:** 1. ლუსია პოლავდერი (სლოვენია); 2. თეა დონღუზაშვილი (რუსეთი); 3. კარინა ბრაიანტი (ბრიტანეთი), ურსულა სადკოვსკა (პოლონეთი).

ჭადრაკი

## საათები დღეს ჩაირთვება

შარშან ჩაეყარა საფუძველი ექვსეტაპიან ფიდეს გრან-პრის გათამაშებას ქალთა შორის. ორი ტურნირი 2009 წელს მოილიეს სტამბოლსა და ნანძინში. შეჯიბრებების ჯამში 210 ქულით ჩინელი **ჟაო სიუ** დაწინაურდა. 160-160 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს ინდოელი **ჰამფი კონერუ,** ჩინელი **სიუ იუჰუა** და ფრანგი **მარი სებაგი** იყოფენ, ოღონდ ამ უკანასკნელმა ქულები ორ ტურნირში საპრიზო ადგილებზე გასვლით, სხვებმა კი თურქეთისა (კონერუ) და ჩინეთის (სიუ იუჰუა) თითო გრან-პრიში გამარჯვებით მოაგროვეს. **ნანა ძაგნიძე** 130 ქულით მეხუთეა. მან ნანძინში მეორე ადგილი დაიკავა. 120-120 ქულა აქვთ (თითო ტურნირიდან) სომეხ **ელინა დანიელიანსა** და ჩინელ **ჰოუ იფანს.** სულ შეჯიბრებაში 19 მოჭადრაკე მონაწილეობს (**მაია ჩიბურდანიძე** 45 ქულით მე-14 ადგილზეა). ისინი ექვსიდან ოთხ გრან-პრიში იასპარეზებენ, საიდანაც სამი საუკეთესო შედეგი შევა ჩათვლაში. გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

ნალჩიკში, სადაც 12 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი გამოცდის ძალებს, გრან-პრის მესამე ეტაპის პირველი პარტიები დღეს გაიმართება. შეჯიბრება წრიული სისტემით მოეწყობა. 1 მაისი დასვენების დღეა.

## ჯიბუტი და ახვლედიანი დაწინაურდნენ

ნორჩი მოჭადრაკეების შეხვედრები ყოველთვის გამოირჩეოდა უშელავათო ორთაბრძოლებით და ახლაც ასეა - ვინც ამ დღეებში ჭადრაკის სასახლეში თვალს ადევნებს 10-წლიანთა საქართველოს პირველობას, ალბათ, ამაში დამეთანხმება. 170 მონაწილეს შორის ყოველდღიურად 85 პარტია იმართება და მათი მცირე ნაწილი თუ მთავრდება ყაიმით.

გუშინ VII ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. გოგონებში ლიდერთა ჯგუფიდან **გვანცა მარგველაშვილი** და **ნატა ჯიბუტი, სალომე ხუცურაული** და **მარიამ დოლიძე** დაზავდნენ. დანარჩენ პარტიებში **ელა სვანიძემ სანდრა კაპანაძეს** სძლია, **ნინო ჯალაღონიამ ნუცა ცირეკიძეს, თამარ ფარჩუკიძემ მაია ბეჭვაიას, სალომე სანიკიძემ ლია იმნაძეს.**

ვაჟების პირველი შვიდი დაფიდან მხოლოდ **ლუკა ობოლაძე** და **ბექა თათურაშვილი** შეთანხმდნენ ყაიმზე. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ლუკა ნაჭყებია-ირაკლი ახვლედიანი** 0:1, **გიორგი ბოტკოველი-ომარ ზარგინავა** 1:0, **დავით ლობჟანიძე-გურამ ჭელიძე** 0:1, **ნიკა ხვადაგიანი-ცოტნე მამულაიშვილი** 0:1, **დავით გვენეტაძე-გიორგი თადუმაძე** 0:1, **ნიკა ხიზანიშვილი-გიორგი ვარაზაშვილი** 0:1.

შვიდი ტურის შემდეგ გოგონებში ჯიბუტმა 6.5 ქულა მოაგროვა და ერთპიროვნულად ლიდერობს. მას 0.5-0.5 ქულით ჩამორჩებიან სვანიძე და დოლიძე, ვაჟებში 7 ქულა აქვს ახვლედიანს. 6-6 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს ჭელიძე, მამულაიშვილი და ბოტკოველი იყოფენ.

დღეს VIII ტურია. მეწინავეთაგან ითამაშებენ: გოგონები . **სვანიძე (6)-ჯიბუტი (6,5), დოლიძე (5)-ჯალაღონია (6), ფარჩუკიძე (5)-მარგველაშვილი (5,5), სანიკიძე (5)-კაპანაძე (5), ხუცურაული (5)-ქორიძე (4,5). ვაჟები. ჭელიძე (6)-ახვლედიანი (7), მამულაიშვილი (6)-ბოტკოველი (6), თადუმაძე (5,5)-ზარგინავა (5,5), ვარაზაშვილი (5,5)-ობოლაძე (5,5).**

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

## ჩახნაშვილი შტუტგარტში, ქვაცაბაია კანში

საქართველოს ყოფილი პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (211) შტუტგარტში ვტა-ს ტურნირ „პორშეს გრან-პრიში“ მონაწილეობს, რომლის საპრიზო ფონდიც 700 ათასი დოლარია. მაკა საკვალიფიკაციო ბადეშია და მისი პირველი მეტოქე „უაილდ ქარდით“ მიწვეული გერმანელი **ანიკა ბეკი** (566) იყო. ბეკი 16 წლის ნიჭიერი ჩოგბურთელია, ის მაკას ერთობ გაუძალიანდა, მაგრამ საბოლოოდ ქართველმა მაინც იმარჯვა - 6:2, 2:6, 6:2. მეორე წრეში ჩვენებური 18 წლის იაპონელ **კურუმი ნარას** (147) შეხვდა. მაკამ საკმაოდ იოლად, 7:5, 6:2 იმარჯვა და საკვალიფიკაციო ბადის ფინალურ წრეში გავიდა, სადაც მისი მეტოქე რუსი **ანა ლაპუშჩენკოვა** (140) იქნება. 23 წლის რუსს მაკა 5 წლის წინათ თბილისის საერთაშორისო ტურნირში შეხვდა, მაშინ ქართველმა ძალზე იოლად, 6:4, 6:0 გაიმარჯვა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მას მერე ლაპუშჩენკოვამ მოუმატა და შარშან მოწინავე ასეულშიც კი შევიდა, ახლა კი ქართველ მეტოქეს რეიტინგში 70 ადგილით უსწრებს. თუკი ამ ეტაპსაც დაძლევს, მაკა ძირითად ბადეში ითამაშებს და 20 სარეიტინგო ქულასაც გაინაღდებს.

საფრანგეთის ქალაქ კან-სურ-მერში დაიწყო კანის ღია პირველობა, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათას დოლარზე მეტია (საპრიზო ფონდს ემატება მონაწილეთა უფასო მომსახურება) და ძირითად ბადეში მსოფლიოს საუკეთესო ასეულის 10 წარმომადგენელი თამაშობს. ტურნირში მხოლოდ ერთი ქართველი თამაშობს, 21 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (420). მან პირველი საკვალიფიკაციო ბადე უკვე გაიარა, სამ სეტში იტალიელი **ვალენტინა სულპიციო** (424) დაამარცხა - 6:2, 1:6, 6:4. მეორე წრეში სოფიოს მეტოქე საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად განთესილი ფრანგი **კლერ ფიურსტაინია** (189). ეროვნული ნაკრების წევრები **ანა ტატიშვილი, ოქსანა კალაშნიკოვა, სოფიო შაფათავა** და **მანანა შაფაქიძე** „ფედერაციი თასის“ მატჩებისთვის ემზადებიან, ეს ტურნირი კი ერევანში 28 აპრილს იწყება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სპორტი სკოლაში

## პილოტირება მინისტრების მონაწილეობით დაიწყო

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, ახალი სასწავლო წლიდან საჯარო სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები ფიზიკური განათლებისა და სპორტის გაკვეთილებით ჩანაცვლდება.

ქვეყნის მასშტაბით 48 საპილოტო სკოლა შეირჩა, სადაც მოსწავლეთა საბაზო და საშუალო საფეხურზე პილოტირებისა და დანერგვის პროცესი წარიმართება. ეს ის სკოლებია, სადაც უკვე არსებობს გარკვეული სპორტული ბაზა და შესაძლებელია ახალი პროექტის განხორციელების დაწყება.

ერთ-ერთ მათგანს, თბილისის 47-ე საჯარო სკოლას, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი,** კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი **ნიკოლოზ რურუა** და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** ეწვივნენ.



მარცხნიდან: დიმიტრი შაშკინი, დავით ნამგალაური, ნიკოლოზ რურუა

სკოლაში უკვე მიმდინარეობს ფიზკულტურის სპორტის გაკვეთილებით ჩანაცვლება, მოზარდები აქ კალათბურთითა და ხრიდოლით არიან დაინტერესებულნი და აქტიურად ემზადებიან მომავალი შეჯიბრებისთვის კალათბურთში.

სკოლებში სპორტის გაკვეთილების დანერგვა მოხდება ისე, რომ გათვალისწინებული იქნება როგორც სკოლის, ასევე თითოეული მოსწავლის სურვილი და შესაძლებლობები.

ამისათვის დიდი სამუშაოებია ჩატარებული. საქართველოში, სადაც 2179 საჯარო სკოლიდან სპორტული დარბაზი 1569, ხოლო სპორტული მოედანი 2015 სკოლას აქვს, ფიზკულტურის გაკვეთილები მაინც არაპოპულარულია. აქედან გამომდინარე, საჯარო სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილებს სპორტის გაკვეთილები ჩაანაცვლებს და პროცესი მოსწავლეებისთვის უფრო საინტერესო და აზარტული გახდება.

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



სუპერლიგა | ნახევარფინალი

# სირენამდე 6:33 წუთით ადრე...

**25 აპრილი, თბილისი**
სპორტის სასახლე

**აგრარული–თსუ 81:90**

24:30, 20:15, 19:25, 18:20

აგრარული: ნივნივაძე (38 წთ, 7ქ, 7მ, 3პ), მარხვაშვილი (26 წთ, 11ქ, 3პ), გულისაბედაშვილი (26 წთ, 4ქ, 6მ), დიდია (28 წთ, 6ქ), ათანელიშვილი (18 წთ, 10ქ, 4მ), ჩაჩიბაია (16 წთ, 6ქ), ნინიაშვილი (20ქ, 6მ), გ. ბარბაქაძე (10 წთ, 11ქ), მათიაშვილი (17 წთ, 6ქ, 8მ, 5ფ)

თსუ: გაფრინდაშვილი (38 წთ, 5ქ, 6მ, 7პ) ფანჩულიძე (29 წთ, 13ქ, 7მ), ხეცურიანი (32 წთ, 16ქ, 8პ, 4მ), კეიდია (31 წთ, 24ქ, 5მ), დ. ბარბაქაძე (32 წთ, 19ქ, 9მ, 3ჩ), მინაშვილი (17 წთ, 13ქ, 4მ), კოხრეიძე (14 წთ, 6მ), ლოსაბერიძე (4 წთ), კუჭავა (3 წთ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი
კომისარი: მ. რატიშვილი

**სერიას იგებს თსუ - 1:0**

ჩემპიონატიც დაიწყო... ნამდვილი ჩემპიონატი, როცა თითო მოგებას ოქროს ფასი აქვს. ოქროს მოპოვება კი არცთუ იოლია. ამისთვის აუცილებელია სათანადო მომზადება, მაქსიმალურად მობილიზება, ბოლომდე ბრძოლა და კიდევ უამრავი დეტალის წინასწარ გათვლა და... გულშემატკივრობა! რეგულარულ ჩემპიონატში "აგრარული" ერთადერთი თბილისური გუნდი იყო, რომელსაც გულშემატკივართა ჯგუფი ყოველ მატჩში მხურვალედ ამხნევებდა. ქომაგი სსაუ-ს გუშინაც ჩვეულად უჭერდა მხარს, მაგრამ მისი ხმა თსუ-ს გულშემატკივართა ალტყინებაში იკარგებოდა. ეს იყო ჩემპიონატის ერთ-ერთი სასიამოვნო სიურპრიზი – ტრიბუნებზე პირველად ვიხილეთ თსუ-ს მრავალრიცხოვანი ქომაგი ნაირგვარი საყვირითა და დოლით იყო შეიარაღებული. იმედია, მომდევნო მატჩის წინ აგრარების გულშემატკივრები გუშინდელ მაგალითს გაითვალისწინებენ და თსუ-ელ კოლეგებს ტოლ-სწორად გაეჯიბრებიან. მაყურებლების "შერკინება" ნახევარფინალს კიდევ უფრო საინტერესოს გახდის.

ტრიბუნებიდან მოედანზე გადავინაცვლოთ, სადაც მეტად დაძაბული და სწრაფი კალათბურთი მიმდინარეობდა. პირველ პერიოდში თსუ-მ **ირაკლი კეიდიას** ზუსტი თამაშის წყალობით მცირე უპირატესობა მოიპოვა, თუმცა მეორე ათწუთეულში **გიორგი მარხვაშვილის** ორი შორეული გასროლის შემდეგ სხვაობა 2 ქულამდე დავიდა (33:35). მალე მოედანზე **თორნიკე ნინიაშვილიც** გამოჩნდა და დიდ შესვენებამდე 17 წამით ადრე "აგრარული" 44:43 დააწინაურა. ამას არ შეეგუა **მიხეილ ფანჩულიძე** და დრიბლინგი სირენასთან ერთად ორქულიანით დააგვირგვინა. პირველი ტაიმი თსუ-მ მოიგო – 45:44.

სწრაფი თამაში მესამე მეოთხედშიც გაგრძელდა და წინასწარ ცხადი იყო, რომ გამარჯვება იმას დარჩებოდა, ვისაც ფიზიკური გამძლეობა ეყოფოდა.

მატჩის 27-ე წუთზე ტაბლოზე ნაცნობი, მაგრამ ქართველთათვის არასასიამოვნო ანგარიში ეწერა – 59:61. სწორედ ასე წააგო საქართველოს ნაკრებმა 2008 წელს შვედეთში. ეს ანგარიში "აგრარულისთვისაც" ნავსიანი აღმოჩნდა – სწორედ ამის შემდეგ ათამაშდა დასვენებული **ვახტანგ მინაშვილი**. მან თსუ-ს ზედიზედ 8 ქულა შესძინა და ბოლო მეოთხედის წინ თანაგუნდელები 70:63 დააწინაურა.

მეოთხე პერიოდის დასაწყისში ფანჩულიძის ორქულიანს **გიორგი გაფრინდაშვილმა** ფარქვეშიდან ზუსტი ტყორცნა მიაყოლა და – 74:63. აგრარები ჩქარობდნენ, სხვაობის შემცირებას ესწრაფვოდნენ, სამქულიანებსაც მოუხშირეს, თუმცა მეოთხედის საწყის 5 წუთში მხოლოდ ერთი შორეული ტყორცნა გამოიყენეს (**რეზო დიდია**). ისინი ფსიქოლოგიურად სირენამდე 6:33 წუთით ადრე გატყდნენ, როცა **დავით ბარბაქაძესთან** ორთაბრძოლისას **რიჩარდ მათიაშვილმა** მეხუთე ფოლი მიიღო. ამაზე გაბრაზებული **ბექა ნივნივაძე** მსაჯს მიუბრუნდა და ტექნიკური შენიშვნა მიიღო. ბარბაქაძემ ჩაგდებულ ორქულიანს სამი ზუსტი საჯარიმო მიაყოლა და სხვაობა 13 ქულამდე გაიზარდა – 79:66...

ეს იყო და ეს, თსუ-მ სერიაში ანგარიში გახსნა – 1:0. ფინალში კი ის გუნდი გავა, რომელიც სამ მატჩს მოიგებს.

მატჩის შემდეგ თავშეკავებით საუბრობდა გამარჯვებულთა თავკაცი **ნუგზარ ჭეიშვილი:**

- ნახევარფინალებისთვის სერიოზულად ვემზადებოდით, ვიცოდით, რომ პლეი ოფში რეგულარულისგან განსხვავებით, სხვა თამაში გველოდა. დღეს, ძირითადად 7 კალათბურთელი დაიტვირთა, მაგრამ ისინი სათანადო ფორმაში არიან და გადამწყვეტ მომენტში დაღლა არ დატყობიათ. ამ შეხვედრაში ბევრი რამ გამოცდილებამაც გადაწყვიტა. შიო ხეცურიანს, დავით ბარბაქაძეს და ირაკლი კეიდიას არაერთი ფინალი აქვთ ნათამაშები... სამშაბათს გაცილებით რთული მატჩი გველის. "აგრარული" მოსაგებად არაფერს დაიშურებს, თუმცა არც ჩვენ ვაპირებთ რამის დათმობას.



# სიურპრიზი შსს-სგან
## ენერგია ენერჯისგან

**25 აპრილი, რუსთავი**
ქიმიკოსთა დარბაზი

**ენერჯი–შსს 82:76**

22:20, 24:16, 18:19, 18:21

ენერჯი: ტილფორდი (23 წთ, 12ქ), ტულუში (25 წთ, 6ქ, 8მ, 3პ), ბოისა (28 წთ, 10ქ, 4მ, 5ფ), ბაბიაშვილი (32 წთ, 16ქ, 9მ), ტუჯანი (33 წთ, 12ქ, 6მ, 3პ), ჩიტაშვილი (10 წთ), ცეკვავა (10 წთ, 6ქ), დვალიშვილი (7 წთ, 3ქ, 5მ), არწივიძე (12 წთ, 6ქ), ჭოჭუა (11 წთ, 10ქ), პირველაშვილი (8 წთ, 1ქ)

შსს: ი. ბერიშვილი (35 წთ, 12ქ, 4მ, 5პ, 4ჩ) ნიკოლაძე (31 წთ, 10ქ), ლაფანაშვილი (37 წთ, 12ქ), მარკოიშვილი (23 წთ, 8ქ, 6მ), ათუაშვილი (17 წთ, 18ქ, 4მ, 2დ), დ. ბერიშვილი (22 წთ, 5ქ, 5მ), კორკოტაძე (3 წთ), შერმადინი (15 წთ, 8ქ, 5მ), სუხიშვილი (18 წთ, 3ქ, 7მ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი
კომისარი: თ. ქიქოძე

**სერიას იგებს ენერჯი - 1:0**

- საწყენი იყო, რომ რუსთავის დარბაზში მეტოქის ქომაგი უფრო მეტი იყო, ვიდრე „ენერჯის" - განაცხადა ნამატჩევს **ანატოლი ბოისამ**. დიახ, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად, რუსთავის დარბაზში მოწინააღმდეგის გულშემატკივარი უფრო მეტი იყო, ვიდრე ადგილობრივი: გუშინ, შსს-ს საკალათბურთო გუნდის საქომაგოდ თბილისიდან სამი ავტობუსით იყვნენ ჩასულები. იმედია, ეს ფაქტი, რუსთაველებს მოტივაციას შემატებს და სამშაბათის მატჩისთვის კიდევ უფრო მეტი ადგილობრივი მივა...

დუნე რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ სავსე ტრიბუნებმა კალათბურთელებს დამატებითი პასუხისმგებლობა შესძინა, რამაც ნახევარფინალები მეტად დაძაბული გახადა. თუ რეგულარულში ერთი გუნდი კონცენტრაციის დაკარგვის შემდეგ დიდი სხვაობით აგებდა, ნახევარფინალში კონცენტრაციის დაკარგვა წარმოუდგენელია. ამიტომაც იყო, შსს - 19:11 რომ დაწინაურდა, „ენერჯიმ" მდგომარეობის გამოსწორება მალევე შეძლო (**მიხეილ ჭოჭუას** აქტიურობის წყალობით), პირველი ტაიმის ბოლოს რუსთაველებმა 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს (46:36), თუმცა დიდი შესვენებიდან დაბრუნების შემდეგ შსს-მ მოედნის მთელ ფართობზე პრესინგს მიმართა და **გიორგი ნიკოლაძის** სამქულიანის შემდეგ სხვაობა სამამდე შემცირდა (50:53). ამის შემდეგ სამქულიანებით იფეთქეს ანატოლი ბოისამ და **დავით არწივიძემ** - 69:55 „ენერჯის" სასარგებლოდ.

შსს-ს 14-ქულიან ჩამორჩენას არ შეეპუა: მატჩის დასრულებამდე 6:43 წუთით ადრე **ლექსო ლაფანაშვილის** სამქულიანის შემდეგ შსს-ს გამარჯვების რწმენა დაუბრუნდა (64:70), თუმცა ზედიზედ ორი იერიში **გოგა ცეკვავამ** ხუთი ქულით დააგვირგვინა და სირენამდე 3 წუთით ადრე რუსთაველები კვლავ 75:64 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ შსს-ელმა **სერგო ათუაშვილმა** ექვსი საჯარიმო ზუსტად სტყორცნა, მაგრამ ძალოვნებმა თამაშის შემოტრიალება მაინც ვერ მოახერხეს.

თუ ყურადღება მიაქციეთ, გადამწყვეტ ეპიზოდებში რუსთაველებს მნიშვნელოვანი ქულები მოუტანეს არწივიძემ, ცეკვავამ და ჭოჭუამ. მათ დაახლოებით 10-10 წუთი ითამაშეს, მაგრამ როცა მოედანზე იყვნენ, თანაგუნდელებს ღირებული დახმარება გაუწიეს. იმავეს თქმა შეიძლება **აკაკი დვალიშვილსა** და **მიხეილ ჩიტაშვილზე**. ეს ხუთი კალათბურთელი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო. არაფერი გვითქვამს სასტარტოებზე, რომლებმაც თავისი საქმე პირნათლად შეასრულეს. მოკლედ, „ენერჯის" მწვრთნელმა **მიხეილ ბერუაშვილმა** მის ხელთ არსებული რესურსი მაქსიმალურად გამოიყენა. გუშინ ნახევარფინალში მოთამაშე დანარჩენ სამ გუნდში მთავარი დატვირთვა 7-8 კალათბურთელზე მოდიოდა, მაშინ, როცა „ენერჯის" გამარჯვებაში დიდი წვლილი ერთბაშად 10-მა კალათბურთელმა შეიტანა...

მიმოხილვა ისევ ბოისას სიტყვებით დავასრულოთ:

- მატჩის პირველ წუთებზე დაცვაში არეულები ვიყავით, თუმცა მალე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. დაცვაში თამაშის გამოსწორებას შეტევაში სიზუსტის მატება მოჰყვა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ კალათბურთელთა უმეტესობა პატარაობიდანვე ამ დარბაზში ვვარჯიშობთ, ფარებსაც მიჩვეულები ვართ და აქაურ გარემოსაც. წარმატებაზე ამანაც მოახდინა გავლენა...

მეხუთე-მერვე ადგილებისთვის

**25 აპრილი, თბილისი**
სპორტის სასახლე

**დინამო–სოხუმი 83:67**

27:14, 15:12, 22:17, 19:24

დინამო: ხანიაშვილი (15ქ, 5მ), ნანიტაშვილი (2ქ), სანაძე (17ქ, 5მ, 3პ), ეძგვერაძე (5ქ, 3ჩ), სიგუა (11ქ, 3პ), გემაზაშვილი (5ფ), ჯანგველაძე (2ქ, 5მ), ჩაველაშვილი (3ქ), დეკანოიძე (19ქ, 10მ), ლონდარიძე (9ქ, 18მ, 4დ)

სოხუმი: ტეტელაშვილი (7ქ, 5ფ), სორდია (16ქ), კვეტენაძე (14ქ, 11მ), ბ. ბერიშვილი (13ქ, 3პ, 3ჩ, 5ფ), კანკია (6ქ, 9მ, 4ჩ), კობიძე (4ქ), გაბელია (7ქ, 5მ), ტიკიშვილი, როგავა

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

# დინამო მეხუთესთვის

„სოხუმი", „დინამო", „ბათუმი" და „სამადიცინო/აკადემია" მეხუთე-მერვე ადგილებისთვის მატჩებში ჩაებნენ. სოხუმელთა ძლევით დინამოელებმა მეხუთე ადგილისთვის თამაშში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, სადაც ისინი „ბათუმი"-"აკადემიას" (მატჩი 30 აპრილს გაიმართება) წყვილში გამარჯვებულს დაუპირისპირდებიან. „სოხუმი" კი მეშვიდე ადგილისთვის აჭარელთა და „აკადემიკოსთა" შეხვედრაში წაგებულს ეთამაშება.

ქართველი NBA-ში

**ზაზა ფაჩულიამ** 24 აპრილს NBA-ს პლეი ოფში 22-ე მატჩი ჩაატარა და რეკორდი „გამოაცხო" - 16 ქულა მიითვალა. აქამდე „ატლანტა ჰოქსის" ქართველ ცენტრს პლეი ოფში ყველაზე მეტი ქულა 2009 წლის 27 აპრილს მაიამიში ჰქონდა ჩაგდებული - 12. სხვათა შორის, 16 ზაზას საამსეზონო რეკორდიცაა (2009 წლის 11 დეკემბერს „ტორონტოსთან" 14 ქულა ჰქონდა).

ციფრების კორიანტელში ერთიც უნდა გამოვყოთ: ზაზა 16 ქულამდე წელიწადზე მეტია, არ ასულა – მანამდე, 2009 წლის 20 იანვარს „ჩიკაგოს" 18 ქულა ჩაუგდო. ფაჩულიას თექვსმეტიანს ღირებულებას მატებს არცთუ მაღალი წუთობრივი მაჩვენებელი. მან 19 წუთი ითამაშა, 7-დან 6 ორქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო...

საქართველოს ნაკრების ცენტრის მონაგარს უფრო მეტი ფასი დაედებოდა, „ატლანტელ ქორებს" „მილუოკელი ხარირმები" რომ დაემარცხებინათ. სერიაში 2:0 დაწინაურების შემდეგ „ჰოქსის" კალათბურთელებმა სტუმრად გასამართი მესამე მატჩისთვის სათანადოდ მობილიზება ვერ მოახერხეს და, თამამად უნდა ითქვას, მატჩი პირველივე პერიოდში წააგეს - 19:36.

მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** ზაზა ფაჩულია მოედანზე პირველი მეოთხედის ბოლო წუთზე შეუშვა და მეორე თორმეტწუთეულის ექვსი წუთი ათამაშა. ამ მონაკვეთში ზაზამ ორი ორქულიანი ისროლა და ერთი ჩააგდო.

მესამე პერიოდში ფაჩულია მოედანზე არ გამოჩენილა, მეოთხე კი სრულად ითამაშა. საინტერესოა, რომ მან 16-დან 14 ქულა მატჩის ბოლო ხუთ წუთში ჩააგდო (ორჯერ ჩატენა).

„ატლანტას" ბომბარდირი **ჯო ჯონსონი** გახდა - 25 ქულა. მოაგროვა. დანარჩენებმა (გარდა ფაჩულიასი) შეტევაში არადამაჯერებლად ითამაშეს. მაგალითად, **ჯამალ კროუფორდმა** 10-ქულიანი ბარიერი ბოლო წამზე ჩაგდებული სამქულიანით გადალახა, ხოლო **ელ ჰორფორდმა** 10 ქულა ძლივს გააზერხა. სხვებს ქულათა მონაგარში ერთნიშნა რიცხვები ეწერათ.

„ჰოქსი"-"ბაქსის" მეოთხე მატჩი 26 აპრილს მილუოკის „ბრედლი სენთერში" ჩატარდება, რის შემდეგაც გუნდები ატლანტაში დაბრუნდებიან და 28-ში გასამართი სერიის მეხუთე მატჩისთვის მოემზადებიან.

# მაშ, 16!
## ფაჩულიას საპლეიოფო რეკორდი

**მილუოკი–ატლანტა 107:89**

ზაზა ფაჩულია: 19 წუთი, 16 ქულა, 3 მოხსნა, 2 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 00:12 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 11:29 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 09:08 | ფოლი: 1 |
| 07:55 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:15 | ორქულიანი: 2ქ (27:44) |
| 05:09 | ფოლი: 2 |
| 09:09 | ზაზა ჯონსონმა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 11:14 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 04:39 | ორქულიანი: 4ქ (69:93) |
| 04:39 | საჯარიმო: 1/1 (5ქ, 70:93) |
| 04:14 | ორქულიანი: 7ქ (72:93) |
| 04:14 | საჯარიმო: 1/1 (8ქ, 73:93) |
| 03:41 | საჯარიმოები: 2/1 (9ქ, 74:95) |
| 02:36 | ჩატენვა: 11ქ (78:97) |
| 01:37 | საჯარიმოები: 2/1 (12ქ, 80:101) |
| 00:56 | ორქულიანი: 14ქ (82:103) |
| 00:13 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 00:13 | ჩატენვა: 16ქ (86:105) |

**ლეგიონერი**

**იტალიის ჩემპიონატი**

**აველინო–კანტუ 76:85**

მანუჩარ მარკოიშვილი: 28 წუთი, 7 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი

**ვირტუსი–კრემონა 65:68**

ვიქტორ სანიკიძე: 16 წუთი, 10 მოხსნა

**საბერძნეთის ჩემპიონატი**

**პანათინაიკოსი–აეკ 91:62**

შერმადინი: 7 წუთი, 1 ქულა, 4 მოხსნა

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**კახასოლი–ფუენლაბრადა 78:56**

ტაირონ ელისი: 26 წუთი, 10 ქულა, 1 მოხსნა, 4 პასი

ნიკა ცქიტიშვილი: 15 წუთი, 4 ქულა, 1 მოხსნა

**გერმანიის ჩემპიონატი**

**ტრირი–მიტელდოიჩერი 66:95**

ლაშა გამყრელიძე: 19 წუთი, 13 ქულა, 1 მოხსნა, 4 პასი

სტუმარი

# ამერიკელი ინსტრუქტორი: ვისროლოთ!

საქართველოს მართლაც ამერიკელი ინსტრუქტორი ეწვია და იგი ქართველებს სროლას ასწავლის, მაგრამ საქმე პოლიტიკასა და სამხედრო წვრთნას როდი ეხება. **მარვინ ჰარვიმ** შაბათს კალათის მიმართულებით სწორად სროლის გაკვეთილი ჩაატარა. მან ჯერ სერბეთში მოაწყო კემპი, შემდეგ - თურქეთში, საიდანაც ორი დღით ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა და 14 - 15 წლის კალათბურთელები საკალათბურთო აკადემიას დარბაზში შეკრიბა.

ამერიკელმა სპეციალისტმა წვრთნა ვიდეოგაკვეთილით დაიწყო: კომპიუტერის მონიტორზე საკუთარ „სროლის ლაბორატორიაში" (ამერიკის ქალაქ ტამპაში მდებარეობს) მოვარჯიშე ახალგაზრდების მაგალითზე ქართველებს შეცდომებზე მიუთითა. ამას მოჰყვა მუშაობა ბურთის ტარებასა და სროლაზე. ბატონმა ჰარვიმ არაერთი ტესტი გამოიყენა, რამაც წვრთნა სახალისო გახადა, ხოლო დამსწრე საზოგადოება დაარწმუნა, რომ იგი თავისი საქმის ძლიერი სპეციალისტია.

- ევროპაში კემპების გასამართად ჩამოვედი. სერბეთის შემდეგ თურქეთში გადავედი. ქართველების თხოვნით, თურქულ კემპს ერთი დღით გამოვაკლდი და თქვენს ახალგაზრდებთან წავიმუშავე. ვიცი, რომ საქართველოში კალათბურთი ძალიან უყვართ. ნიჭიერი ახალგაზრდები გყავთ. რამდენიმე თქვენიანს NBA-შიც უთამაშია. ისიც ვიცი, რომ ამჟამად ამერიკაში ზაზა ფაჩულია ასპარეზობს, - აღნიშნა მარვინ ჰარვიმ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები


დავით ქუბრიაშვილი (ბურთით)

# ქუბრიაშვილი და ტულონი ნახევარფინალში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშება დასრულდა. პირდაპირ ნახევარფინალში თამაშის უფლება შარშანდელმა ჩემპიონმა „პერპინიანმა" და **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა" მოიპოვეს. ორივე გუნდმა 80-80 ქულა დააგროვა, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებლის გამო პირველობა კატალონიელებს ერგოთ.

ნახევარფინალის შესარჩევ მატჩებში ითამაშებენ **დავით ზირაქაშვილის** მესამეადგილოსანი „კლერმონი" და **აქვსენტი გიორგაძის** მეხუთე ადგილზე გასული „კასტრი". „ვულკანები" საკუთარ მოედანზე მეექვსეადგილოსან პარიზულ „მეტრო რასინგს" შეხვდებიან და გამარჯვების შემთხვევაში ნახევარფინალში, ნეიტრალურ მოედანზე, სენტ ეტიენში „ტულონს" დაუპირისპირდებიან.

„კასტრი" კი სტუმრად ითამაშებს მეოთხეადგილოსან „ტულუზთან". ამ წყვილის გამარჯვებული ნახევარფინალში „პერპინიანს" მონპელიეში შეხვდება. ნახევარფინალის შესარჩევი მატჩები 7 და 8 მაისს გაიმართება, ნახევარფინალური შეხვედრები კი 14 და 15 მაისს. ფინალი კი, ტრადიციულად, „სტად დე ფრანსზე" 29 მაისს შედგება.

ყოველივე ამის გარკვევას საკმაოდ დაძაბული, საინტერესო ბოლო ტურის შეხვედრები უძღოდა. „ტულონისა" და „პერპინიანის" ერთადერთი რეალური კონკურენტი „კლერმონი" იყო. თუმცა სამივე გუნდმა თავის შეხვედრაში გამარჯვებას მიაღწია და სატურნირო მდგომარეობა უცვლელი დარჩა.

დავით ქუბრიაშვილის „ტულონმა" მძიმე ბრძოლა გადაიტანა სტუმრად **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივთან", რომელსაც პლეი ოფში მოხვედრის შანსი აღარ ჰქონდა და მხოლოდ „ჰეინეკენის თასზე" გამსვლელი ადგილისთვის-ლა იბრძოდა. ტულონელებმა, რომლებმაც პირველი ტაიმი 16:9 წააგეს, მატჩის ბედის შემობრუნება გარემარბ **გაბრიელ ბოლოვალავუსა** და შუამარბ **სონი ბილ ვილიამსის** ლელოებით შეძლეს - 26:23. თითქმის უშეცდომოდ ურტყამდა კარში **ჯონი ვილკინსონის** ნაცვლად მოთამაშე არგენტინელი მგეზავი **ფელიპე კონტეპომი.**

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-12 წუთზე კისერი დაიშავა. რამდენად სერიოზულია „დუდუს" ტრავმა და შეძლებს თუ არა ის სეზონის დასკვნით ეტაპში მონაწილეობა, ჯერჯერობით უცნობია. ხინჩაგიშვილი თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო.

არანაკლებ ძნელ გამარჯვებას მიაღწია სტუმრად ბასკურ „ბიარიცთან" დავით ზირაქაშვილის „კლერმონმა" - 26:19. „ვულკანები", ტულონელთაგან განსხვავებით, მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ. მათ მასპინძლებს ორი ლელო გაუტანეს და ორივე ტრავმის მოშუშების მერე ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებული ფიჯელი გარემარბის **ნაპოლეონი ნალაგას** ანგარიშზეა. საჯარიმოების დარტყმაში კი ავსტრალიელ **ბრუკ ჯეიმზს** საფრანგეთის ნაკრების ცხრა ნომერი **მორგან პარა** შეეშველა. მათ ორ-ორი საჯარიმო გაიტანეს.

ბიარიცელთა შორის საუკეთესო იყო ქართული წარმოშობის ფრანგი, ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი**, რომლის ანგარიშზეც 16 ქულაა (ერთი ლელო, ერთი გარდასახვა და სამი საჯარიმო). ზირაქაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო.

ისე გამოვიდა, რომ აქვსენტი გიორგაძის „კასტრს" ზედიზედ მეორედ მოუწევს „ტულუზთან" სტუმრად თამაში. კასტრელებმა რეგულარულის ბოლო შეხვედრა 17:25 წააგეს და ახლა რვა მაისს ისევ ტულუზში მოუწევთ გამგზავრება. არადა მოგების შემთხვევაში მეოთხე ადგილთან ერთად მასპინძლობის უფლებაც ერგებოდათ. საქმეც სწორედ აქეთ მიდიოდა.

პირველი ტაიმი სტუმრებმა აღმავლობით ჩაატარეს და მასპინძლებს ექვსი ქულით გაუსწრეს - 12:6. ტულუზელებმა მეტოქის წინააღმდეგობის გატეხა დასკვნით ოც წუთში მოახერხეს **სედრიკ ემონსისა** და **ფინაუ მაკას** ლელოების წყალობით.

პრინციპული შეხვედრა მოიგო შინ უშუალო კონკურენტ „ბაიონთან" **გოდერძი შველიძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „მონტობანმა" - 22:8. ამ გამარჯვებით მონტობანელებმა სატურნირო ცხრილის ბოლოსწინა ადგილს თავი დააღწიეს და სპორტული თვალსაზრისით დივიზიონში ადგილი შეინარჩუნეს, მაგრამ თუ უახლოეს დღეებში კლუბის ხელმძღვანელობა მილიონ შვიდასი ათას ევროს ვერ შეაგროვებს, მეორე დივიზიონში დაქვეითდებიან.

„მონტობანის" მორაგბეები „ბაიონთან" თამაშს არ აპირებდნენ, მაგრამ მათ კლუბის პრეზიდენტი დაჰპირდა, რომ პრობლემას მალე მოაგვარებდა - „ოღონდაც „ბაიონს" მოუგეთ, სატურნირო ცხრილში გაასწარით, რომ პოტენციურმა სპონსორებმა თამამად მიიღონ გადაწყვეტილება და მერე მე ვიცი და ჩემმა მარიფათმაო - ევედრებოდა ის მორაგბეებს. ბიჭებმაც დაუჯერეს, ითამაშეს, ძალ-ღონე არ დაიშურეს, მოსაგები მოიგეს და ახლა ბედოვლათი პრეზიდენტის სიტყვის იმედადღა არიან.

„ბაიონთან" შველიძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 62-ე წუთზე შეცვალეს. ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყო.

გამარჯვებით დაასრულა სეზონი **მამუკა გორგოძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიემ". ჩვენებურთა გუნდმა შინ დაამარცხა „ბურგუენი" - 34:27. გორგოძემ სრულად ითამაშა. ჩხაიძე თამაშში 75-ე წუთიდან ჩაერთო.

„მონპელიე" საბოლოოდ მე-10 ადგილს დასჯერდა, რითაც კლუბის პრეზიდენტი **ტიერი პერესი**, ცხადია, კმაყოფილი არ არის და მატჩის დასრულებისთანავე მწვრთნელთა შტაბის შეცვლაზე ალაპარაკდა. „მონპელიეს" ხელმძღვანელები რამდენიმე კანდიდატურას განიხილავენ. მათ შორის არიან, **ფაბიენ გალტიე, ერიკ კატინო, ქსავიე პემეჟა** და **ერიკ ბეშუ.** გადაწყვეტილებას პერესი 15 მაისს მიიღებს.

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

XXVI ტური: პერპინიანი-ალბი 44:0, ტულუზი-კასტრი 25:17, სტად ფრანსე-მეტრო რასინგი 41:17, ბიარიცი-კლერმონი 19:26, ბრივი-ტულონი 23:26, მონტობანი-ბაიონი 22:8, მონპელიე-ბურგუენი 34:27

სატურნირო მდგომარეობა: 1. პერპინიანი - 80 ქულა, 2. ტულონი - 80, 3. კლერმონი - 78, 4. ტულუზი - 74, 5. კასტრი - 73, 6. მეტრო რასინგი - 64, 7. ბიარიცი - 59, 8. სტად ფრანსე - 58, 9. ბრივი - 58, 10. მონპელიე - 55, 11. ბურგუენი - 50, 12. მონტობანი - 49, 13. ბაიონი - 47, 14. ალბი - 24

**ნახევარფინალის შესარჩევი**

7 მაისი: კლერმონი-მეტრო რასინგი
8 მაისი: ტულუზი-კასტრი

ზე 14

# ბლუ ბულზმა ტახტი დაიბრუნა

ზე 14-ის გათამაშებაში მე-11 ტურის შეხვედრების შემდეგ ლიდერობა მოქმედმა ჩემპიონმა, პრეტორიის „ბლუ ბულზმა" დაიბრუნა. რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტურით ადრე პლეი ოფში გასვლისთვის ბრძოლა უკიდურესად გამწვავდა.

თავად განსაჯეთ, ერთბაშად სამმა გუნდმა, „სტორმერზმა", „კრუსეიდერზმა" და „რედსმა" 34-34 ქულა დააგროვა და მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ. „ბლუ ბულზი" მათ ხუთი ქულით უსწრებს, მეხუთეადგილოსანი „ვორათაზი" კი ერთი ქულით ჩამორჩება.

„ბლუ ბულზმა" შინ გათამაშების აუტსაიდერი, იოჰანესბურგის „ლაიონზი" დაამარცხა დიდი ანგარიშით - 51:11. თუმცა დასაწყისში საკმაოდ გაუჭირდა, რადგან „ლომები" თავს მედგრად იცავდნენ და მეტოქეს საგრძნობლად დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ.

პრეტორიელებმა პირველი ტაიმი მგეზავ **მორნი სტეინის** ოთხი საჯარიმოს წყალობით 12:8 მოიგეს. საბოლოოდ კი აუტსაიდერის წინააღმდეგობა დასკვნით 15 წუთში გატეხეს. 64-ე და 66-ე წუთებზე გარემარბმა **ჯერარდ ფან დენ ჰევერმა** წყვილი ლელო მიითვალა. ბოლო ოთხ წუთში კი მორნი სტეინმა, **ვინანდ ულფიემ** და **ჯონ მამეცამ** თითო ლელო გაიტანეს.

„ბლუ ბულზი" მომდევნო ტურში შინ დაუპირისპირდება ბოლო ხანს მოლონიერებულ „ნატალ შარქსს", რომელმაც სტარტზე განცდილი ზედიზედ ხუთი მარცხის მერე ასევე ზედიზედ ხუთჯერ მოიგო და პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს.

დურბანელებმა ამჯერად შინ მოუგეს ოქლენდის „ბლუზს" - 23:10. „ზვიგენებს" პირველ ტაიმში საგრძნობლად გაუჭირდათ და მხოლოდ მინიმალური სხვაობით - 11:10 დაწინაურდნენ. მატჩის გმირად შეიძლება შევრაცხოთ „შარქსის" ცხრა ნომერი **რუან პინარი,** რომელმაც გუნდს 14 ქულა მოუტანა (ერთი ლელო, ორი საჯარიმო და ერთ არეკნი).

„ნატალ შარქსი" 25 ქულით მე-9 ადგილზეა და, როგორც უკვე ვთქვით, პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს, თუმცა „ზვიგენების" ამბიციების საფუძვლიანობას მომავალ ტურშივე ჩემპიონი „ბლუ ბულზი" გაარკვევს.

გათამაშების ერთ-ერთმა ფავორიტმა, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა" ლიდერობა სტუმრად პერთის „ფორსთან" წაგების შემდეგ დაკარგა - 16:24. პერთელებმა პირველი ტაიმი მშრალად - 0:13 წააგეს. მეორეში კი რადიკალურად განსხვავებული თამაში აჩვენეს, მრისხანე და ტიტულოვან ახალზელანდიურ გუნდს სამი ლელო გაუტანეს. **პეკაჰუ ქოუვანის, ბენ ვაითეკერისა** და **მეთ ჰოჯსონის** ლელოებს კრუსეიდერზელმა მგეზავმა **დენ კარტერმა** მხოლოდ ერთი არეკნით უპასუხა.

უშეცდომოდ ურტყა კარში ავსტრალიელთა მგეზავმა **დევიდ ჰილმა,** რომელმაც სამივე ლელო გარდასახა და ერთი საჯარიმოც გაიტანა.

ლიდერობადაკარგულ „კრუსეიდერზს" მომდევნო ტურში არანაკლებ რთული მატჩი ელის. ახალზელანდიელები ამჯერად კეიპთაუნის „სტორმერზს" სტუმრობენ.

სტორმერზელებმა, რომლებიც ახლა სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე არიან, სტუმრად წააგეს მეოთხეადგილოსან ბრისბენის „რედსთან" - 13:16. თამაში საკმაოდ დაძაბული, ერთი შეხედვით, ნაკლებად სანახაობრივი გამოდგა. მატჩის საბოლოო ანგარიში 54-ე წუთზე დაფიქსირდა. დარჩენილ 26 წუთში გუნდებმა მონაგარს ვერაფერი შემატეს. „რედსის" მგეზავმა **ქუადე კუპერმა** თავის მეტოქე, **პიტერ გრანტზე** ერთით მეტი საჯარიმო გაიტანა, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი გამოდგა.

პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლას განაგრძობს სიდნეის „ვორათაზი", რომელმაც შინ უშუალო კონკურენტი, კანბერის „ბრამბიზი" დაამარცხა - 19:12. სტუმართაგან ყველაზე შედეგიანი მგეზავის პოზიციაზე დაბრუნებული **მეთ გიტო** იყო. მან ოთხი საჯარიმო გაიტანა (12 ქულა). ამდენივე საჯარიმო მიითვალა და გარემარბ **ლაკლან თერნერის** ლელო გარდასახა სიდნეელთა მგეზავმა **დენიელ ალანგაუმ.**

| XI ტური | |
|---|---|
| ჩიფსი-ჩიტაზი | 25:25 |
| რედსი-სტორმერზი | 16:13 |
| ფორსი-კრუსეიდერზი | 24:16 |
| ჰაილენდერზი-ჰარიკენზი | 31:33 |
| ვორათაზი-ბრამბიზი | 19:12 |
| ბლუ ბულზი-ლაიონზი | 51:11 |
| ნატალ შარქსი-ბლუზი | 23:10 |

სატურნირო მდგომარეობა: 1. ბლუ ბულზი - 39 ქულა, 2. სტორმერზი - 34, 3. კრუსეიდერზი - 34, 4. რედსი - 34, 5. ვორათაზი - 33, 6. ბრამბიზი - 27, 7. ჰარიკენზი - 27, 8. ბლუზი - 25, 9. ნატალ შარქსი - 25, 10. ჩიფსი - 24, 11. ფორსი - 14, 12. ჰაილენდერზი - 13, 13. ჩიტაზი - 11, 14. ლაიონზი - 5,

**XII ტური**

**30 აპრილი:**

ჰაილენდერზი-ვორათაზი
სტორმერზი-კრუსეიდერზი

**1 მაისი**

ჰარიკენზი-ჩიფსი
ბლუ ბულზი-ნატალ შარქსი
ბრამბიზი-რედსი
ლაიონზი-ფორსი
ჩიტაზი-ბლუზი

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ


კირან რიდს ვერ აჩერებენ

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა





კალათბურთი

NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# შერცხვენილი ჩემპიონი

სენსაციურად გრძელდება დასავლეთის პირველ და მერვე გუნდებს შორის სერია. მეოთხე შეხვედრაში „ოკლაჰომამ" ისე გაანადგურა ჩემპიონი , რომ მას წარმატების მცირე შანსიც არ დაუტოვა. საოცარია, მაგრამ მატჩის ბედი პირველი მეოთხედის მეორე ნახევარში გადაწყდა, როცა მასპინძლებმა 12 ქულის სხვაობით მოახერხეს წინ გასვლა. მაშინ **ფილ ჯექსონი** და მისი შეგირდები ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ეს კოშმარული სალამოს დასაწყისი იყო.

„ლეიკერსმა" მხოლოდ მეორე მეოთხედში აჩვენა ღირსეული კალათბურთი - დანარჩენი დრო „თანდერი" **კევინ დურანტისა** და **რასელ უესტბრუკის** მეთაურობით უმოწყალოდ უსწორდებოდა ჩემპიონს. თანაც ამ განადგურებაში მონაწილეობდა მთელი გუნდი, მათ შორის ღრმა რეზერვისტები - **კევინ ოლი, ითან ტომასი** და **ბი ჯეი მალინზსი.** მატჩის ბოლოს სხვაობამ 29 ქულას მიაღწია და სწორედ ამ ტრიოს გამოჩენის შემდეგ გადაურჩნენ სტუმრები ანტირეკორდს. სხვაობა 40 ქულას რომ გადასცდენოდა, „ლეიკერსი" გახდებოდა პირველ ნომრად განთესილი პირველი გუნდი, რომელიც მერვე გუნდთან ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით წააგებდა. კალიფორნიელები სირცხვილს **დი ჯეი მბენგასა** და **ადამ მორისონის** ზუსტმა სროლებმა გადაარჩინა.

უცნაური ამბავი შეემთხვათ **კობი ბრაიანტსა** და **პაუ გასოლს.** თამაშიდან სროლის მაღალი პროცენტის მიუხედავად, მათ ჯამში სულ რაღაც 25 ქულა დააგროვეს.

■ ■ ■

ორ სერიაში თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია. „ბოსტონმა" და „ორლანდომ" სამიდან სამი მატჩი მოიგეს და შეუძლიათ კონფერენციის ნახევარფინალებზე იფიქრონ.

**დუეინ უეიდის** ყველანაირი მონდომების მიუხედავად, „მაიამი" უიმედოდ აგებს „სელტიქსთან" სერიას. ზედიზედ მეორე მატჩში გამარჯვებულის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა და ორჯერვე გამარჯვების ტყორცნის ავტორად **პოლ პირსი** მოგვევლინა. ვეტერანი მესამე მატჩის საუკეთესო კალათბურთელი გახდა, როცა მეორე ტაიმში 22 ქულა შესძინა თავის გუნდს. თუმცა უეიდს შეეძლო ამ მატჩის გადარჩენა - 98:98-ზე სამქულიანი ისროლა, მაგრამ ააცილა და იქვე ტრავმაც მიიღო, ამის შემდეგ კი პირსმა დაანახა „მაიამის" ლიდერს, როგორ წყდება პლეი ოფში მატჩის ბედი.

„შარლოტს" აშკარად არ ჰყოფნის პლეი ოფში თამაშის გამოცდილება, თორემ მესამე მატჩში შეძლებდა სერიაში ანგარიშის გაქვითვას. **ლარი ბრაუნის** გუნდის მარცხის კიდევ ერთი მიზეზი ამ გუნდის ცენტრალური თავდამსხმელების საშინელი თამაში გახდა - სამმა კალათბურთელმა 37 წუთის განმავლობაში ჯამში 8 ქულა, 3 მოხსნა და თითო პასი და დაფარება დააგროვა.

■ ■ ■

ორ სერიაში განთესვის დაბალი ნომრის მქონე გუნდი დაწინაურდა. „იუტამ" „დენვერთან" პირველი საშინაო შეხვედრა ცუდად დაიწყო, რის შემდეგაც გამოცდილმა **ჯერი სლოუნმა** თავისი ლიდერები სათადარიგოებით შეცვალა და ამ სვლამ 100 პროცენტით გაამართლა. **კირილ ფესენკომ, პოლ მილსეპმა** და **კაილ კორვერმა** არათუ გააბათილეს 11-ქულიანი ჩამორჩენა, არამედ ოთხი ქულით გაიყვანეს წინ „ჯაზმენები", არადა, ამ დროს მეტოქეს ყველა წამყვანი მოთამაშე მოედანზე ჰყავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მილსეპის თამაში, რომელმაც ამ პერიოდში ცხრიდან ცხრა სროლა ჩააგდო და 18 ქულა დააგროვა.

დიდი შესვენების შემდეგ კი „იუტას" რიგებში საქმეს იმ კალათბურთელებმა მიხედეს, რომლებსაც ეს სტატუსით ეკუთვნით. **დერონ უილიამსის, კარლოს ბუზერისა** და **სი ჯეი მაილზის** წყალობით სხვაობა მხოლოდ იზრდებოდა და 8:0 სპურტის შემდეგ, მატჩის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო.

საცოდავი სანახავი იყო **დირკ ნოვიცკი** „სან ანტონიოს" მოედანზე. „დალასის" გერმანელი ლიდერი მარტო ებრძოდა „სპურსის" მთელ შემადგენლობას. ნოვიცკი იმ დღეს ვერ ღირსა პარტნიორებისგან მხარდაჭერას. განსაკუთრებით ეს სასტარტო ხუთეულის წევრებს ეხება - **ჯეისონ კიდს, შონ მერიონსა** და პირველ რიგში, **კერონ ბატლერს.** ამ სამეულზე 18-დან ხუთი ჩაგდებული ბურთი მოდის. თუმცა გარკვეული ხანი „დალასს" ჰყოფნიდა გერმანელის კარგი თამაში, ერთ ეპიზოდში კი დირკმა განსაკუთრებით იაქტიურა, როცა **მანუ ჯინობილის** სახეში იდაყვი ჩაარტყა. სანამ ცხვირგატეხილ არგენტინელს გასახდელში მკურნალობდნენ, „დალასმა" 17:0 გაქცევა მოაწყო და მატჩში მაქსიმალურ უპირატესობას მიაღწია - 68:59.

და მაინც, იმავე ნოვიცკისა და სხვა კალათბურთელის რამდენიმე შეცდომამ „სან ანტონიოს" მინიმუმამდე შეამცირებინა სხვაობა (80:81), ამასობაში კი მოედანზე ჯინობილი დაბრუნდა და ტრავმისთვის შურისძიება დაიწყო. მისი სამქულიანი შეტევა და **ტონი პარკერზე** ბრწყინვალე გადაცემა „სპურსს" ძალიან დაეხმარა. *„ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მანუ თამაშს გააგრძელებდა. მას ხომ ძლიერი ცხვირი აქვს"*, - ხუმრობდა მატჩის შემდეგ **ტიმ დანკანი.**

საინტერესოა, რომ „სპურსმა" ეს შეხვედრა ისე მოიგო, რომ არც ერთი (!) სამქულიანი არ გამოუყენებია. ადრე ასეთი რამ NBA-ის პლეი ოფის ისტორიაში სულ სამჯერ მოხდა.

■ ■ ■

მუხლზე ჩატარებული ართროსკოპიული ოპერაციიდან სულ რაღაც 8 დღეში დაუბრუნდა „პორტლენდს" თავისი ლიდერი **ბრენდონ როი.** „ბლეიზერსის" მოთამაშეთა გმირობებს ამ სეზონში საზღვარი არ აქვს. ამ გუნდის რიგებში მხოლოდ ორმა კალათბურთელმა - **ანდრე მილერმა** და **მარტელ უებსტერმა** ჩაატარეს სრული სეზონი. დანარჩენები კი ან დროებით (**ბატუმი, ოლდრიჯი, ფერნანდესი, აუთლო** და როი), ან სეზონის ბოლომდე (**ოდენი, პრჟიბილა**) ეთიშებოდნენ ბრძოლას. მიუხედავად ამისა, გუნდმა პლეი ოფში გაალწია და იქ ტოლ-სწორად ებრძვის „ფინიქსს".

„პორტლენდის" დამრიგებელმა **ნეიტ მაკმილანმა** სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა როის მოედანზე გასვლის ნება დართო. სერიის მეოთხე მატჩი ძალიან დაძაბული და აბსოლუტურად თანაბარი გამოვიდა. ვერც ერთმა გუნდმა თუნდაც ერთხელ ვერ მიაღწია ორნიშნა უპირატესობას, ხოლო მატჩის ბედი ბოლო წუთებზე გაირკვა. ამერიკული დრამის ყველა კანონის დაცვით მთავარი გმირი სწორედ როი გახდა. საფინალო სირენამდე 4 წუთითა და 55 წამით ადრე მან უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო, ხოლო ორი წუთით ადრე საშუალო დისტანციიდან ისახელა თავი, რითაც ნოკაუტში გაგზავნა მეტოქე - 91:83. სტუმრებმა მატჩის გადარჩენა ველარ შეძლეს და შეხვედრის შემდეგ **სტივ ნეშმა** აღიარა, რომ მისი გუნდის წაგების მთავარ მიზეზად სწორედ როი იქცა.

**მაიამი-ბოსტონი 98:100**

29:27, 20:21, 23:32, 26:20

მ: უეიდი (34+8 პასი), ბიზლი (16), რაიტი (15+5 პასი), ჰასლემი (10+8 მოხსნა), ჩალმერსი (10).

ბ: პირსი (32+8 მოხსნა), რ. ალენი (25+5 პასი), რონდო (17+8 პასი), გარნეტი (16+6 მოხსნა).

**სერია: 0:3**

**მილუოკი-ატლანტა 107:89**

36:19, 16:21, 26:17, 29:32

მ: სალმონსი (22+7 პასი), სტეკჰაუსი (13), ჯენინგსი (13+5 პასი), მბა ა მუტე (12), ილიასოვა (11), რიდნური (11), ტომასი (8+13 მოხსნა).

ა: ჯონსონი (25+3 ჩაჭრა), ფაჩულია (16), კროუფორდი (11), ჰორფორდი (10+3 ჩაჭრა), ჯოშ სმიტი (7+12 მოხსნა).

**სერია: 1:2**

**შარლოტი-ორლანდო 86:90**

27:29, 19:12, 20:25, 20:24

შ: ჯექსონი (19+3 ჩაჭრა), ჰიუზი (14), უოლასი (13+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ფელტონი (13+6 პასი).

ო: ნელსონი (32+4 ჩაჭრა), ლუისი (14), ჰოვარდი (13+8 მოხსნა+7 დაფარება), კარტერი (10).

**სერია: 0:3**

**იუტა-დენვერი 105:93**

21:27, 31:21, 32:20, 21:25

ი: უილიამსი (24+10 პასი+3 ჩაჭრა), მილსეპი (22+19 მოხსნა), ბუზერი (18+8 მოხსნა), მეტიუზი (14+3 ჩაჭრა), მაილზი (10).

დ: ენტონი (25+7 მოხსნა), ბილაპსი (25), მარტინი (2+13 მოხსნა).

**სერია: 2:1**

**ოკლაჰომა-ლეიკერსი 110:89**

29:17, 26:25, 31:22, 24:25

ო: დურანტი (22), უესტბრუკი (18+8 მოხსნა+6 პასი), ჰარდენი (15), გრინი (15+9 მოხსნა), მეინორი (13).

ლ: ბინუმი (13+10 მოხსნა+3 დაფარება), გასოლი (13), ოდომი (12), ბრაიანტი (12), ფიშერი (11), ბრაუნი (10).

**სერია: 2:2**

**სან ანტონიო-დალასი 94:90**

23:16, 24:28, 19:26, 28:20

ს-ა: დანკანი (25), პარკერი (23), ჰილი (17), ჯინობილი (15+7 პასი).

დ: ნოვიცკი (35+7 მოხსნა), ტერი (17), ბარეა (14).

**სერია: 2:1**

**პორტლენდი-ფინიქსი 96:87**

26:27, 28:23, 20:22, 22:15

პ: ოლდრიჯი (31+11 მოხსნა), მილერი (15+8 პასი), ბეილესი (11+6 პასი), ბატუმი (10+7 მოხსნა), როი (10), კემბი (8+8 მოხსნა+5 პასი).

ფ: სტაუდმაიერი (26+3 დაფარება), ნეში (15+8 პასი), რიჩარდსონი (15), ჰილი (9+12 მოხსნა).

**სერია: 2:2**

# ბოში ოკლაჰომაში?

## სტაუდმაიერი ფინიქსში დარჩება

ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე სასურველი კალათბურთელი „ტორონტო რეპტორზის" მძიმე ფორვარდი **კრის ბოში** იქნება. მას შემდეგ, რაც კანადური კლუბი პლეი ოფში ვერ მოხვდა, ბოშის სხვა კლუბში გადასვლის ალბათობა მეტად მაღალი გახდა.

გაზეთ Toronto Star-ის მიმომხილველთა აზრით, პირველი ვარიანტია ბოშის „მაიამი ჰიტში" გადასვლა, სადაც ფორვარდი **დუეინ უეიდის** გვერდით ითამაშებს.

გარდა ამისა, ადგილობრივი გამოცემა თვლის, რომ კრისმა, შესაძლოა, მშობლიურ დალასთან ახლოს მოინდომოს დასახლება და ახალგაზრდა და ამბიციური „ოკლაჰომა სიტი" გააძლიეროს.

■ ■ ■

„ფინიქს სანზი" სერიოზულად არის დაინტერესებული **ამარე სტაუდმაიერთან** კონტრაქტის გაგრძელებით. როგორც კლუბის ხელმძღვანელობასთან დაახლოებული წყარო იუწყება, ამარე უახლოეს დღეებში გააფორმებს ახალ კონტრაქტს „სანზთან".

*„ჩვენ გვინდა ამარეს შენარჩუნება. არ გავამხელ მოლაპარაკებების წვრილმანებსა და მომავალი შეთანხმების სპეციფიკას, მაგრამ ჩვენი ამოცანა განსაზღვრულია. კლუბის ხელმძღვანელობის სურვილია, რომ სტაუდმაიერი დიდი ხნით დარჩეს „ფინიქსში"*, - ამბობს „ფინიქსის" გენერალური მენეჯერი **სტივ კერი.**

■ ■ ■

ამასობაში, ამერიკული პრესა ვარაუდობს, რომ ამ ზაფხულს კლუბს შეიცვლის „სან ანტონიო სპურსის" ძირითადი გამთამაშებელი - **ტონი პარკერი.** „სპურსის" ხელმძღვანელობა გაცვლას გეგმავს და ფრანგი ლეგიონერის სანაცვლოდ კარგი მსროლელის ან ცენტრის მიღება სურს.

ამ სეზონში პარკერის სტატისტიკა საშუალოდ 16.0 ქულასა და 5.7 შედეგიან გადაცემას უდრიდა.




# ბარსელონას დიდი გეგმები

## ევროლიგამ სეზონის ლაურეატთა სია გამოაქვეყნა

ევროლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც ცნობილი გახდნენ სეზონის პირველი და მეორე სიმბოლური ნაკრების წევრები. გასული სეზონის 10 საუკეთესო კალათბურთელი გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა გამოავლინეს, ამასთან, ექსპერტთა აზრით „ხვედრითი წილი" 75 პროცენტს უდრიდა, გულშემატკივრებისა - 25 პროცენტს. ყოველ რესპონდენტს უნდა აერჩია თითო გამთამაშებელი, შემტევი მცველი, მსუბუქი და მძიმე ფორვარდი და ცენტრი.

საბოლოოდ, უძლიერესთა ათეული შემდეგმა კალათბურთელებმა დააკომპლექტეს: გამთამაშებლები - **ბო მაკკალები** („პარტიზანი"), **მილოშ ტეოდოშიჩი** („ოლიმპიაკოსი"); შემტევი მცველები და მსუბუქი ფორვარდები - **ჯოშ ჩილდრესი, ლინას კლეიზა** (ორივე - „ოლიმპიაკოსი"), **რამუნას შიშკაუსკასი** (ცსკა), **ხუან კარლოს ნავარო** („ბარსელონა"); მძიმე ფორვარდები და ცენტრები - **ერაზემ ლორბეკი** („ბარსელონა"), **ვიქტორ ხრიაპა** (ცსკა), **ალექსანდრ მარიჩი** („პარტიზანი"), **ტიაგუ სპლიტერი** („კახა ლაბორალი").

თუ როგორ განაწილდებიან კალათბურთელები პირველ და მეორე სიმბოლურ ხუთეულებში, ეს ტრადიციულ გალა-საღამოზე გაირკვევა, რომელიც 8 მაისს პარიზში „ოთხთა ფინალის" მიმდინარეობისას გაიმართება. იმავე დღეს ამ ათი კალათბურთელიდან აირჩევენ 2009-10 წლების სეზონის MVP-ს. ამ ტიტულს ის მოთამაშე მიიღებს, რომელმაც გამოკითხვაში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა.

■ ■ ■

„ბარსელონა" მომავალი „ოთხთა ფინალის" ერთ-ერთი მონაწილეა, თუმცა კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობა უკვე მომავალი სეზონისთვის ზრუნავს და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციიდან ორი კალათბურთელის შეძენა აქვს განზრახული.

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ესპანელ მცველ **რუდი ფერნანდესს** არაერთხელ უთქვამს, რომ ამ სეზონის შემდეგ, შესაძლოა, ამერიკა დატოვოს და ევროპაში დაბრუნდეს სათამაშოდ.

შეიძლება ითქვას, რომ რუდის ესპანეთში გადაბარგების ალბათობა ასპროცენტიანი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ზაფხულში „ბარსელონას" პრეზიდენტის არჩევნებში **სანდრო როსელი** გაიმარჯვებს. შეგახსენებთ, რომ ადრე ფერნანდესი ბადალონას „ხუვენტუდში" თამაშობდა და იქიდან გადავიდა NBA-ში.

„ბარსელონას" მეორე სამიზნეა არგენტინიელი **ანდრეს ნოჩიონი.** სავარაუდოდ, ის კატალონურ კლუბში ფორვარდ **პიტ მაიკელს** შეცვლის, რომელიც ამ ზაფხულს NBA-ში აპირებს გადასვლას. თუმცა არგენტინელის ტრანსფერს, შესაძლოა, ხელი იმან შეუშალოს, რომ ნოჩიონიმ არა „ბარსაში", არამედ „კახა ლაბორალში" მოისურვოს თამაში - იქ, სადაც თავის დროზე ევროპულ კარიერას იწყებდა.

სხვათა შორის, ამ ორ მოთამაშეს მადრიდის „რეალმაც" დაადგა თვალი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

NHL პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# პინგვინებისა და ზვიგენების უქმეები

„ფილადელფია ფლაიერზის" შემდეგ გასულ უქმეებზე კიდევ ორმა გუნდმა შეძლო პლეი ოფის მეოთხედფინალში გასვლა. ერთ-ერთი მათგანია სტენლის თასის მოქმედი მფლობელი „პიტსბურგ პინგვინზი", რომელმაც წინა მატჩში შინ მოულოდნელად წააგო „ოტავასთან" და მეექვსე შეხვედრის ჩასატარებლად კანადის დედაქალაქში მოუწია გამგზავრებამ. ამ ორ შეხვედრას ერთნაირი სცენარი და ანგარიში ჰქონდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ოვერტაიმში გამარჯვების შაიბა „პინგვინებმა" გაიტანეს.

არადა, იმ დღეს „პიტსბურგის" რიგებში თავი არ გამოუჩენიათ მის ლიდერებს - **სიდნი კროსბისა** და **ევგენი მალკინს**. პლეი ოფის საუკეთესო ბომბარდირმა კროსბიმ (6 მატჩში 14 ქულა) თავი მხოლოდ იმით დაგვამახსოვრა, რომ მსაჯს ყვანჯი სახეში მოარტყა.

ოვერტაიმის მე-10 წუთზე გამარჯვების გოლი **პასკალ დუპუიმ** გაიტანა და სერიაში მეშვიდე მატჩის ჩატარება საჭირო აღარ გახდა. არადა, „ოტავა" 3:0-ს იგებდა შეხვედრას. კროსბისა და მალკინის პასიურობის პირობებში, მატჩის გადარჩენაში დიდი წვლილი **მეტ კუკმა** შეიტანა, რომელმაც დუბლი შეასრულა. საერთოდ კი „პიტსბურგმა" ბოლო პერიოდში 18 ზუსტი დარტყმა შეასრულა, „ოტავამ" - მხოლოდ ოთხი.

■ ■ ■

მეოთხედფინალშია „სან ხოსე შარქსი", რომელმაც მძიმედ დაიწყო სერია ახალგაზრდულ „კოლორადოსთან" და სამი მატჩის შემდეგ 1:2-ს აგებდა.

სერიაში გარდამტეხი აღმოჩნდა მეოთხე შეხვედრა დენვერში, რომელიც „ზვიგენებმა" ოვერტაიმში მოიგეს. მაშინ გამარჯვების გოლი **ჯო პაველსკიმ** გაიტანა, რომელიც მეექვსე მატჩის გმირიც გახდა. გუშინდელ შეხვედრაში „სან ხოსემ" ბოლო ორი შაიბა ცარიელ კარში შეაგდო, როცა მეტოქეს შეცვლილი ჰყავდა მეკარე წინა ხაზის მეექვსე მოთამაშით. მანამდე გატანილი სამი გოლიდან კი ორი პაველსკის ანგარიშზეა, ერთხელ კი მან ასისტენტობა გაუწია პარტნიორს.

■ ■ ■

ამასობაში, ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ სეზონის საუკეთესო მცველის პრიზის („ნორის ტროფი") მოსაპოვებლად ნომინანტები გამოაცხადა. წელს პრესტიჟული ჯილდოს მოპოვების კანდიდატები არიან: **დრიუ დაუტი** („ლოს ანჯელესი"), **მაიკ გრინი** („ვაშინგტონი") და **დანკან კეიტი** („ჩიკაგო"). სამივე პრეტენდენტი კანადას წარმოადგენს, მათგან ორი - დაუტი და კეიტი ვანკუვერის ოლიმპიადის გამარჯვებულები არიან.

20 წლის დაუტიმ რეგულარული ჩემპიონატის ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა და 59 ქულა (16 გოლი+43 შედეგიანი პასი) მიითვალა. გრინმა 75 მატჩში 76 (19+57) ქულა დააგროვა და ლიგის მცველებს შორის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. „კეპიტალზის" წევრი მე-13 მცველია NHL-ის ისტორიაში, ვინც რეგულარულ ჩემპიონატში 70-ზე მეტი ქულა მოიპოვა.

კეიტმა ასევე ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა და ერთი ქულა დააკლდა 70-იან ნიშნულამდე - 69 (14+55). „ჩიკაგოს" ისტორიაში ერთ სეზონში უფრო შედეგიანი მცველი ლეგენდარული **კრის ჩელიოსი** იყო, რომელმაც 1995-96 წლებში 72 ქულა მიითვალა.

სეზონის საუკეთესო მცველს პროფესიონალ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრები გამოავლენენ, ხოლო „ნორის ტროფის" მორიგი მფლობელის ვინაობას 23 ივნისს ლას ვეგასში სეზონის ლაურეატთა საზეიმო ცერემონიაზე შევიტყობთ.

**ბაფალო-ბოსტონი 4:1**

2:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 მეირი-1 (გერბი-1, მაკორმიკი-2), 2:0 პომინვილი-2 (დ. როი-2, ენისი-3), 3:0 გრირი-2 (გოსტადი-1), 3:1 ბოიჩუკი-1 (ვიდემანი-2, შატანი-2), 4:1 ენისი-1 (პომინვილი-1).

**სერია: 2:3**

**ვაშინგტონი-მონრეალი 1:2**

0:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 კამალერი-3 (მარკოვი-3, პლეკანეცი-2), 0:2 მოენი-1 (ჯონტა-2, გომესი-2), 1:2 ოვეჩკინი-5 (ნუბლი-4, ჯ. კარლსონი-3).

**სერია: 3:2**

**ოტავა-პიტსბურგი 3:4 (ო)**

1:0, 2:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 კულენი-3 (ალფრედსონი-6, ვოლჩენკოვი-2), 2:0 კ. ნილი-3 (კელი-5, ი. რუუტუ-1), 3:0 ალფრედსონი-2 (კულენი-5, ფიშერი-3), 3:1 კუკი-2 (ჯ. სტაალი-1, დუპუი-3), 3:2 გერინი-2 (გოლიგოსკი-2, მალკინი-4), 3:3 კუკი-3 (იტონი-1), 3:4 დუპუი-1 (ჯ. სტაალი-2).

**სერია: 2:4**

**ფინიქსი-დეტროიტი 1:4**

0:1, 1:0, 0:3

**გოლები:** 0:1 დ. მილერი-1 (კრონვალი-4, ბ. სტიუარტი-4), 1:1 ჟოვანოვსკი-1 (ა. ოკუანი-2, ლომბარდი-5), 1:2 ჰოლმსტრიომი-2 (ლიდსტრიომი-2, დაციუკი-2), 1:3 დაციუკი-3 (ფრანცენი-4, ჰოლმსტრიომი-2), 1:4 ზეტერბერგი-6 (ფილპულა-2).

**სერია: 2:3**

**კოლორადო-სან ხოსე 2:5**

0:1, 1:0, 1:4

**გოლები:** 0:1 პაველსკი-4 (ქლოუ-6, რ. ბლეიკი-1), 1:1 სვატოსი-1 (კამისკი-1, ფუტი-1), 2:1 იიპი-2 (პ. შჩასტნი-4, გალიარდი-2), 2:2 ბოილი-2 (ჰიტლი-4, პაველსკი-3), 2:3 პაველსკი-5 (ქლოუ-7, დ. მიურეი-3), 2:4 სეტოგუჩი-3 (დ. მიურეი-4, ბოილი-4), 2:5 დ. მიურეი-1 (ჯ. ტორნტონი-3, ტ. მიტჩელი-1).

**სერია: 2:4**

**ჩიკაგო-ნეშვილი 5:4 (ო)**

2:1, 1:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ლეგუანდი-2 (სალივანი-3, ჯ. უორდი-2), 1:1 ლედი-1 (სიბრუკი-1, ვერსტეეგი-2), 2:1 ჰიალმარსონი-1 (პ. კეინი-3, ტეუვზი-3), 3:1 კოპეცკი-2 (მარიან ჰოსა-3, ჰიალმარსონი-2), 3:2 ჯ. უორდი-2 (ლეგუანდი-5), 3:3 ერატი-3 (დუმონი-2, გრებეშკოვი-1), 3:4 ერატი-4 (გრებეშკოვი-2, კლეინი-2), 4:4 პ. კეინი-3 (ტეუვზი-4, სიბრუკი-2), 5:4 მარიან ჰოსა-1 (სოპელი-3, ბოლანდი-1).

**სერია: 3:2**

**ვანკუვერი-ლოს ანჯელესი 7:2**

2:1, 2:0, 3:1

**გოლები:** 1:0 ბერნიე-2 (უელვუდი-3, დემიტრა-2), 1:1 ჰანძუში-3, 2:1 ედლერი-1 (ჰანსენი-1, კესლერი-5), 3:1 დ. სედინი-3 (სამუელსონი-2, ჰ. სედინი-5), 4:1 სამუელსონი-6 (ჰ. სედინი-6, დ. სედინი-5), 5:1 დემიტრა-2 (ბიეკსა-2), 5:2 მოდინი-3 (მ. გრინი-1, ჯასტინ უილიამსი-1), 6:2 სამუელსონი-7 (სალო-2), 7:2 ბერნიე-3 (ალბერტსი-1, დემიტრა-3).

**სერია: 3:2**

სხვადასხვა

კალათბურთი

## ჰორნეტსს კოლინზი გაწვრთნის

როგორც ამერიკული პრესა წერს, „ნიუ ორლეან ჰორნეტსის" ახალი მთავარი მწვრთნელი, სავარაუდოდ, „ვაშინგტონ უიზარდსის" ყოფილი დამრიგებელი **დუგ კოლინზი** გახდება.

ESPN.com-ის ინფორმაციით, „ჰორნეტსის" ხელმძღვანელობამ უკვე გააფორმა წინასწარი კონტრაქტი კოლინზთან და ამიტომაც ის ვაკანტური ადგილის დაკავებაზე მთავარ ფავორიტად ითვლება.

თავად სპეციალისტი, რომელიც „ვაშინგტონის" გარდა „დეტროიტსა" და „ჩიკაგოს" ავარჯიშებდა, კომენტარებისგან თავს იკავებს. კოლინზის გარდა, „ნიუ ორლეანის" მწვრთნელობაზე პრეტენზიას აცხადებენ „ნიუ ჯერსის" დამრიგებელი **ლოურენს ფრენკი** და „სან ანტონიოს" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **მაიკ ბუდენჰოლცერი**.

## ჯინობილიმ ჩემპიონატი იუარა

არგენტინის ნაკრების ლიდერი **მანუ ჯინობილი** გამოტოვებს მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელიც აგვისტო-სექტემბერში თურქეთში ჩატარდება. „სან ანტონიო სპურსის" მცველმა ამ გადაწყვეტილების მიზეზად ივნისში ტყუპის დაბადება დაასახელა.

გარდა ამისა, ჯინობილიმ კომენტარისას ცოტა ხნის წინ „სპურსთან" გაფორმებული ახალი, სამწლიანი კონტრაქტი ახსენა. 33 წლის კალათბურთელს სურს, ახალი ხელშეკრულებით თამაში ტრავმების გარეშე დაიწყოს.

ოლიმპიზმი

## სარკოზი ანესის მხარესაა

საფრანგეთის პრეზიდენტმა **ნიკოლა სარკოზიმ** სრული მხარდაჭერა აღუთქვა ქალაქ ანესის განაცხადს, რომელიც 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობაზე აცხადებს პრეტენზიას. პრეზიდენტის თქმით, ქვეყნის მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ „თეთრმა თამაშებმა" საფრანგეთში უმაღლეს დონეზე ჩაიაროს. შეგახსენებთ, რომ საარჩევნო კამპანიაში ანესის კონკურენტები არიან გერმანიის მიუნხენი და ჩრდილოეთ კორეის პიონჩანგი.

2018 წლის ოლიმპიადის დედაქალაქის არჩევნები 2011 წლის ივლისს, სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში ჩაივლის, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგი სესიაა დაგეგმილი. ანესის გამარჯვების შემთხვევაში, საფრანგეთი მესამედ უმასპინძლებს ზამთრის ოლიმპიადას. მანამდე ამ ქვეყნიდან თამაშების მასპინძელი შამონი (1924 წელი) და ალბერვილი (1992) იყვნენ.

ავტოსპორტი

## ჩემპიონთა რბოლა გერმანიაში ბრუნდება

2010 წელს რიგით 23-ე „ჩემპიონთა რბოლა" გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში, Esprit-ის გადახურულ არენაზე გაიმართება, რომელიც 50 ათას მაყურებელს იტევს. „ჩემპიონთა რბოლა - ეს არის სხვადასხვა სარბოლო სერიის ვარსკვლავთა შოუ, რომელიც ტრადიციულად ასრულებს ავტოსპორტის სეზონს.

ზედიზედ მეოთხე წელია რბოლაში მონაწილეობას მიიღებენ **მიხაელ შუმახერი** და **სებასტიან ფეტელი** - მათ უკვე განაცხადეს თანხმობა და პირველებმა მოაწერეს კონტრაქტს ხელი.

*„ძალიან კარგია, რომ ჩემპიონთა რბოლა გერმანიაში გაიმართება, მით უმეტეს, რომ ბოლო სამი წელია გუნდურ პირველობაში მე და ფეტელი ვიმარჯვებთ,* - განაცხადა მიხაელ შუმახერმა. - *ორგანიზატორებმა ბრწყინვალე გადაწყვეტილება მიიღეს. მოხარული ვარ, რომ ტიტულის დაცვა ამჯერად სამშობლოში მოგვიწევს".*

ცნობისთვის, „ჩემპიონთა რბოლა" გერმანიაში ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად გაიმართება.

მძლეოსნობა

## ბოლტმა ესტაფეტა მოიგო

მსოფლიო მძლეოსნობის სუპერვარსკვლავმა **უსაინ ბოლტმა** ფილადელფიაში გამართულ ტრადიციულ ტურნირზე მორიგ გამარჯვებას მიაღწია. სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და 100 და 200 მეტრზე სირბილში მსოფლიოს რეკორდსმენმა 4x100 მეტრზე ესტაფეტაში მიიღო მონაწილეობა. მისი პარტნიორები იყვნენ სხვა იამაიკელი სპრინტერები - **მარიო ფორსაიტი, იოჰან ბლეიკი** და **მარვინ ანდერსონი**. ბოლტმა მეოთხემ ჩაიბარა ესტაფეტის ჯოხი. ამ დროისთვის იამაიკა ჩამორჩებოდა აშშ-ის ნაკრებს, მაგრამ ბოლტი თავის წილ 100 მეტრზე შეუჩერებელი იყო და პირველი მივიდა ფინიშთან, რის შემდეგაც მაღალი სიჩქარით საპატიო წრე დაარტყა სტადიონს.

ჭადრაკი

## ტოპალოვმა მოგებით დაიწყო.

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში საჩემპიონო მატჩი დაიწყო მოქმედ ჩემპიონ, ინდოელ **ვიშვანათან ანანდსა** და ბულგარელ **ვესელინ ტოპალოვს** შორის.

მასპინძელი დიდოსტატი პირველ პარტიაში თეთრი ფიგურებით თამაშობდა და გამარჯვებას მიაღწია. ანანდმა 30-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

სულ გამარჯვებულის გამოსავლენად 12 პარტიის ჩატარებაა დაგეგმილი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ჩილე | |
|---|---|
| უნ. კონსეპსიონი-აუდაქსი | 1:3 |
| სან ლუისი-ს. მორნინგი | 2:2 |
| ო'ჰიგინსი-უაჩიპატო | 0:0 |
| კოლო კოლო-უნ. ჩილე | 1:0 |
| პალესტინო-ევერტონი | 2:2 |
| კობრელოა-ლა სერენა | 4:0 |
| კობრესალი-ნუბლენსე | 0:0 |
| სანტიაგო-უნ. ესპანიოლა | 1:1 |
| **კოლუმბია** | |
| სანტა ფე-კუკუტა | 2:0 |
| ენვიგადო-ატ. ნასიონალი | 2:1 |
| რეალ კარტახენა-დეპ. კალი | 0:1 |
| ატ. უილა-ონსე კალდასი | 3:2 |
| კორტულუა-დეპ. კინდიო | 0:1 |
| დეპ. პერეირა-მილიონარიოსი | 1:1 |
| ინდეპენდიენტე-ჩიკო | 0:0 |
| ლა ეკვიდადი-დეპ. ტოლიმა | 4:3 |
| **ეკვადორი** | |
| ინდეპენდიენტე-ესპოლი | 1:2 |
| უნ. კატოლიკა-ლდუ კიტო | 1:1 |
| მაკარა-მანტა | 2:2 |
| **პერუ** | |
| ინტი გასი-სენსიანო | 3:1 |
| სპორტ ბოისი-სესარ ვალეხო | 2:1 |
| მელგარი-ლეონი | 0:1 |
| **ურუგვაი** | |
| ნასიონალი-ფენიქსი | 1:1 |
| დეფენსორი-მონტევიდეო | 2:0 |
| სერიტო-ატენასი | 2:0 |
| დანუბიო-პენიაროლი | 1:2 |
| ლივერპული-სერო ლარგო | 3:0 |
| რამპლა-სენტრალი | 0:0 |
| რივერ პლეიტი-რასინგი | 4:1 |
| ტაკუარემბო-სერო | 3:3 |
| **აშშ** | |
| ნიუ იორკი-ფილადელფია | 2:1 |
| კოლამბუსი-სოლტ ლეიკი | 1:0 |
| ნიუ ინგლენდი-კოლორადო | 1:2 |
| ჩიკაგო-ჰიუსტონი | 2:0 |
| კანზასი-ლოს ანჯელესი | 0:0 |
| ჩივასი-სან ხოსე | 3:2 |
| ტორონტო-სიეტლი | 2:0 |
| **იაპონია** | |
| კიოტო-იამაგატა | 1:2 |
| შიმიცუ-ომიია | 2:1 |
| კავასაკი-კობე | 3:0 |
| ურავა-ჯუბილო ივატა | 0:1 |
| გამბა-ტოკიო | 2:0 |
| იოკოჰამა-კაშიმა | 1:3 |
| ნიიგატა-ჰიროშიმა | 2:2 |
| სერეზო-ნაგოია | 0:1 |
| შონანი-ვეგალტა | 1:0 |

**კალათბურთი**

| NBA | |
|---|---|
| მაიამი-ბოსტონი | 101:92 |
| ჩიკაგო-კლივლენდი | 98:121 |
| **გერმანია** | |
| ბრემერჰავენი-დიუსელდორფი | 86:76 |
| ერტლანდი-ტიუბინგენი | 88:67 |
| გესენი-ტელეკომი | 52:59 |
| ტრირი-მიტლდოიჩე | 66:95 |
| პადერბორნი-ბამბერგი | 66:78 |
| ბრაუნშვაიგი-ფინიქსი | 88:83 |
| ლუდვიგსბურგი-სკაილაინერ. | 77:67 |
| გიოტინგენი-ალბა | 81:74 |
| ოლდენბურგი-ულმი | 90:88 |
| **საბერძნეთი** | |
| პაოკ-კოლოსოსი | 69:48 |
| ოლიმპიაკოსი-ოლიმპია | 92:54 |
| პანათინაიკოსი-აეკ | 91:62 |
| ილისიაკოსი-პერისტერი | 76:72 |
| კავალა-არისი | 86:81 |
| მარუსი-პანელინიოსი | 86:73 |
| ტრიკალა-პანიონიოსი | 64:68 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა-უნიკახა | 84:74 |
| ესტუდიანტესი-მურსია | 75:64 |
| სევილია-ფუენლაბრადა | 78:56 |
| გრანადა-რეალი | 66:71 |
| ვალიადოლიდი-ბრუესა | 61:39 |
| ხუვენტუდი-ბილბაო | 66:72 |
| ვალენსია-ობრადოირო | 81:64 |
| კახა ლაბორალი-მანრესა | 78:69 |
| **იტალია** | |
| აველინო-კანტუ | 76:85 |
| მილანი-რომა | 64:66 |
| ვარეზე-კაზერტა | 85:88 (ო) |
| ვირტუსი-ვანოლი | 65:68 |
| სიენა-ბენეტონი | 96:99 |
| ტერამო-სკავოლინი | 69:61 |
| ფერარა-მონტეგრანარო | 77:75 (ო) |
| **საფრანგეთი** | |
| როანი-რუანი | 113:82 |
| გრაველენი-პუატიე | 77:68 |
| სტრასბური-პარიზი | 79:71 |
| დიჟონი-შალონი | 76:83 |
| ვიში-ლე მანი | 64:62 |
| შოლე-ვილერბანი | 80:62 |
| ტულონი-ჰავრი | 96:92 |

**ჰოკეი**

| NHL | |
|---|---|
| დეტროიტი-ფინიქსი | 2:5 |
| **კჰლ** | |
| აქ ბარსი-მვდ | 7:1 |
| **გერმანია** | |
| ჰანოვერი-აუგსბურგი | 4:2 |
| **ფინეთი** | |
| ტპს-ჰპკ | 3:1 |
| ჰპკ-ტპს | 1:2 (ო) |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-სერვეტი | 4:1 |
| **შვედეთი** | |
| იურგორდენი-ჰვ 71 | 2:3 (ო) |

**ჩოგბურთი**

| ATP. ბარსელონა | |
|---|---|
| ფერერი-ვერდასკო | 7:6, 5:7, 1:6 |
| სიოდერლინგი-დე ბაკერი | 6:1, 6:4 |
| სიოდერლინგი-ვერდასკო | 3:6, 6:4, 3:6 |
| **ATP. რომი** | |
| ჰანესკუ-ბერერი | 6:2, 6:7, 6:3 |
| ტიპსარევიჩი-შარდი | 4:6, 4:6 |
| სეპი-ფონინი | 6:0, 6:3 |
| **ფედერაციის თასი** | |
| პენეტა-კვიტოვა | 7:6, 6:2 |
| ერანი-ჰრადეცკა | 6:4, 6:2 |
| ოუდინი-დემენტიევა | 6:7, 6:0, 3:6 |

TV პროგრამა

**26 აპრილი. ორშაბათი**

**I არხი**

22:00 არენა - სპორტული პროგრამა.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ბირმინგემი.
08:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
09:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი.
11:00 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ავსტრია-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
13:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-ლიონი.
14:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ატალანტა.
16:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბრაზილია.
18:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
18:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ სიტი.
20:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია.
22:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
22:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ბარსელონა.
01:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი.
02:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-ლიონი.
04:50 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
05:20 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მაკაბი-პარტიზანი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

07:00 პოკერი.
07:50 100% დინამო.
08:10 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ლიტვა-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
10:00 რინგ-საიდი. ანალიტიკური პროგრამა კრივზე.
11:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ სიტი.
12:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი.
14:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ბაიერნი.
16:50 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ლიტვა-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
18:40 პოკერი.
19:30 100% დინამო.
19:50 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
20:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ბარსელონა.
22:20 პროფესიული კრივი.
23:20 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ავსტრია-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
01:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ სიტი.
03:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
03:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ბაიერნი.
05:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი.

**EUROSPORT**

12:00 მძლეოსნობა. ლონდონის მარათონი. ინგლისი (LIVE).
19:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IX დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.
20:00 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. ბირმინგემი. ინგლისი (LIVE).
20:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
22:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
22:45 მულტისპორტი.
23:00 პრო-რესტლინგი.
00:25 მულტისპორტი.
00:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
01:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. X დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.

კრივი

# ვიკინგმა პრესტიჟი დაიბრუნა

საინტერესო ღამეები ჰქონდათ კრივის მოყვარულებს. დანიასა და ამერიკაში ორი საინტერესო შეხვედრა გაიმართა. ერთ-ერთი იყო საშუალოწონოსანთა ტურნირის - Super Six World Boxing Classic-ის რანგით გამართული ბრძოლა, რომელშიც დანიელი **მიკელ კესლერი** (43-2, 32KO) ინგლისელ **კარლ ფროჩს** (26-1, 20KO) მასპინძლობდა. ჩხუბი 12 რაუნდს გაგრძელდა და გამარჯვებული მსაჯების გადაწყვეტილებით გამოვლინდა.

წინა ბრძოლაში ამერიკელ **ანდრე უორდთან** დამარცხების შემდეგ, მიკელ კესლერს ამ შეხვედრის წაგების უფლება არ ჰქონდა, რადგან ჯერ ერთი Super Six-ის ტურნირის პლეი ოფში გასვლის პერსპექტივა თითქმის ნულზე დავიდოდა, გარდა ამისა, არ შეიძლებოდა საკუთარი პუბლიკის წინაშე თავის შერცხვენა და მესამე - სავარაუდო მარცხი მისი კარიერის დასასრულის დასაწყისი იქნებოდა. კრივიდან ბრიტანელი **ჯო კალზაგეს** წასვლის შემდეგ ბევრი სპეციალისტი სწორედ კესლერს აღიარებდა სუპერსაშუალო წონის ლიდერად. ასე რომ, ამ ბრძოლის წინ სასწორზე დანიელის პრესტიჟი იდო.

ერთი შეხედვით რთული იყო რომელიმე მოკრივისთვის უპირატესობის მინიჭება. ორივე ბევრს უტევდა, მაგრამ ჩხუბის მეორე ნაწილში ინიციატივა თანდათან კესლერის მხარეს გადავიდა, რაც საბოლოოდ მსაჯების ასეთ გადაწყვეტილებაში გამოისახა: 117:111, 116:112, 115:113 კესლერის სასარგებლოდ.

მაშ ასე, ამ გამარჯვების შემდეგ მიკელ კესლერმა ორი სატურნირო ქულა მოიპოვა და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა **ენდრიუ დირელს**, კარლ ფროჩსა და **ანდრე უორდს**, მაგრამ ამ უკანასკნელმა სხვებზე ერთი ბრძოლით ნაკლები ჩაატარა და 19 ივნისს **ალან გრინის** (შეცვალა **ჯერმეინ ტეილორი**) დამარცხების შემთხვევაში სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე გადავა. სავარაუდოდ ასეც მოხდება, რადგან ბუკმეიკერთა შეფასებით, უორდი ამ ბრძოლის უპირობო ფავორიტია. და საერთოდაც, ამერიკელი Super Six-ში გამარჯვების მთავარ კანდიდატად სახელდება.

რაც შეეხება მიკელ კესლერს, გუშინის მესამედ გახდა ჩემპიონი - WBC-ის ქამარი მოიგო საშუალო წონაში. შემდეგ ბრძოლაში დანიელი ალან გრინს შეხვდება და თუ მოიგებს, ნახევარფინალში გასვლას გაინაღდებს. მაგრამ ეს ბრძოლა წლის ბოლოს შედგება, მანამდე კი დანიელი გულშემატკივრები თავიანთი კერპის გამარჯვებას ზეიმობენ.

Super Six-ის სატურნირო მდგომარეობა:

1. **არტურ აბრაჰამი - 3 ქულა (1-1, 1KO)**
2. **ანდრე უორდი - 2 (1-0)**
3. **მიკელ კესლერი - 2 (1-1)**
4. **კარლ ფროჩი - 2 (1-1)**
5. **ენდრიუ დირელი - 2 (1-1)**
6. **ალან გრინი - 0 (0-0)**

■ ■ ■

ონტარიოს შტატში კი საკრივო შოუ გაიმართა, რომლის მთავარი ბრძოლა სუპერმძიმეწონოსნებს შორის გაიმართა - ამერიკელ **კრის არეოლასა** (28-2, 25KO) და პოლონელ **ტომაშ ადამეკის** (41-1, 27KO) შორის ჩხუბშიც 12 რაუნდი ჩატარდა და აქაც საბოლოო სიტყვა მსაჯებმა თქვეს.

პოლონელი სუპერმძიმე წონაში პირველ ბრძოლას ატარებდა, იქამდე კი მან ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ნახევრადმძიმე და პირველ მძიმე წონაში.

ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. რამდენიმე რაუნდში არეოლამ აშკარად დაჩაგრა მოწინააღმდეგე და როცა ყველას ეგონა, რომ უფრო მსუბუქი პოლონელი წაგებას ვერ გადაურჩებოდა, ამერიკელმა ვერც ერთხელ ვერ შეძლო უპირატესობის განვრცობა. ამით ადამეკმა კარგად ისარგებლა და უფრო მეტი ზუსტი დარტყმით მდგომარეობა გაათანაბრა.

საბოლოოდ, ორმა მსაჯმა უპირატესობა ადამეკს მიანიჭა - 117:111 და 115:113, მესამემ კი ფრე დააფიქსირა - 114:114.

ჩოგბურთი

# შესუსტებული მასტერსი

## როჯერ ფედერერმა წყვილებში თამაში გადაწყვიტა

„ალკოლიზინი" ✕ „პახმელიას"

„ალკოლიზინი" უნიკალური პრეპარატია, მას სამედიცინო სფეროში ანალოგი არ გააჩნია!

„ალკოლიზინის" დახმარებით თქვენ თავიდან შეგიძლიათ აიცილოთ „პახმელიის სინდრომი", დაისვათ ლეიძლი ალკოჰოლური გადაგვარებისაგან.

„ალკოლიზინი" დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებისგან. ალკოლიზინს გვერდითი მოვლენები და უკუჩვენებები არ გააჩნია. ალკოჰოლის მიღების წინ არ დაგავიწყდეთ „ალკოლიზინი", ის თქვენ ცხოვრებას უფრო სასიამოვნოს გახდის. გამოიყენება პროფილაქტიკის მიზნითაც 3 კვირის განმავლობაში.



მოგვაკითხეთ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. №28 ან მიმართეთ „ნეოფარმის" და „ჯი პი ესის" სააფთიაქო ქსელს, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში. დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე 99 00 14; 92 19 68; 893 668318; 899 21 02 32
e-mail - promoita@mail.ru
nikosanltd@mail.ge

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს




იტალიის დედაქალაქ რომში მასტერსის სერიის მორიგი ტურნირი დაიწყო. სატურნირო ბადეში ATP-ის ტურის ბევრ წამყვან ჩოგბურთელს ვერ ვხედავთ. ბოლო მომენტში აღნიშნული მასტერსიდან განაცხადები გამოიტანეს მსოფლიოს მეშვიდე და მე-12 ჩოგნებმა - **ენდი როდიკმა და ფერნანდო გონსალესმა.**

ამერიკელმა ჩოგბურთელმა უარის მიზეზად პირადი პრობლემები დაასახელა, თუმცა მას ATP-სგან საჯარიმო სანქციები არ დაეკისრება, რადგან სეზონში ერთი მასტერსის გამოტოვების უფლება აქვს. სხვათა შორის, როდიკს შარშანაც არ უთამაშია რომის ტურნირში. მისი დაბრუნება 9 მაისს მადრიდის მასტერსზე შედგება.

რაც შეეხება ფერნანდესს, ის ტრავმის გამო არ ჩადის რომში. ფერნანდოსა და ენდის გარდა, ამ მასტერსს სხვადასხვა მიზეზის გამო ტოვებენ: **ხუან მარტინ დელ პოტრო, ნიკოლაი დავიდენკო, ტომი რობრედო, ივო კარლოვიჩი, ტომი ჰაასი, ჟილ სიმონი, რადეკ შტეპანეკი** და **დავიდ ნალბანდიანი.**

■ ■ ■

სამაგიეროდ, რომში ითამაშებს მსოფლიოს პირველი ჩოგანი **როჯერ ფედერერი.** თანაც შვეიცარიელმა ერთეულების გარდა წყვილთა თანრიგშიც გადაწყვიტა გამოსვლა, რათა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სწრაფად აღიდგინოს სათამაშო პრაქტიკა. როჯერის პარტნიორი თანამემამულე **ივ ალეგრო** იქნება.



ტურნირის ორგანიზატორებმა შვეიცარიულ წყვილს უაილდ-ქარდი გამოუყვეს. პირველ მატჩში ფედერერი და ალეგრო **იოჰან ბრუნსტრიომისა** (შვედეთი) და **ჟან-ჟულიენ როჟეს** (ანტილიის კუნძულები) დუეტს შეხვდებიან.

აღსანიშნავია, რომ დევისის თასის მატჩებში როჯერისა და ივის ანგარიშზე სამი მოგება და ორი წაგებაა.

ცნობისთვის, შარშან როლან გაროსის მოგების შემდეგ ფედერერი პირველად ითამაშებს თიხნარის საფარზე. რომში ვიხილავთ **რაფაელ ნადალსაც.** თუ რაფა და როჯერი საწყის სამ წრეს წარმატებით გაივლიან, მათ ნახევარფინალში მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

